საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 ოქტომბერი **ორშაბათი** 2011
№ 250 (13 547) ფასი 80 თეთრი



# რა კარგი ნახვა ცოტაა...

მასტერკლასი მიხეილ მესხზე: ზესტაფონს ყველაფერი გამოუვიდა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



# ტურის თემა
# დინამომ ზუგდიდში თამაშზე მეტი წააგო. უეჭველია, რაღაც მოხდება

2-4

ფოტო: www.fcdinamo.ge

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 10 | 7 | 2 | 1 | 23 | 13 | 23 |
| 2 | მეტალურგი | 10 | 6 | 2 | 2 | 14 | 8 | 20 |
| 3 | ბაია | 10 | 6 | 1 | 3 | 15 | 7 | 19 |
| 4 | ტორპედო | 10 | 6 | 1 | 3 | 10 | 6 | 19 |
| 5 | დინამო | 10 | 6 | 1 | 3 | 20 | 12 | 19 |
| 6 | მერანი | 10 | 4 | 2 | 4 | 12 | 12 | 14 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 2 | 4 | 10 | 12 | 14 |
| 8 | გაგრა | 10 | 4 | 1 | 5 | 12 | 13 | 13 |
| 9 | დილა | 10 | 3 | 1 | 6 | 14 | 16 | 10 |
| 10 | კოლხეთი | 10 | 2 | 3 | 5 | 7 | 13 | 9 |
| 11 | სპარტაკი | 10 | 1 | 4 | 5 | 6 | 15 | 7 |
| 12 | სიონი | 10 | 0 | 2 | 8 | 4 | 20 | 2 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

1. მოგებათა მეტი რაოდენობა;
2. ურთიერთშეხვედრები;
3. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6. ფეარ პლეი;
7. კენჭისყრა.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტატანაშვილი (მეტალურგი) | 8 |
| დვალი (ზესტაფონი) | 7 |
| ჩისკო (დინამო) | 6 |

**მომდევნო ტური**

**26 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

ტორპედო-კოლხეთი
ზესტაფონი-ვიტ ჯორჯია
დილა-სპარტაკი
დინამო-გაგრა
მერანი-ბაია
სიონი-მეტალურგი




# შეწყვეტილი სიმღერა
## ბაიერნი 770-ზე გააჩერეს

5-9



# დერბი დარბევა
## SIX-ი დიდ ქალაქში

მანჩესტერ იუნაიტედი-მანჩესტერ სიტი 1:6. მორიგი გოლი-სირცხვილი-ტკივილი დე ხეას კარში



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.msy.gov.ge)

საქართველოს ფუტსალის ნაკრები მოლდოვასთან მატჩის შემდეგ

# საქართველო გავიდა!

4

# მასპინძელსა მხიარულსა...
## ახალმა ზელანდიამ მსოფლიო დაიპყრო

13





# გუდ-ბაი-ა!

## ალექს გარსიას ვერ აუხსნია

22.10. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე.
2500 მაყურებელი

| | | |
|---|---|---|
| ბაია | 2 | |
| დინამო | 1 | |

1:0 მგელაძე (8. სიხარულიას პასით), 1:1 ჩისკო (45+1), 2:1 პაჭკორია (90+2. ქობალიას პასით).

| ბაია | დინამო |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-3-3 |
| სომხიშვილი | ლორია |
| რიგვავა | ოდიკაძე |
| აფაქიძე | თოდაშვილი |
| მგელაძე | ჰომოლა |
| აკობია | გ. რეხვიაშვილი |
| ტყემალაძე | კაკუბავა |
| გუგუჩია | ალვარო |
| სიხარულია | კოშკაძე |
| წურწუმია | კოტო |
| ეხვაია | ჩისკო |
| ქობალია | კახელიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ე. ქომეთიანი. | ა. გარსია |

**ბაია**

70. ეხვაია – **შ. ლომია**
83. სიხარულია - **პაჭკორია**
90. წურწუმია – **სამუშია**
*სათადარიგოები: ჯომიდავა, ქვარცხავა, კუკავა, ვეკუა.*

**დინამო**

38. კაკუბავა – **ჯილაური**
77. კახელიშვილი – **რობერტინიო**
83. კოტო - **იაგუე**
*სათადარიგოები: ზარქუა, კაშია, პარუნაშვილი, თექთურმანიძე.*

გაფრთხილება: **ჰომოლა (33), რეხვიაშვილი (40), კოშკაძე (50), კოტო (81).**
არბიტრი: **მ. ბეუქლიშვილი**

"ბაიამ" კლუბის ისტორიაში პირველად დაამარცხა "დინამო" და დაამტკიცა, რომ წლეულს მისი წარმატება შემთხვევითი არ არის.

**ელგუჯა ქომეთიანის** შეგირდებმა მატჩი შეტევებით დაიწყეს და პირველივე წუთებზე რეალური საგოლე მომენტები შექმნეს: "დინამოს" კარს ჯერ **ნიკა აფაქიძე** დაემუქრა, რომელმაც **ლევან წურწუმიას** ჩაწოდებულ ბურთს თავი შეაგება, მაგრამ ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა სტუმართა მეკარე **გიორგი ლორიამ** ჩინებული რეაქცია გამოავლინა.

მასპინძლებმა შეტევა განაგრძეს და ერთ წუთში **ირაკლი ქობალიამ** "მაკრატელა" შეასრულა – ლორიამ ამჯერად ბურთი "ცხრიანიდან" ჩამოხსნა.

თუმცა მე-8 წუთზე თავისიანების გადარჩენა მანაც ვერ მოახერხა: **ზვიად სიხარულიამ** დაარტყა, მაგრამ პასი უფრო გამოუვიდა და კარის წინ უმეთვალყურეოდ დარჩენილმა **ნიკა მგელაძემ** ახლო მანძილიდან გაიტანა – 1:0.

"დინამო" მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდა, შეუტია და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა, მაგრამ **ალვაროსა** და **კოტოს** შეტევები უშედეგოდ დასრულდა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი 31-ე წუთზე განხორციელებული შეტევა იყო, როდესაც **გიორგი სომხიშვილმა** ბურთი კარგად ვერ მოიგერია, მაგრამ ალვარომ ახლო მანძილიდან ზუსტად ვერ დაარტყა.

ტაიმის ბოლოს "დინამოს" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი და სომხიშვილი წაკამათდნენ, ვითარება დაიძაბა, მაგრამ მალევე განიმუხტა და "დინამომ" გაათანაბრა: **ჩისკო** "ბაიას" საჯარიმოში მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა, მახვილი კუთხიდან ბურთი მეკარეს შორეულ კუთხეში დაურტყა და ეფექტურადაც გაიტანა – 1:1.

მეორე ტაიმი "დინამოს" უპირატესობით წარიმართა, **ალექს გარსიას** შეგირდებს რამდენჯერმე შეეძლოთ დაწინაურება, 51-ე წუთზე ჩისკო-**კოტო-ჯილაურის** კომბინაციის დაგვირგვინებას **ალეკო კოშკაძე** ცდილობდა, მაგრამ "დინამოს" კაპიტანმა ახლო მანძილიდან ააცილა.

აქტიურობდა კოტო, სახიფათოდ აწვდიდა და თავადაც ურტყამდა, კარგად ჩაერთო თამაშში **ჯაბა ჯილაურიც**, სტუმართა შეტევებს უნარიანად წარმართავდა კოშკაძე, მაგრამ ჩინებულად თამაშობდა "ბაიას" მეკარე გიორგი სომხიშვილი, რომელმაც, ტრავმის მიუხედავად, თამაში არ მიატოვა და შეხვედრის შემდეგ სტადიონი მხოლოდ მეგობრების დახმარებით დატოვა.

მატჩი არა მხოლოდ მოედანზე, ტრიბუნებზეც დაძაბულ ატმოსფეროში დასრულდა: მაყურებელთა მცირე ნაწილმა შეურაცხყოფა მიაყენა "დინამოს" დუბლშემადგენლობის ფეხბურთელებს, **გიორგი დევდარიანის** 19-წლამდელთა გუნდის იმ ბიჭებს, რომელთაც მთელი ქვეყანა გულშემატკივრობს. ნამატჩევს მასპინძელთა მთავარი მწვრთნელი ელგუჯა ქომეთიანი შეწუხებული ამბობდა, ასეთი რამ თავად ჩვენი, ზუგდიდელების შეურაცხყოფა არისო.

... საფეხბურთო ფორტუნა სასტიკია: დინამოელებმა ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს, საბოლოოდ კი მეორე ტაიმში საკუთარ კარს მიჯაჭვულმა "ბაიამ" გაიმარჯვა. ქომეთიანმა შეცვლები გამოიცნო. მეორე დამატებული წუთი მიმდინარეობდა, როდესაც "დინამოს" კართან ჯარიმა დაინიშნა. **ირაკლი ქობალიამ** დარტყმის იმიტაცია გააკეთა, ბურთი **ლევან წურწუმიას** გადააწოდა, მან საჯარიმოში მყოფი მოედანზე ახალშესული **გიორგი პაჭკორია** მოძებნა, რომელმაც მახვილი კუთხიდან ზუსტად გაისროლა და ზუგდიდელები უზომოდ გაახარა - 2:1, "ბაია" დაწინაურდა და დარჩენილ წუთში გამარჯვება ხელიდან არ გაუშვია.

ზუგდიდელები ქულებით "დინამოს" გაუთანაბრდნენ, თბილისელებმა კი ჩავარდნას თავი ვერა და ვერ დააღწიეს და გამორიცხული არ არის, ეს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი გახდეს.

ელგუჯა ქომეთიანი: *"ვერ ვიტყვი, რომ საუკეთესო ხარისხის ფეხბურთი ვაჩვენეთ, მაგრამ ბიჭების თავდადებამ და შეუპოვრობამ შედეგი მოგვიტანა. ისეთი მეტოქე გვყავდა, რომელთან მოგება ყოველთვის საპატიოა".*

ალექს გარსია: *"სამწუხაროდ, პირველ წუთებზე ისევ გავუშვით და მერე ანგარიშის გათანაბრება მოგვიხდა. ვცდილობ და ვერ ამიხსნია, რა არის მატჩის დასაწყისის ასეთი სისტემატური ჩავარდნების მიზეზი. ვიცით, რომ კონცენტრაცია გვმართებს, მაგრამ მაინც ერთი და იგივე მეორდება. ამას მომენტების დაბალი რეალიზაციაც ემატება და ამიტომაც დავმარცხდით".*

**მერაბ მამულაშვილი**
ზუგდიდი-თბილისი
ფოტოები: **www.fcdinamo.ge**



# სიმძიმე და კომფორტი

21.10.რუსთავი. ფოლადი.
1 000 მაყურებელი

| | | |
|---|---|---|
| მეტალურგი | 2 | |
| მერანი | 1 | |

0:1 ყვანია (10), 1:1 ტატანაშვილი (44, პენალტით), 2:1 ტატანაშვილი (54, მიქაბერიძის პასით)

| მეტალურგი | მერანი |
|---|---|
| 4-2-3-1 | 4-3-3 |
| ბედიაშვილი | შეროზია |
| სეთურიძე | კაკუშაძე |
| გ. კვარაცხელია | გ. ყვანია |
| მახვილაძე | მემარნიშვილი |
| ჯაფარიძე | სუხიაშვილი |
| ქავთარაძე | ე. გრიგალაშვილი |
| ი. მაისურაძე | ღიღავა |
| ჭედია | მანწკავა |
| მიქაბერიძე | ჩალაძე |
| მოდებაძე | ტაპე |
| ტატანაშვილი | ამბროლაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| კ. ჟორჟიკაშვილი | მ. ყვანია |

**მეტალურგი**

66. ჭედია - **პავლიაშვილი**
66. მიქაბერიძე - **დობროვოლსკი**
81. მოდებაძე - **გავაშელიშვილი**
*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ჩადუნელი*

**მერანი**

66. ტაპე - **კუჭუხიძე**
*სათადარიგოები: შენგელია, გეგეჭკორი, იატრო, ტორაძე, იობაშვილი*

გაფრთხილება: **ბედიაშვილი (9), კაკუშაძე (44), ჯაფარიძე (49), მაისურაძე (62), პავლიაშვილი (67), მემარნიშვილი (69), მახვილაძე (77)**
არბიტრი: **ა. კრიჭაშვილი**

... ტურის წინათქმაშიც ვივარაუდეთ, რომ „მეტალურგს" საკმაოდ მძიმე მატჩი ელოდა: ძნელი სათქმელი იყო, თუ რამდენად მალე შეძლებდნენ რუსთაველები „დინამოსთან" შეხვედრის შემდეგ ძალების აღდგენას. ამას გარდა, მასპინძლებს სერიოზული საკადრო პრობლემებიც ჰქონდათ: დისკვალიფიკაციის გამო მატჩს ტოვებდნენ წამყვანი ფეხბურთელები, **ალექსანდრე კვახაძე** და **ლუკა რაზმაძე,** გუნდის კიდევ ერთი ლიდერი **რევაზ გეწაძე** კი ტრავმირებული გახლავთ. ამის გამოც იყო, „მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** გუნდში რამდენიმე გადაადგილება რომ მოახდინა: „დინამოსთან" მატჩის ერთ-ერთი გმირი **ირაკლი მაისურაძე** საყრდენ ნახევარმცველად მოგვევლინა, მარცხენა გარემარბის პოზიციაზე კი ტრავმამოშუშებული **ირაკლი მოდებაძე** თამაშობდა. აქვე მეტოქის ფაქტორიც აუცილებლად უნდა ვახსენოთ: უმაღლესი ლიგის დებიუტანტის, „მერანის" ასპარეზობა ამ სეზონის სასიამოვნო მოულოდნელობად უნდა მივიჩნიოთ და მარტვილელებმა ჩემპიონატის ერთ-ერთ რეალურ ფავორიტთან შეხვედრაშიც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს. ახალგაზრდა მწვრთნელის - **მალხაზ ყვანიას** გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში სწრაფ, შეტევაზე ორიენტირებულ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობდა და რუსთავიდან, სულ მცირე, ქულაც რომ წაეღო, მოულოდნელობა ნამდვილად არ იქნებოდა. „მერანის" ყველა შეტევის სულისჩამდგმელი კი 29 წლის **გიორგი მანწკავა** გახლდათ, 90 წუთის განმავლობაში მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს უამრავი პრობლემა რომ შეუქმნა. სწორედ მანწკავას წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა მასპინძელთა კარში გატანილი გოლიც: „მერანის" გამთამაშებელმა ეფექტური რეიდი განახორციელა, მერე კი არანაკლებ ჩინებული პასით გარღვევაზე **ელგუჯა გრიგალაშვილი** გაიყვანა; თუმცა ამ უკანასკნელმა კარში დარტყმა ველარ მოახერხა — **გრიგოლ ბედიაშვილმა** სტუმართა შეტევა წესების დარღვევით შეაჩერა და შეხვედრის არბიტრმა **ალექსანდრე კრიჭაშვილმა** 100-პროცენტიანი პენალტი უყოყმანოდ დანიშნა! 11-მეტრიან ნიშნულთან სტუმართა ცენტრალური მცველი **გიგა ყვანია** მივიდა, „მერანის" კაპიტნის დარტყმა ბედიაშვილმა კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე ყველას ყვანიამ დაასწრო და ანგარიშიც გაიხსნა! მასპინძლები მოვლენების ასეთი განვითარებისათვის მზად აშკარად არ აღმოჩნდნენ, თანაც, ცოტა არ იყოს, დამძიმებულები ჩანდნენ და ჭკვიანურად მოასპარეზე მეტოქესაც ვერაფერს უპირისპირებდნენ. ტაიმის ბოლო წუთებამდე „მეტალურგს" მხოლოდ ერთი რეალური მომენტი ჰქონდა, მაგრამ უაღრესად ხელსაყრელი სიტუაციიდან **დიმიტრი ტატანაშვილმა** არაზუსტად დაარტყა. საერთოდაც, ტაიმის ბოლომდე მოედანზე „საინტერესო" არაფერი მომხდარა, მერე კი მეტოქეებმა თითო-თითო სახიფათო შეტევა განახორციელეს; ჯერ სტუმართა მართლაც ეფექტური კომბინაცია ვიხილეთ, ლამის ნახევარი გუნდი რომ მონაწილეობდა, მაგრამ **ანზორ სუხიაშვილის** საბოლოო დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა. სამაგიეროდ, მასპინძელთა საპასუხო იერიშმა მნიშვნელოვნად გადაწყვიტა თამაშის ბედი: **გიორგი მიქაბერიძე** ჩინებულ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ „მერანის" მეკარე **ჯონი შეროზიამ** არანაკლებ დიდებული რეაქციით ურთულესი ბურთი მოიგერია; თუმცა, შეტევა ამით არ დასრულებულა და მატჩში მეორე პენალტიც ვნახეთ! დიდხანს კი აპროტესტეს „მერანის" ფეხბურთელებმა, მოდებაძის ჩაწოდების შემდეგ **თორნიკე კაკუშაძეს** ბურთი ხელზე არ მოხვედრიაო, მაგრამ ასეთ დროს გადაწყვეტილებას როდის ცვლიან და დიმიტრი ტატანაშვილმაც ზედ შესვენების წინ ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, გრიგალაშვილმა შორეული დარტყმით სცადა გოლის გატანა, მაგრამ ბურთი მიზანს ასცდა. აი, ამის შემდეგ კი ხუთწუთიანი მონაკვეთი ვიხილეთ, მასპინძელთა სრული უპირატესობით რომ წარიმართა. რაც მთავარია, „მეტალურგმა" სწორედ ამ მონაკვეთში შეძლო გადამწყვეტი გოლის გატანა: მიქაბერიძემ ჯარიმა ჩააწოდა და ტატანაშვილმა ზუსტი თავური დარტყმით მასპინძლები წინ გაიყვანა. აღსანიშნავია, რომ 28 წლის ფორვარდმა სეზონში მეოთხე „დუბლი" მიითვალა! ამ გოლის მერე „მეტალურგმა" ზედიზედ სამი სახიფათო მომენტი შექმნა, მაგრამ ირაკლი მოდებაძისა და **გიორგი ქავთარაძის** ჩინებული გადაცემების მერე გიორგი მიქაბერიძემ (ორჯერ) და დიმიტრი ტატანაშვილმა ბურთის კარში ზუსტად გადაგზავნა ვერ მოახერხეს. მატჩის დამთავრებამდე დრო საკმარისზე მეტი იყო დარჩენილი, მაგრამ რეალური საგოლე მომენტი არც ერთ კართან აღარ შექმნილა; ერთადერთი სახიფათო დარტყმა მანწკავამ შეასრულა, თუმცა მისი „სტანდარტული" გრიგოლ ბედიაშვილმა მოიგერია.

...შეხვედრის ბოლო 15 წუთს ბურთს მთლიანად სტუმრები აკონტროლებდნენ, მაგრამ „მეტალურგმა" მაინც შეძლო თავისთვის სასურველი ანგარიშის შენარჩუნება და ჩემპიონატში ზედიზედ მესამე გამარჯვებით ერთობ კომფორტულ მეორე ადგილზეც მოკალათდა.

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

# რა კარგი ნახა რა ცოტამ...


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

22.10. თბილისი. მ. მესხი. 300 მაყურებელი

| | |
|---|---|
| სპარტაკი | 1 |
| ზესტაფონი | 5 |

0:1 გელაშვილი (26. აფციაურის პასით), 0:2 დვალი (37. ძარიას პასით), 0:3 გრიგალაშვილი (45. გელაშვილის პასით), 1:3 თ. შონია (59), 1:4 დვალი (72. პენ), 1:5 დვალი (79. ნინამძღვრიშვილის პასით)

| სპარტაკი | ზესტაფონი |
|---|---|
| 4-5-1 | 4-4-2 |
| ძაგანია | რ. კვასხვაძე |
| თიბილაშვილი | ბენაშვილი |
| ბოიომო | გ. ონიანი |
| დ. ლომაია | საჯაია |
| ხუბუა | ელიავა |
| შალამბერიძე | აფციაური |
| თ. შონია | გორგიაშვილი |
| მამუჩიშვილი | ძარია |
| ვ. კილასონია | შ. გრიგალაშვილი |
| შარაშენიძე | დვალი |
| მეტრეველი | გელაშვილი |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ვ. ხაჩიძე | გ. ჭიაბრიშვილი |

**სპარტაკი**

51. ვ. კილასონია – **ნ. მაისურაძე**
73. შარაშენიძე – **რ. ჯიქია**
80. შალამბერიძე – **რუხაძე**

*სათადარიგოები:* ნ. დაუშვილი, ტეტუნაშვილი, თუხარელი, დ. გელაშვილი

**ზესტაფონი**

65. გორგიაშვილი – **ფიფია**
66. კვასხვაძე – **მამალაძე**
70. გელაშვილი – **ნინამძღვრიშვილი**

*სათადარიგოები:* თ. ლონლაძე, მ. კობახიძე, ალადაშვილი, სარდალიშვილი

გაფრთხილება: კილასონია (31), ბოიომო (62), ბენაშვილი (75)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ახლა უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ზესტაფონმა" ყველა სირთულე დაძლია და ისეთ ფეხბურთს თამაშობს, ჩემპიონს რომ შეეფერება. შეიძლება, ერთ-ერთ აუტსაიდერთან თუნდაც დიდი ანგარიშით გამარჯვება განსაკუთრებული წარმატება არ იყოს, მაგრამ ფეხბურთის ის ხარისხი, რაც შაბათს "მიხეილ მესხზე" **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა გვიჩვენა, ნამდვილად იმსახურებს ქებას. "ზესტაფონს" ყველაფერი გამოუვიდა – ითამაშა ლამაზად, სწრაფად, შემტევად, კომბინაციურად და მეტოქეს, რომელსაც სტუმართა შესაჩერებლად ცდა არ დაუკლია, საფეხბურთო მასტერკლასი ჩაუტარა, მაყურებელს კი მონატრებული სანახაობა უჩვენა.

ამ მატჩიდან გასახსენებელი საკმაოდ ბევრია, მაგრამ სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, უმთავრეს ეპიზოდებზე შევჩერდებით.

ანგარიშის გახსნამდე "სპარტაკი" ურიგოდ არ გამოიყურებოდა და პირველი მომენტი სწორედ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდმა შექმნა – **ზვიად მეტრეველის** დარტყმა **როინ კვასხვაძემ** კუთხურზე მოიგერია. მალე თამაშში "სპარტაკის" მეკარე **ლაშა ძაგანიაც** ჩაერთო და თავისიანები **თორნიკე აფციაურისა** და **შოთა გრიგალაშვილის** სახიფათო დარტყმებისას იხსნა.

უკვე აშკარა იყო, რომ გოლი მწიფდებოდა და ჩემპიონები მალევე დაწინაურდნენ. აფციაურმა მოედნის ცენტრიდან შესანიშნავი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა **ნიკა გელაშვილი,** რომელიც ამგვარ სიტუაციებში იშვიათად იბნევა – 0:1.

37-ე წუთზე "ზესტაფონმა" უპირატესობა განიმტკიცა – **ირაკლი ძარიას** პასით **ჯაბა დვალმა** ახლო მანძილიდან ანგარიში ორამდე გაზარდა.

იქვე "სპარტაკი" სხვაობის შემცირებასთან ახლოს იყო. მასპინძელთაგან ერთ-ერთმა ყველაზე აქტიურმა **თეიმურაზ შარაშენიძემ** შორიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი ხარიხას მოხვდა, დამატებაზე კი მეტრეველს კვასხვაძემ აჯობა.

ამის შემდეგ გელაშვილმა ვერ გამოიყენა კარგი მომენტი, თუმცა გამანადგურებელი ანგარიში შესვენებამდე მაინც დაფიქსირდა. გელაშვილმა ამჯერად ასისტენტობა გასწია და მისი გადაცემით გრიგალაშვილმა საჯარიმოს გარედან ერთი შეხებით ულამაზესი გოლი გაიტანა.

გულშემატკივარს მოწყენის მიზეზი არც მეორე ნახევარში მისცემია. კიდევ ერთი ეფექტური გოლი ვიხილეთ, ამჯერად უკვე "სპარტაკის" შესრულებით, რომლის კაპიტანმა **თეიმურაზ შონიამ** ჩინებული სოლორეიდით ოთხი მეურვე ჩამოიცილა და თავისიანებს თამაშის გადარჩენის იმედი გაუჩინა.

ორ წუთში გელაშვილმა ბურთი ძელს გაარტყა, სპარტაკელთა იმედებს კი ცივი წყალი 72-ე წუთზე გადაესხა, როცა **დავით ლომაიამ** საკუთარ საჯარიმოში **გიორგი ონიანი** წააქცია და დვალმა პენალტით სამბურთიანი სტატუს კვო აღადგინა.

მანამდე "ზესტაფონის" მეკარე შეიცვალა – კვასხვაძემ თითი იტკინა და მის ნაცვლად მოედანზე **ზურაბ მამალაძე** გავიდა.

ცოცხლად ჩაერთო თამაშში **რატი ნინამძღვრიშვილი,** რომელმაც, მართალია, მეკარესთან პირისპირ გასვლით ვერ იხეირა, მაგრამ, სამაგიეროდ, დვალს ჰეთ თრიქის შესრულებაში დაეხმარა. ჯაბას პოკერის გახერხებაც შეეძლო, მაგრამ ძაგანიას, რომელიც, ხუთი ბურთის გაშვების მიუხედავად, სპარტაკელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ველარ აჯობა.

ბოლოს მამალაძემ მეტრეველს არ მისცა ანგარიშში სხვაობის შემცირების საშუალება და "ზესტაფონმა" შაბათ საღამოს კიდევ ერთხელ გააკეთა საჩემპიონო, ხოლო დვალმა - სანაკრებო განაცხადი.

**ლევან ჯანეზაშვილი**

---

22.10. თბილისი. მერანი (ზემავ). 800 მაყურებელი

| | |
|---|---|
| გაგრა | 2 |
| დილა | 1 |

1:0 ხუციძე (15), 1:1 ბერაია (68. ვ. ხორგუაშვილის პასით ), 2:1 შარიქაძე (88)

| გაგრა | დილა |
|---|---|
| 4-1-3-2 | 4-4-2 |
| სეფიაშვილი | მერლანი |
| ყურულაშვილი | ლომიძე |
| კალანდაძე | ქარქუზაშვილი |
| ტყეშელაშვილი | ბაქრაძე |
| ჯიშკარიანი | ვ.ხორგუაშვილი |
| ნაკონეჩნი | ჯოჯუა |
| ხუციძე | პ. ხორგუაშვილი |
| სიჭინავა | ნემსაძე |
| შარიქაძე | რაჟამაშვილი |
| კვანტალიანი | დ. ჩაგელიშვილი |
| ჯერემია | ახალკაცი |
| **მწვრთნელი:** | **მწვრთნელი:** |
| ზ. ჯელაძე | გ. ცეცაძე |

**გაგრა**

54. ჯერემია - **მაგაჯი**
67. მაგაჯი - **გაბედავა**
78. ყურულაშვილი - **ზ. ხეტიანი**

*სათადარიგოები:* ბეგაშვილი, გაბუნია, ჭკუასელი, ზვიადაძე

**დილა**

55. დ. ჩაგელიშვილი - **გ. თოდუა**
60. ჯოჯუა - **ნ. ნოზაძე**
63. ახალკაცი - **ი. ბერაია**

*სათადარიგოები:* შეყრილაძე, ცარიელაშვილი, გოგინაშვილი, ლ.ჩაგელიშვილი

გაფრთხილება: ჯერემია (50), რაჟამაშვილი (65), ტყეშელაშვილი (84), ქარქუზაშვილი (89)
არბიტრი: ლ. სილაგავა

# ჯელაძემ ანგარიში გახსნა

რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად დანიშნული **ზვიად ჯელაძის** ხელმძღვანელობით „გაგრამ" პირველი შეხვედრა ჩაატარა და ექვსმატჩიანი მოუგებელი სერიაც შეწყვიტა.

თანაბარქულიან მეტოქეთა დაპირისპირება საკმაოდ დაძაბულად წარიმართა. გაგრელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და მალე ანგარიშიც გახსნეს: ნიგერიელი **ჯონ ჯერემიას** ძლიერად დარტყმული გორელთა მცველმა **დავით ბაქრაძემ** მოიგერია, მაგრამ ბურთი **ირაკლი ხუციძეს** მიუვიდა, რომელმაც ზუსტი და ტექნიკური დარტყმით **მირზა მერლანს** შანსი არ დაუტოვა— 1:0.

ამის მერე, ხანმოკლე პერიოდში, მასპინძლებს კიდევ სამჯერ შეეძლოთ გატანა: საკმაოდ აქტიური **ნაკონეჩნის** მიერ დაახლოებით 25 მეტრიდან დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია, შემდეგ **შარიქაძის** მცდელობა დასრულდა უშედეგოდ, ბურთი მცირედით ასცდა კარს, საჯარიმოში შესულ ჯერემიას კი მოულოდნელად ფეხი დაუცდა და წაიქცა...

ტაიმის შუაში „დილას" ფეხბურთელებიც გამოფხიზლდნენ: მოედნის ცენტრიდან **პავლე ხორგუაშვილი** დაიძრა, რამდენიმე მცველს აუარა გვერდი, მაგრამ ბოლოს კონცენტრაცია დაკარგა და არაზუსტად დაარტყა. მე-40 წუთზე გორელებს რეალური მომენტი ჰქონდათ, **დავით რაჟამაშვილის** სახიფათოდ ჩაწოდებულ კუთხურს არავინ გამოეხმაურა, არადა, ბურთმა სანტიმეტრებით ჩაუქროლა **სეფიაშვილის** კარს.

განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო მეორე ნახევარი, ტემპთან ერთად იმატა კარში დარტყმებმაც. გორელ **დავით ჩაგელიშვილის** მარცხენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ მცველები დაიბნენ, თუმცა ვერც **ნემსაძე** და ვერც ახალშემოსული **თოდუა** სიტუაციაში სწრაფად ვერ გაერკვნენ და ანგარიში უცვლელი დარჩა.

სტუმართა დამრიგებელმა **გიორგი ცეცაძემ** თამაშის გადასარჩენად ცვლილებებს მიმართა და, რომ იტყვიან, გამოიცნო კიდეც: მოედანზე შესვლიდან ზუსტად ხუთ წუთში **ირაკლი ბერაიამ ვალტერ ხორგუაშვილის** ჩინებული პასი შესანიშნავად გამოიყენა —1:1.

ცოტა ხანში, **შალვა კვანტალიანის** რეიდის შემდეგ, თავის გამოჩენის იდეალური შანსი მიეცა მეკარესთან მარტო დარჩენილ **გიორგი გაბედავას**, რომელიც, ფაქტობრივად, ცარიელ კარში ურტყამდა, მაგრამ ბაქრაძემ ზედ კარის ხაზიდან კუთხურზე მოიგერია ბურთი. გატანის შანსი ჰქონდათ ასევე რაჟამაშვილსა და ბერაიას, მაგრამ მათ მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

მატჩი „გაგრამ" ბრძოლისა და გამართლების წყალობით მაინც მოიგო: ბოლოსწინა წუთზე მიკოლა ნაკონეჩნის ჩაწოდებულ კუთხურს „დილას" საჯარიმოში არეულობა მოჰყვა, საბოლოოდ ბურთი მიუვიდა **ლევან შარიქაძეს**, რომელმაც ახლო მანძილიდან საკმაოდ ეფექტური გოლი გაიტანა. ამით მან თავის გუნდს ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვა.

გასახდელისკენ მიმავალ ფეხბურთელებს შორის მცირე ექსცესი მოხდა, რომელსაც ტრიბუნებზე მყოფ ქომაგთა გალიზიანებაც მოჰყვა. როგორც გაირკვა, გაგრელი **ლაშა კალანდაძე** და გორელი **ვაჟა ნემსაძე** შელაპარაკდნენ, თუმცა საქმე ფიზიკურ შეურაცხყოფამდე არ მისულა და კონფლიქტი გუნდის ხელმძღვანელთა ჩარევის შემდეგ მალევე ამოიწურა.


გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

**მატჩის შემდეგ:**

**ზვიად ჯელაძე:** სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ძალიან პრინციპული თამაში იყო. ბიჭებმა მოინდომეს, თან გაგვიმართლა კიდეც და სასურველი სამი ქულაც მოვიპოვეთ. მიხარია, რომ ამდენი წარუმატებლობის შემდეგ, როგორც იქნა, ნავსი გავტეხეთ და გავიმარჯვეთ.

**გიორგი ცეცაძე:** შეიძლება ითქვას, რომ თანაბარი თამაში იყო და ორივე გუნდს შეეძლო გამარჯვება. ვფიქრობ, იღბალმაც ზურგი გვაქცია. პირველ ტაიმში ცუდად გამოვიყურებოდით, შემდეგ შეცვლებით გამოვასწორეთ მდგომარეობა, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი სასურველი შედეგის მისაღწევად. ჩემი ფეხბურთელების გარჯით უკმაყოფილო ვარ, ვეცდებით, დარჩენილი მატჩები უკეთესად ჩავატაროთ.

**ბესიკ გვაზავა**

---

22.10. მცხეთა. მცხეთა-პარკი. 200 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| ტორპედო | 1 |

0:1 რ. გოცირიძე (76)

| ვიტ ჯორჯია | ტორპედო |
|---|---|
| 4-2-2-1 | 4-2-3-1 |
| ძაძამია | მიგინეიშვილი |
| ხურცილავა | დ. ფოფხაძე |
| ადამაძე | ს. თოდუა |
| კასრაძე | გამეზარდაშვილი |
| ლანიაშვილი | გურული |
| ვასაძე | დოლიძე |
| გურამ გურეშიძე | გ. დათუნაიშვილი |
| კორიფაძე | დილმელაშვილი |
| ჯანელიძე | დ. ბოლქვაძე |
| ზაქრაძე | თარხნიშვილი |
| ჩიმაკაძე | რ. გოცირიძე |
| **მწვრთნელი** | **მწვრთნელი** |
| ზ. ბერიძე | გ. გეგუჩაძე |

**ვიტ ჯორჯია**

73. ზაქრაძე – **ჯულელი**
78. ვასაძე – **სიხარულიძე**

*სათადარიგოები:* რეჭია, გოგიაშვილი, მაისაშვილი, ოთარიშვილი, გიორგი გურეშიძე

**ტორპედო**

54. დოლიძე – **იოსელიანი**
64. ბოლქვაძე – **საბანაძე**
85. დილმელაშვილი – **კუხიანიძე**

*სათადარიგოები:* ქვილითაია, ფარულავა, ჩიკვილაძე, დ. კირკიტაძე

გაფრთხილება: დილმელაშვილი (49), გურული (51), კასრაძე (62), ჯანელიძე (67), საბანაძე (86)
არბიტრი: ჯ. ხორავა

# გოლი იყო, სანახაობა არა

წესით, ეს მატჩი ურიგო სანახავი არ უნდა გამოსულიყო, მაგრამ "მცხეთა პარკზე" მისულ მცირერიცხოვან გულშემატკივარს იმედები გაუცრუვდა და ყოვლად უსახური ფეხბურთის მომსწრე გახდა. შეხვედრის ყველაზე ლოგიკური ანგარიში ნულოვანი ფრე იქ ნებოდა, მაგრამ ბოლოსკენ სტუმრებმა იძალეს და "ტორპედომ" **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით ჩატარებულ მესამე მატჩში მესამე გამარჯვება იზეიმა.

კომბინაციური ფეხბურთი ვერც "ვიტ ჯორჯიამ" შემოგვთავაზა და ვერც "ტორპედომ". სახიფათო მომენტებიც კანტიკუნტად იქმნებოდა. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო, თუმცა "ტორპედომ" თამაში მალევე გაათანაბრა. შესვენებამდე მეტოქეებმა რამდენიმე არცთუ მწვავე შეტევა გაცვალეს. მასპინძელთაგან **კორიფაძის** დარტყმაა გასახსენებელი, სტუმართაგან კი **გოცირიძისა** და **ბოლქვაძის** მცდელობები.

ისე ჩანდა, გარდამტეხი შესვენების შემდეგაც არაფერი მოხდებოდა, რომ არა "ვიტ ჯორჯიას" დაცვის შეცდომა, რითაც გამოცდილმა **რევაზ გოცირიძემ** კარგად ისარგებლა და ახლო მანძილიდან გამარჯვების გოლი გაიტანა. ეს კი **გივი იოსელიანის** მიერ მოწოდებულ კუთხურს მოჰყვა.

დარჩენილ წუთებში ქუთაისელთა დაცვამ უშეცდომოდ იმოქმედა და "ტორპედო" ლიდერთა ჯგუფში კიდევ უფრო მყარად დამკვიდრდა.

**მატჩის შემდეგ**

**ზურაბ ბერიძე** ("ვიტ ჯორჯია"): "კარგად ვითამაშეთ, მაგრამ არ გაგვიმართლა. მარცხს ნამდვილად არ ვიმსახურებდით".

**გია გეგუჩაძე** ("ტორპედო"): "თამაში კონტრშეტევებზე ავაგეთ, რამაც გაამართლა. ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვება იყო და, ვფიქრობ, დღეს სამი ქულა დავიმსახურეთ".

**ლევან ჯანეზაშვილი**
მცხეთა-თბილისი

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში"
E-mail:hr@kvirispalitra.com

## ქართული ფეხბურთი

### საქართველოს XXIII ჩემპიონატი. X ტური



ავტორის ფოტო

# ინწკირ, გოლს ველით!

## კოლხური ლოსიონი: პირში გამოსავლებად მსაჯების შემგინებლებს, ანუ ბობღიაშვილს ოქრო(ს)პირი აქვს?

22.10. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე. მაყურებელი

| | |
|---|---|
| კოლხეთი | 2 |
| სიონი | 1 |

1:0 ციცხვაია (62. ცხვიტარიას პასით), 1:1 ქუცურუა (89), 2:1 ინწკირველი (90+2)

| კოლხეთი 4-4-2 | სიონი 4-3-2-1 |
|---|---|
| ბობღიაშვილი | ზუხბაია |
| გ. კილასონია | კობაური |
| ცხვიტარია | გ. ოქროპირიძე |
| ინწკირველი | სვანიძე |
| შავგულიძე | თარგამაძე |
| ქებაძე | გაბრიჭიძე |
| ცხადაია | ლ. ჩხეტიანი |
| ლომაშვილი | ქუცურუა |
| პ. დათუნაიშვილი | ისიანი |
| ციცხვაია | რეხვიაშვილი |
| მდივნიშვილი | უგულავა |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ს. ფილია | ლ. ბაჯელიძე |

**კოლხეთი**

46. ლომაშვილი - **ბოგონაია**
46. ცხადაია - **წიქარიშვილი**
78. პ.დათუნაიშვილი - **გელაჭეიშვილი**
*სათადარიგოები: ნადირაშვილი, თედიაშვილი, გულუა*

**სიონი**

74. გაბრიჭიძე - **ალავიძე**
90+1. უგულავა - **გიორგელიძე**
*სათადარიგოები: ლობჟანიძე, ხურციძე, ალფაიძე, ა. ნოზაძე, ადამაშვილი*

გაფრთხილება: ისიანი (18), ლომაშვილი (29), ჩხეტიანი (31), ცხვიტარია (58), ქებაძე (68)
გაძევება: ოქროპირიძე (82)
არბიტრი: ო. ხეცაძე (თბილისი)

არადა, პირველ ტაიმსა და საქმეს ისეთი პირი უჩანდა, ფოთელები მეტოქესთან ერთად მორიგ ულიმღამო შეხვედრას ჩაატარებდნენ. პირველ ნახევარში სამიოდე მომენტი თუ იყო გამოსარჩევი — ჯერ **ოთარ ხეცაძემ** ნაუყრუა კოლხთა მოთხოვნას, ბოლნისელმა მცველმა ხელით ითამაშაო, შემდეგ უკვე „მასპინძელი" გადარჩა: სახიფათო დარტყმული „კოლხეთის" კარს მცირედით ასცდა. თუმცა გადარჩენა უფრო „სიონზე" ითქმის — **ლადო ზუხბაიამ მდივნიშვილს** ოთხიოდე მეტრიდან დარტყმული აუღო!

რაც შეეხება მეორე ტაიმს, სტუმრებმა პირველივე წამებზე კინაღამ გაიტანეს — **ვილი ისიანის** შორეული გასროლა ყოფილი თანაგუნდელის, **მინდია ბობღიაშვილის** ოსტატობამ გააუვნებლა. ორიოდ წუთში უკვე მისი ბოლნისელი კოლეგა მოექცა ყურადღების ცენტრში, როცა მცველისაგან ასხლეტილ ბურთზე რეაგირება მოასწრო.

62-ე წუთზე გოლიც გავიდა — კარგ პოზიციაში მყოფ **დავით ციცხვაიას** ბურთი **პაატა ცხვიტარიასგან** მიუვიდა და ფორვარდს გატანა არ გასჭირვებია — 1:0.

ამის შემდეგ იყო ის ეპიზოდი, რომელიც, შეიძლებოდა, ბოლნისელთათვის გადამწყვეტიც ყოფილიყო — შეცვლაზე შესულ **არჩილ ალავიძეზე** თამაშგარეს დაფიქსირება ერთობ საჩოთირო კი იყო, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეპიზოდს ლაინსმენი ჩვენზე უკეთ ხედავდა. იქვე იყო ოქროპირიძის მიერ ლაინსმენის გინება და წითელი ბარათი...

ამას სტუმრები სულაც არ გაუტეხია, განსაკუთრებით გამორჩეული იყო **გიორგი რეხვიაშვილი**, მაგრამ ქვემოქართლელებმა ბობღიაშვილსა და დაცვას ვერაფერი დააკლეს... ბოლოსწინა წუთამდე, 89-ეზე კი **გიორგი ქუცურუამ** ჯარიმით ერთიც და მეორეც გაცურებული დატოვა — 1:1.

ამით თითქოს ყველაფერი დამთავრდა, კოლხებს ხომ „სახლში" 2 გოლი კი არა, აქამდე ერთიც არ გაეტანათ, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე მატჩის უდავოდ საუკეთესო მოთამაშემ 23-25 მეტრიდან ისეთი გაისროლა, რომ მცველებისგან დაფარულმა ზუხბაიამ ბურთის შეჩერება ველარ შეძლო — **ლექსო ინწკირველმა** ის გოლი გაიტანა, რომელსაც ფოთელი ქომაგი კარგა ხანია, ელის!

... მატჩის დასრულების შემდეგ „მესამე ტაიმი" მსაჯთა ოთახში გაგრძელდა — ბოლნისელთა წარმომადგენელი ჯერ ლაინსმენს უხსნიდა ამაოდ, 85-ე წუთზე **ალავიძის** მიერ გატანილ გოლზე თამაშგარეს დაფიქსირება გამოგონილი თუ არა, მინიმუმ უხეში შეცდომა იყოო, ხოლო შემდეგ მთავარ მსაჯსაც „მიადგა": **ოქროპირიძის** გინებისთვის დასჯა გასაგებია, მაგრამ რამდენჯერმე **ბობღიაშვილისგან** იგივე ერთხელ მაინც რატომ „ვერ გაიგონეო"?

... ლანჩხუთში გამართულ „კოლხეთის" მორიგ და პირველად გამარჯვების მომტან „საშინაო" შეხვედრას ისეთი დასასრული ჰქონდა, „მესამე ტაიმსა" და ემოციებს ნამდვილად „იმსახურებდა".

**მამუკა ქანთარია**
ლანჩხუთიდან

### ძველი ნაცნობი

# ანატოლი პისკოვეცი პოლონეთში მუშაობს

„გაგრას" ყოფილი მთავარი მწვრთნელი ანატოლი პისკოვეცი საქმიანობას პოლონეთის რანგით მეორე ლიგის კლუბში გააგრძელებს.

უკრაინელ სპეციალისტს „ოლიმპია ელბლაგი" ჩააბარეს, რომელსაც უკვე უთავკაცა ერთ, ფრედ (2:2) დასრულებულ შეხვედრაში. აღსანიშნავია, რომ პისკოვეცს მძიმე მემკვიდრეობა ერგო — „ოლიმპია" ლიგის აუტსაიდერია.

შეგახსენებთ, რომ პისკოვეცი „გაგრაში" 2010 წლის აპრილში დაინიშნა, მასსა და კლუბს შორის კონტრაქტი კი, მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს შეწყდა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

**მაგდა კლდიაშვილი**

### ფუტსალი

# გოლი და გული

## საქართველო შემდეგ ეტაპზე, მოლდოველი მწვრთნელი საავადმყოფოში

**საქართველო-მოლდოვა 2:2**

(პენალტებით 8:7)

0:1 ბაეშუ (27), 1:1 სებისკვერაძე (27), 2:1 მაისაია (30), 2:2 ტაკოტი (36).

პენალტების სერია: თოთაძე 3:2, ტაკოტი 3:3, სებისკვერაძე 4:3, ხილოტიი 4:3, (მეკარე), ტიკურიშვილი 5:3, ნატკოვსკი 5:4, სიგუნავა 5:4 (ძელი), ბურდუჟელი 5:5, ნიშნიანიძე 6:5, ბაეშუ 6:6, ჭანუყვაძე 7:6, არლეტი 7:7, ლუკავა 8:7, ლაშკუ 8:7 (ძელი)

საქართველო: **ჯამბურია, თოთლაძე, კობაიძე, ნიშნიანიძე, ტიკურიშვილი,** *კეფაშვილი (მ), სიგუნავა, ჭანუყვაძე, ლუკავა, მაისაია, ბობოხიძე (კ), სებისკვერაძე.*

მწვრთნელი: **ზაალ ჩიტალაძე**

მოლდოვა: **ნეაგუ, მუნტეანუ, ტაკოტი, ბაეშუ, ლაშკუ,** *კაპსამუნი (მ), კოიჩევი, არლეტი, ბურდუჟელი, ხილოტი (კ), ნატკოვსკი, ტოპალო.*

მწვრთნელი: **ვლადიმირ ვუსატი**

გაფრთხილება: **კოიჩევი, სებისკვერაძე, ჭანუყვაძე, ლაშკუ.**

არბიტრები: **გ. ბილუა (ბელგია), ზ. ბოგდანოვი (სერბეთი)**

ამ მატჩამდე საქართველოს ნაკრები მნიშვნელოვნად დასუსტდა - **გოგა ალთუნაშვილი** და **ალექსანდრე ძაბირაძე** დაშავდნენ, რასაც პირველ ტაიმში **დავით ბობოხიძის** ტრავმაც დაემატა, იგი მხოლოდ ტაიმის ბოლოს დაბრუნდა მოედანზე.

მოლდოვა სახიფათო მეტოქე გამოდგა, მაგრამ პირველ ტაიმში სტუმრებმა მომენტები ვერ გამოიყენეს, მათმა კაპიტანმა **ოლეგ ხილოტიმ** 10-მეტრიანი საჯარიმოც ვერ გამოიყენა.

მეორე ტაიმში ანგარიში **ვალერი ბაეშუმ** გახსნა, 12 წამში **არჩილ სებისკვერაძემ** გაათანაბრა –1:1. მალე **კახა მაისაიას** დარტყმით დავწინაურდით – 2:1. სტუმრები "ვა ბანკზე" წავიდნენ, მეკარე წინახაზელით შეცვალეს და **სერგეი ტაკოტმა** კვლავ გაათანაბრა – 2:2.

ამ დროისთვის უკვე გადაწყვეტილი იყო, რომ თბილისის ჯგუფიდან მხოლოდ პირველადგილოსანი გადიოდა. მეორე ადგილზე გასული ორ საუკეთესო მეორეადგილოსანს შორის ვერ მოხვდებოდა.

რადგან მატჩი 2:2 დასრულდა და არა 0:0 ან 1:1, სომხეთი პირველზე ვერ გავიდა – მან მალტას მხოლოდ 4:0 მოუგო და ჯგუფში გამარჯვებულის გამოსავლენად პენალტების სერია დაინიშნა.

მეკარე **ალექსანდრე ჯამბურიამ** ერთი პენალტი აიღო, **ადრიან ლაშკუმ** ძელს მოარტყა ბურთი და საქართველო მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შესარჩევ ეტაპზე გავიდა. ნაგებამ სტუმართა მწვრთნელი **ვლადიმირ ვუსატიი** ისე აღელვა, რომ მატჩის შემდეგ გულის შეტევით საავადმყოფოში წაიყვანეს.

**ა ჯგუფი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | 20-9 | 7 |
| 2. სომხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 8-4 | 5 |
| 3. მოლდოვა | 3 | 1 | 1 | 1 | 19-10 | 4 |
| 4. მალტა | 3 | 0 | 0 | 3 | 0-24 | 0 |

**მერაბ მამულაშვილი**



თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

### ლეგიონი

# მერებაშვილმა უიღბლო სერია დაასრულა

## სომხეთის ქართველი ჩემპიონები

7-თვიანი პაუზის შემდეგ გოლით შეგვახსენა თავი სერბეთში მოთამაშე ჩვენებურმა **გიორგი მერებაშვილმა**. 25 წლის შემტევმა ნახევარმცველმა, რომელსაც 5 მარტის მერე გოლი არ გაუტანია, კულის „ჰაიდუკი" დაამწუხრა. მის ანგარიშზე „ვოივოდინას" მე-2 გოლია, ნოვისადელებმა შინ 4:0 მოიგეს. შარშანდელი სეზონის პირველ ნახევარში მერებაშვილმა 6 გოლი გაიტანა, მეორეში კი მხოლოდ ერთი. კულელებთან მატჩში მერებაშვილმა შესანიშნავი დრიბლინგით პენალტიც დაიმსახურა და მეტოქეც კაცნაკლული დატოვა, მოკლედ, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი იყო.

სომხეთში ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე ტიტული ერევნის „ულისმა" გაინაღდა. სომხეთის ჩემპიონები პირველად გახდნენ **თენგიზ უგრეხელიძე, შოთა ჯიქია** და **გიორგი კრასოვსკი**, I წრეში ამ გუნდში თამაშობდა **ლევან აკობიაც**, რომელიც ახლა ზუგდიდის „ბაიაშია". კრასოვსკი 8 გოლით ბომბარდირთა დავაში ლიდერთა ჯგუფშია. კიდევ ორმა ჩვენმა ლეგიონერმა გამოიჩინა გოლებით თავი: ესტონეთში **ზაქარია ბეგლარიშვილმა** (ფლორა), ხოლო ლატვიაში - **ივანე კანდელაკმა** (სკონტო).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | ანგ. | შენიშვნა | სეზ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. I ბუნდესლიგა. X ტური** | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 34 | ჰერტა | მაინცი | 0:0 (შ) | 90 წუთი | 10 თ |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. XII ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 33 | კარლსრუე | ბოხუმი | 0:0 (შ) | 90 წუთი, გააფრთ. | 11 თ, 3 გ. |
| **იტალია. სერია ა. VII ტური** | | | | | | |
| კახა კალაძე | 33 | ჯენოა | იუვენტუსი | 2:2 (გ) | არ უთამაშია, დისკვალიფ. | 5 თ |
| **იტალია. სერია ბ. IX ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 21 | ემპოლი | სასუოლო | 1:1 (შ) | 32 წთ (შეცვლაზე) | 4 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 18 | ემპოლი | სასუოლო | 1:1 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. XII ტური** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 21 | ლე მანი | რეიმსი | 1:1 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 7 თ |
| ამირან სანაია | 21 | ბასტია | ამიენი | 1:1 (გ) | სათადარიგო | 1 თ |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. XXVIII ტური** | | | | | | |
| საბა კვერკველია | 19 | რუბინი | დინამო | | დღეს | 5 თ 1 გ |
| ჯანო ანანიძე | 19 | სპარტაკი | ტომი | 4:0 (შ) | არ უთამაშია, ტრავმა | 10 თ, 1 გ |
| ნუკრი რევიშვილი | 24 | ანჟი | ცსკა | 3:5 (შ) | 90 წუთი | 25 თ |
| ოთარ მარცვალაძე | 27 | კრასნოდ. | ვოლგა | 2:0 (გ) | 90 წუთი, 1 გოლი | 21 თ, 7 გ |
| ალექს. ამისულაშვილი | 28 | კრასნოდ. | ვოლგა | 2:0 (გ) | 90 წუთი | 22 თ, 1 გ |
| ლევან გვაზავა | 31 | ტერეკი | ამკარი | 1:0 (შ) | 45 წთ (შეცვალეს), გააფრთხ. | 19 თ |
| გია გრიგალავა | 21 | ვოლგა | კრასნოდარი | 0:2 (შ) | სათადარიგო | 18 თ |
| ლაშა სალუქვაძე | 29 | ვოლგა | კრასნოდარი | 0:2 (შ) | არ უთამაშია | 15 თ, 1 გ |
| გოჩა ხოჯავა | 26 | ვოლგა | კრასნოდარი | 0:2 (შ) | არ უთამაშია | 10 თ, 2 გ |
| მათე ვაწაძე | 22 | ვოლგა | კრასნოდარი | 0:2 (შ) | არ უთამაშია | 18 თ, 1 გ |
| ზურაბ არზიანი | 23 | ვოლგა | კრასნოდარი | 0:2 (შ) | არ უთამაშია | 3 თ |
| დავით სირაძე | 29 | ნალჩიკი | ლოკომოტ. | | დღეს | 19 თ, 2 გ |
| გუჯა რუხაია | 24 | ნალჩიკი | ლოკომოტ. | | | 7 თ |
| ზურაბ ცისკარიძე | 24 | ამკარი | ტერეკი | 0:1 (გ) | არ უთამაშია | 3 თ |
| **რუსეთი. I დივიზიონი. XXXV ტური.** | | | | | | |
| გიორგი ნავალოვსკი | 25 | ხიმკი | ვლადიმირი | | დღეს | 27 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. XIV ტური** | | | | | | |
| უჩა ლობჟანიძე | 24 | კრივბასი | კარპატი | 1:1 (შ) | 90 წუთი | 10 თ |
| ჯაბა კანკავა | 25 | კრივბასი | კარპატი | 1:1 (შ) | სათადარიგო | 11 თ |
| ალექსანდრე კობახიძე | 24 | არსენალი | ვოლინი | 0:1 (გ) | 28 წთ (შეცვლაზე) | 11 თ, 2 გ |
| ვასილ გიგიაძე | 34 | ტავრია | ვორსკლა | 2:3 (გ) | სათადარიგო | 6 თ, 2 გ |
| ბექა გოცირიძე | 22 | დნიპრო | მეტალ. დ. | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 19 | ილიჩივეცი | ობოლონი | 2:1 (შ) | არ უთამაშია | 5 თ |
| ჯაბა ლიპარტია | 23 | ზარია | დინამო | 1:6 (გ) | 90 წუთი, გააფრთხ. | 14 თ, 1 გ |
| დავით თარგამაძე | 21 | ოლექსანდ. | ჩერნომორეცი | 1:2 (გ) | არ უთამაშია | 12 თ, 3 გ |
| ალექსანდრე გურული | 25 | კარპატი | კრივბასი | 1:1 (გ) | 45 წთ (შეცვალეს) | 5 თ |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. XI ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 24 | ვიტესი | პსვ | 1:1 (შ) | 90 წუთი | 10 თ, 1 გ |
| გიორგი ჭანტურია | 18 | ვიტესი | პსვ | 1:1 (შ) | არ უთამაშია, დისკვალ. | 9 თ 3 გ |
| ვალერი ყაზაიშვილი | 18 | ვიტესი | პსვ | 1:1 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **საბერძნეთი. სუპერლიგა. VII ტური** | | | | | | |
| დავით კვირკველია | 31 | პანიონიოსი | ოლიმპიაკ. | 0:3 (შ) | 90 წუთი | 6 თ |
| გიორგი შაშიაშვილი | 32 | ერგოტელისი | პანათინაიკ. | 0:4 (გ) | 90 წუთი | 4 თ |
| **თურქეთი. სუპერლიგა. VI ტური** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 25 | სამსუნი | ფენერბაჰჩე | 0:0 (გ) | სათადარიგო | 3 თ |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 29 | ქაისერი | სივასი | 6:2 (შ) | 90 წუთი | 6 თ |
| **ავსტრია. ბუნდესლიგა. XII ტური** | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | 24 | შტურმი | ზალცბურგი | 2:1 (შ) | 2 წთ (შეცვლაზე) | 9 თ |
| **კვიპროსი. I დივიზიონი. VII ტური** | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | 33 | ეთნიკოსი | აპოელ | 0:3 (შ) | 90 წუთი | 7 თ |
| ლევან ქებაძე | 36 | ეთნიკოსი | აპოელ | 0:3 (შ) | 28 წთ (შეცვლაზე) | 7 თ |
| კლიმენტი წიტაიშვილი | 36 | ნეა სალამინა | აპოლონი | 1:2 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **ისრაელი. ლიგატ ჰაალი. VIII ტური** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 25 | მაქაბი ჰ. | ჰაპ. კ. | 0:3 (შ) | არ უთამაშია | 4 თ |
| **შვეიცარია. სუპერ ლიგა. XII ტური** | | | | | | |
| ირაკლი ჩირიკაშვილი | 23 | ქსამაქსი | ლუცერნი | 2:1 (გ) | სათადარიგო | 5 თ |
| **დანია. სასლიგა. XII ტური** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 23 | ორჰუსი | ლუნგბიუ | 1:1 (გ) | არ უთამაშია, ტრავმა | 4 თ |
| გიორგი დიასამიძე | 19 | ორჰუსი | ლუნგბიუ | 1:1 (გ) | არ უთამაშია, ტრავმა | 0 თ |
| დავით სხირტლაძე | 18 | ორჰუსი | ლუნგბიუ | 1:1 (გ) | 10 წთ (შეცვლაზე) | 2 თ |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა. XI ტური** | | | | | | |
| ნიკა ძალამიძე | 19 | ვიძევი | ლეგია | 0:2 (გ) | 33 წთ (შეცვლაზე) | 11 თ, 1 გ |
| მერაბ გიგაური | 18 | იაგიელონია | ბელხატოვი | 1:0 (შ) | არ უთამაშია | 0 თ |
| **სერბეთი. სუპერლიგა. IX ტური** | | | | | | |
| გიორგი მერებაშვილი | 24 | ვოივოდინა | კულა | 4:0 (შ) | 80 წთ (შეცვალეს), 1 გოლი | 8 თ, 1 გ |
| **უნგრეთი. NB-1. XIII ტური** | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | 23 | ლომბარდი | კეჩკემეტი | 0:3 (გ) | 90 წუთი | 13 თ, 1 გ |
| ლაშა თოთაძე | 22 | ლომბარდი | კეჩკემეტი | 0:3 (გ) | არ უთამაშია | 11 თ |
| რატი ალექსიძე | 33 | დიორი | ვიდეოტონი | 1:0 (შ) | 16 წთ (შეცვლაზე) | 13 თ 2 გ |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XXIX ტური** | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 28 | იარო | ივასკილა | 2:3 (შ) | სათადარიგო | 13 თ, 9 გ |
| **იაპონია. ჯეილიგა. XXX ტური** | | | | | | |
| დავით მუჯირი | 33 | ჰიროშიმა | კაშივა | 1:3 (შ) | 17 წთ (შეცვლაზე) | 30 თ, 6 გ |
| **სამხ. აფრიკა. PSL** | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 28 | მოროკა | ტური არ იყო | | | 7 თ |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აუგსბურგი-ვერდერი 1:1

**აუგსბურგი (4-2-2-2):** იენტცში – რაინჰარდი, მიორლე, ს. ლანგკამპი, ჰოსოგაი – დავიდსი, კალსენ-ბრაკერი – გოგია (46. ბრინკმანი), ბელინგჰაუზენი (63. ვერნერი) – ბაიერი, მიოლდერსი (88. კაპლანი).

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე – სოკრატისი (63. ექიჩი), ვოლფი, ნალდო, შმიტცი – იგნიოვსკი – ფრიტცი, ჰანტი – მარინი (58. ვაგნერი) – როზენბერგი, პისარო.

**გოლები:** 1:0 ბელინგჰაუზენი (49), 1:1 პისარო (68)

**გაფრთხილება:** ბაიერი, კალსენ-ბრაკერი, იენტცში – სოკრატისი, პისარო

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 16-11; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 10(3)-22(7); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 30 660

## ბორუსია (დ)-კიოლნი 5:0

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – კელი, ს. ბენდერი (57. ლაიტნერი) – გიოტცე (46. ბლაშჩიკოვსკი), კაგავა (71. გიუნდოგანი), გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი – რიტერი, ჯემალი, სერენო, აიხნერი – მატუშიკი, ჟაჟალო (71. პეცონი) – ჩიჰი (58. კლემენსი), ლანიგი, პეჟკო (46. როში) – პოდოლსკი.

**გოლები:** 1:0 კაგავა (7), 2:0 შმელცერი (25), 3:0 ლევანდოვსკი (44), 4:0 ლევანდოვსკი (50), 5:0 კელი (66)

**გაფრთხილება:** კელი, სუბოტიჩი – მატუშიკი, სერენო

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 6-3; **კარში დარტყმა:** 24(9)-2(1); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 80 200

## ნიურნბერგი-შტუტგარტი 2:2

**ნიურნბერგი (4-2-2-1-1):** შტეფანი – ჩანდლერი, ვოლშაიდი, კლოზე (46. მარო), პლატენჰარდტი – სიმონსი, კოენი – მაკი (69. იუდტი), ჰეგელერი (92. კამავუაკა) – ესვაინი – პეკჰარტი.

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – ბულარუზი, ტასკი, მასა, ბოკა (46. მოლინარო) – კუჟმანოვიჩი, კვისტი – ჰარნიკი, ჰაინალი, ოკაზაკი (76. ჰემლაინი) – კაკაუ.

**გოლები:** 1:0 სიმონსი (9), 1:1 კუჟმანოვიჩი (61-პენ), 2:1 ვოლშაიდი (70), 2:2 მასა (84)

**გაფრთხილება:** სიმონსი – ულრაიხი, ჰარნიკი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 14-14; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 17(7)-13(2); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 46 486

## კაიზერსლაუტ.-ფრაიბურგი 1:0

**კაიზერსლაუტერნი (4-2-2-2):** ტრაპი – დიკი, ამედიკი, აბელი, ბუგერა – დე ვიტი (93. პეცოსი), კირხი – შაჰანი, ტიფერტი – შეხტერი (89. სუკუტა-პასუ), კუემაა.

**ფრაიბურგი (4-2-3-1):** ბაუმანი – ჰინკელი, ბართი, კრმასი, ბასტიანსი (74. ბუტშერი) – შუსტერი, ფლუმი – პუცილა (68. კალიჯური), მაკიადი, აბდესადკი (79. რაიზინგერი) – სისე.

*77-ე წუთზე ტიფერტმა (კაიზერსლაუტერნი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გოლი:** 1:0 შეხტერი (75)

**გაფრთხილება:** კრმასი, ბაუმანი, ჰინკელი, ბართი

**კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 7-4; **კარში დარტყმა:** 12(5)-9(3); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 40 748

## ჰოფენჰაიმი-ბორუსია (მ) 1:0

**ჰოფენჰაიმი (4-1-2-2-1):** ჰაასი – ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰეიდი – ვილიამსი – ჯონსონი (68. მუსონა), სიგურდსონი – რობერტო ფირმინიო (77. ობასი ოგბუკე), ბაბელი – იბიშევიჩი (88. ვესტერგაარდი).

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ტერ შტეგენი – იანტშკე, შტრანცლი, დანტე, ვენდტი – ნორდტვეიტი, ნოიშტედტერი (76. მარქსი) – ჰერმანი (76. კინგი), არანგო – როისი, ჰანკე (83. ოცუ).

**გოლი:** 1:0 იბიშევიჩი (56)

**გაფრთხილება:** ბეკი – შტრანცლი, იანტშკე, დანტე

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 18-15; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 14(5)-7(1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 30 150

## ჰერტა-მაინცი 0:0

**ჰერტა (4-2-3-1):** კრაფტი – ლელი, ჰუბნიკი, მიატოვიჩი, კობიაშვილი – ოტლი, ლუსტენბერგერი (71. ნიმაიერი) – ებერტი, რაფაელი, ბენ-ჰატირა (63. თორუნი) – რამოსი (68. ლასოგა).

**მაინცი (4-1-2-1-2):** ჰ. მიულერი – პოსპეხი, ბუნგერტი, ნოვესკი, ფათი – კირხჰოფი – კალიჯური, სოტო – ივანშიტცი (73. მალი) – ალაგუი (79. რისსე), ნ. მიულერი (59. ჩუპო-მოტინგი).

**გაფრთხილება:** ნიმაიერი – ალაგუი, კირხჰოფი, ჩუპო-მოტინგი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 10-21; **თამაშგარე:** 0-5; **კარში დარტყმა:** 8(1)-13(3); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 47 064

## ჰამბურგი-ვოლფსბურგი 1:1

**ჰამბურგი (4-2-2-2):** დრობნი – ვესტერმანი, ბრუმა, რაიკოვიჩი (46. დიკმაიერი), აოგო – რინკონი, კაჩარი (79. ტეშე) – ტიორე, იანსენი (85. ლამი) – პეტრიჩი, გერერო.

**ვოლფსბურგი (4-2-3-1):** ბენალიო – მ. შეფერი, კირიაკოსი, თიოლკე, ჰასებე – ტრეში, ჟოსუე (79. ჰიტცლშპერგერი) – ოხსი, კოო (92. რუსი), დეჟაგა (55. სალიჰამიჯიჩი) – მანჯუკიჩი.

**გოლები:** 0:1 მანჯუკიჩი (2), 1:1 პეტრიჩი (56)

**გაფრთხილება:** რაიკოვიჩი, კაჩარი - ტრეში

**კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 23-24; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 19(7)-8(4); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 54 378

## ლევერკუზენი-შალკე 0:1

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ლენო – შვააბი, მ. ფრიდრიხი, ტოპრაკი, კადლეცი – ლ. ბენდერი, როლფესი – სემი, ბალაკი, შიურლე – კისლინგი.

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – ჰიოვედესი, პაპადოპულოსი, მატიპი, ფუხსი – ჯონსი, ჰოლტბი (90. მეტცელდერი) – ფარფანი (90. მორავეკი), რაული, დრაქსლერი (74. ხურადო) – ჰუნტელაარი.

**გოლი:** 0:1 ფარფანი (82)

**გაფრთხილება:** ბალაკი – ჯონსი, დრაქსლერი, ჰუნტელაარი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 13(4)-18(6); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 30 210

## ჰანოვერი-ბაიერნი 2:1

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ცილერი – ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი (46. რაუში) – შმიდებახი, პინტუ – შტინდლი, პანდერი – აბდელაუ (79. იაკონანი), შლაუდრაფი (71. ჩანდლერი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი – რაფინია (68. ალაბა), ბოატენგი, ბადშტუბერი (87. პეტერსენი), ფ. ლამი – შვაინშტაიგერი, ლუის გუსტავო – თ. მიულერი, კროოსი, რიბერი – გომესი (84. ოლიჩი).

**გოლები:** 1:0 აბდელაუ (23-პენ), 2:0 პანდერი (50), 2:1 ალაბა (83)

**გაძევება:** ბოატენგი (28. ბაიერნი), ჩერუნდოლო (63. ჰანოვერი)

**გაფრთხილება:** კ. შულცი, პინტუ, შმიდებახი, ცილერი - რიბერი

**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 19-13; **თამაშგარე:** 3-10; **კარში დარტყმა:** 12(3)-19(8); **ბურთის ფლობა:** 34%-66%.

**მაყურებელი:** 49 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 10 | 7 | 1 | 2 | 26-3 | 22 |
| 2. ბორუსია (დ) | 10 | 6 | 1 | 3 | 20-7 | 19 |
| 3. შალკე | 10 | 6 | 0 | 4 | 19-15 | 18 |
| 4. ჰანოვერი | 10 | 5 | 3 | 2 | 13-13 | 18 |
| 5. შტუტგარტი | 10 | 5 | 2 | 3 | 16-8 | 17 |
| 6. ვერდერი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-13 | 17 |
| 7. ბორუსია (მ) | 10 | 5 | 2 | 3 | 11-7 | 17 |
| 8. ჰოფენჰაიმი | 10 | 5 | 1 | 4 | 13-9 | 16 |
| 9. ლევერკუზენი | 10 | 4 | 2 | 4 | 12-14 | 14 |
| 10. ჰერტა | 10 | 3 | 4 | 3 | 12-13 | 13 |
| 11. ვოლფსბურგი | 10 | 4 | 1 | 5 | 12-17 | 13 |
| 12. კიოლნი | 10 | 4 | 1 | 5 | 15-23 | 13 |
| 13. ნიურნბერგი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| 14. კაიზერსლაუტ. | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 11 |
| 15. მაინცი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-19 | 9 |
| 16. აუგსბურგი | 10 | 1 | 5 | 4 | 8-17 | 8 |
| 17. ჰამბურგი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-22 | 8 |
| 18. ფრაიბურგი | 10 | 2 | 1 | 7 | 14-25 | 7 |

**ბომბარდირები:** 10 – გომესი (ბაიერნი); 8 – ჰუნტელაარი (შალკე); 7 – აბდელაუ (ჰანოვერი), სისე (ფრაიბურგი), ლევანდოვსკი (ბორუსია დ), პისარო (ვერდერი); 6 – მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი), პოდოლსკი (კიოლნი).

## II ბუნდესლიგა

XII ტური

**ფორტუნა-ჰანზა 2:0**
გოლები: 1:0 ლანგენეკე (27-პენ), 2:0 რიოსლერი (54)

**მიუნხენ 1860-პადერბორნი 1:1**
გოლები: 1:0 ფოლანდი (37), 1:1 მორი (83)

**კარლსრუე-ბოხუმი 0:0**

**კოტბუსი-ფიურტი 0:2**
გოლები: 0:1 ოკეანი (21), 0:2 სარარერი (73)

**ბრაუნშვაიგი-დინამო (დ) 0:2**
გოლები: 0:1 კოხი (15), 0:2 კოხი (53)

**აინტრახტი-დუისბურგი 3:0**
გოლები: 1:0 ჰოფერი (35), 2:0 ჰოფერი (53), 3:0 ა. მაიერი (65)

**ზანქტ პაული-ფრანკფურტი 2:1**
გოლები: 1:0 მ. კრუსე (3), 2:0 ნაკი (30), 2:1 გაუსი (76)

**აუე-უნიონი 1:1**
გოლები: 1:0 პაულუსი (13-პენ), 1:1 მატუშკა (18)

**ალემანია-ინგოლშტადტი 3:1**
გოლები: 1:0 ოლაიენგბესი (22), 2:0 აუერი (27), 2:1 ბუდლე (52), 3:1 ოდონკორი (92)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიურტი | 12 | 9 | 2 | 1 | 25-7 | 29 |
| 2. აინტრახტი | 12 | 8 | 4 | 0 | 31-10 | 28 |
| 3. ფორტუნა | 12 | 8 | 4 | 0 | 29-12 | 28 |
| 4. ზანქტ პაული | 12 | 8 | 1 | 3 | 25-15 | 25 |
| 5. პადერბორნი | 12 | 6 | 4 | 2 | 16-9 | 22 |
| 6. ბრაუნშვაიგი | 12 | 5 | 4 | 3 | 15-12 | 19 |
| 7. უნიონი | 12 | 5 | 3 | 4 | 18-19 | 18 |
| 8. კოტბუსი | 12 | 5 | 2 | 5 | 16-23 | 17 |
| 9. მიუნხენ 1860 | 12 | 5 | 1 | 6 | 25-21 | 16 |
| 10. დინამო (დ) | 12 | 4 | 2 | 6 | 19-21 | 14 |
| 11. აუე | 12 | 3 | 5 | 4 | 10-17 | 14 |
| 12. ფრანაკფურტი | 12 | 2 | 5 | 5 | 12-17 | 11 |
| 13. ბოხუმი | 12 | 3 | 2 | 7 | 12-22 | 11 |
| 14. დუისბურგი | 12 | 2 | 3 | 7 | 13-17 | 9 |
| 15. ჰანზა | 12 | 1 | 6 | 5 | 7-14 | 9 |
| 16. კარლსრუე | 12 | 2 | 3 | 7 | 12-24 | 9 |
| 17. ალემანია | 12 | 1 | 5 | 6 | 6-15 | 8 |
| 18. ინგოლშტადტი | 12 | 2 | 2 | 8 | 16-32 | 8 |

**ბომბარდირები:** 8 – კრუსე (ზანქტ პაული), ა. მაიერი (აინტრახტი); 7 – ნიოთე (ფიურტი), რანგელოვი (კოტბუსი), რიოსლერი (ფორტუნა), ფოლანდი (მიუნხენ 1860); 6 – ბუდლე (ინგოლშტადტი), ოკეანი (ფიურტი).

## III ბუნდესლიგა

ვეენი-ოფენბახი 3:1, არმინია-უნტერჰახინგი 2:1, ოსნაბრიუკი-კარლ ცაისი 2:2, შტუტგარტი II-ბაბელსბერგი 3:1, ვერდერი II-ზანდჰაუზენი 0:2, ბურგჰაუზენი-ზაარბრიუკენი 2:0, ერფურტი-პროისენ მიუნსტერი 1:1, რეგენსბურგი-ჰაიდენჰაიმი 1:1, დარმშტადტი-ხემნიტცი 2:1, აალენი-ობერჰაუზენი 0:0.

● გერმანია. ბუნდესლიგა. X ტური

# შეწყვეტილი სიმღერა

## ჰანოვერმა ინტრიგა დააბრუნა

8 მატჩი წაგების გარეშე, აქედან შვიდი მოგება და 770 წუთი მიღებული ბურთის გარეშე – „ბაიერნმა" ეს ბრწყინვალე სერია გუშინ ჰანოვერში დაასრულა და გერმანიის ჩემპიონატს მე-10 ტურიდან ინტრიგა დაუბრუნა. მიონხენგლადბახის „ბორუსიას" შემდეგ (1:0 პირველ ტურში), სწორედ „ჰანოვერი" აღმოჩნდა ის გუნდი, ვინც რეკორდმაისტერისთვის ერთდროულად შეძლო როგორც გოლის (თანაც ორის) გატანა, ასევე მისი დამარცხებაც – ამის გამო **მირკო სლომკას** გუნდი უდიდეს აპლოდისმენტებს იმსახურებს.

ბავარიელთა მეკარე **მანუელ ნოიერს** კი **ტიმო ჰილდებრანდის** სუპერრეკორდამდე 114 წუთი დააკლდა – ტიმომ რეკორდი 2003-2004 წლებში „შტუტგარტის" რიგებში თამაშისას დაამყარა, კარი მშლარად 884 წუთის განმავლობაში შეინახა და მას მერე მის მიღწევასთან ყველაზე ახლოს სწორედ ნოიერი გახლდათ, რომელსაც ოცნების კოშკები გუშინ „წითლების" ნორვეგიელმა თავდამსხმელმა, **მოჰამედ აბდელაუმ** დაუნგრია. მანუელისთვის ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ აბდელაუმ ეს გოლი პენალტით გაიტანა – პენალტით, რომელიც **ფილიპ ლამის** სინდისზეა: „ბაიერნის" კაპიტანმა საკუთარ საჯარიმოში **სტივ ჩერუნდოლო** წააქცია, აბდელაუმ კი თერთმეტმეტრიანი უნაკლოდ შეასრულა და სხვათა შორის, ეს მისთვის რიგით მე-7 გოლი გახლდათ ამ სეზონში. აღსანიშნავია, რომ ნოიერის რეკორდს გაცილებით ადრე, მე-11 წუთზეც შეექმნა საფრთხე, როცა იმავე აბდელაუმ მისი კარის ძელი შეაზანზარა. მერე კი, გოლამდე, მიუნხენელებს ორი ძალიან კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ვერც **გომესმა** (**ცილერმა** აუღო) და ვერც **კროოსმა** (მე-20 წუთზე ბურთი „ჰანოვერის" კარის ძელს მოარტყა) ვერაფრით იხეირეს.

გოლმა მიუნხენელები მაგრად აანერვიულა – „ბაიერნის" ფეხბურთელები უხეშობებს მოჰყვნენ. 26-ე წუთზე **რაფინიამ პინტუ** დასცა, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა. **ჟერომ ბოატენგი** და **კრისტიან შულცი** წაკინკლავდნენ, მათ ძიძგილაობაში კი „ჰანოვერის" ექიმი მოყვა, რომელიც პინტუსთვის დახმარების აღმოჩენას ცდილობდა და ბოატენგისგან მოხვდა. ექიმი წაიქცა, მსაჯი **მანუელ გრეფე** კი ჯერ ასისტენტებს გაესაუბრა და დარწმუნდა რა იმაში, რომ ბოატენგმა აშკარად გადაამეტა, რეკორდმაისტერის მცველს წითელი ბარათი აუფრიალა. კაცნაკლულმა მიუნხენელებმა შესვენებამდე კინაღამ მეორე გოლი გაუშვეს: აბდელაუს ჩაწოდებას **შტინდლი** კარგად დახვდა, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა. ერთი სიტყვით, პირველი ტაიმის დასრულებამდეც ცხადი იყო, რომ მიუნხენელებს ანგარიშის გათანაბრებაც კი ძალიან გაუჭირდებოდათ - მით უმეტეს, რომ როცა „ჰანოვერი" ანგარიშს ხსნის, მატჩების უმეტესობა გამარჯვებამდე მიჰყავს ხოლმე. „წითლებმა" მანამდე ამ სეზონში პირველი გოლი ხუთჯერ გაიტანეს და იმ ხუთიდან ოთხი შეხვედრა მოიგეს (ერთი ფრე). ტრადიცია არც თვით „ბაიერნთან" დაირღვა: მართალია, მეორე ტაიმში მიუნხენელებმა ძალიან მოინდომეს და 47-ე და 49-ე წუთებზე გომესს ორჯერ შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გოლი ისევ სლომკას შეგირდებმა შეაგდეს: **პანდერმა** 23 მეტრიდან დაარტყა, ბურთი **ლუის გუსტავოს** მოხვდა, მიმართულება შეიცვალა და ნოიერი უკვე უძლური იყო. 63-ე წუთზე „ჰანოვერს" **ჩერუნდოლო** გაუძევეს, მაგრამ რეკორდმაისტერმა მხოლოდ ისღა მოახერხა, რომ 83-ე წუთზე **ალაბამ** ერთი გაქვითა. ამ უმნიშვნელოვანესი გამარჯვებით „ჰანოვერი" მე-4 ადგილზე აძვრა, ბავარიელები კი პირველზე დარჩნენ, მაგრამ...

...მაგრამ დორტმუნდის „ბორუსია" რეკორდმაისტერს სამი ქულითღა ჩამორჩება. ჩემპიონთა ლიგაში განცდილი კრახის შემდეგ, გერმანიის მოქმედი ჩემპიონისგან რეაქციას ველოდით და ესეც ასე: ის, რაც დორტმუნდელებმა შაბათს გააკეთეს, რეაქციაზე მეტი იყო. თვითონ განსაჯეთ: „კიოლნმა" „ვესტფალენშტადიონზე" „ბორუსიას" კარში პირველად მატჩის 86-ე წუთზე დაარტყა – იმ დროს დორტმუნდელებს უკვე 5 გოლი ჰქონდათ გატანილი...

მოკლედ, BVB-მ „ოლიმპიაკოსის" ჯავრი „კიოლნზე" ამოიყარა და განამტკიცა მოსაზრება იმის შესახებ, რომ „დორტმუნდი" ამ სეზონში ყველა ფრონტზე ბრძოლით თავს არ იკლავს და ურჩევნია, ბუნდესლიგაში დაიხარჯოს ბოლომდე, ვიდრე ორი კურდღლის დევნაში ვერც ჩემპიონთა ლიგაში წავიდეს შორს და გერმანიის ჩემპიონატშიც შერცხვეს, რაც გერმანულ კლუბებს („ბაიერნის" გარდა) ხშირად ემართებათ ხოლმე. „ფანტასტიკური გოლები გავიტანეთ და ყველა დავარწმუნეთ, რომ ფეხბურთის თამაში არ დაგვიწყებია. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას: ასეთი ანგარიშით მოგებას მართლა არ ველოდი," - ეს „ბორუსიას" თავკაც **იურგენ კლოპის** სიტყვებია. მატჩის შემდეგ **სებასტიან კელს** ჰკითხეს, კი მაგრამ, ჩემპიონთა ლიგაში რა გემართებათო, რაზეც დორტმუნდელთა კაპიტანმა ასე უპასუხა: *„ამ კითხვაზე პასუხი არც ერთ ჩვენგანს არ აქვს!"* კელმა თავისი გოლი 5 წლის ვაჟს, ლუისს მიუძღვნა – დღეს დილას სახლიდან რომ გამოვდიოდი, ასე მითხრა, თუ გოლს არ გაიტან, სახლში არ შემოგიშვებო... ერთი სიტყვით, „დორტმუნდმა" ზედიზედ მეოთხე თამაში მოიგო და ახლა უკვე ოფიციალურადაა „ბაიერნის" უპირველესი მდევარი.

მესამე ადგილზე კი „შალკე" შემოსკუპდა, რაც **ჯეფერსონ ფარფანის** დამსახურებაა – 26 წლის პერუელმა 82-ე წუთზე თავისი ნახევრიდან ბრწყინვალე დრიბლინგი განახორციელა და გაიტანა გოლი, რომლითაც გელზენკირხენელებმა ლევერკუზენიდან სამი ქულა წაიღეს. არადა, „შალკემ" წინა ტურში საკუთარ მოედანზე „კაიზერსლაუტერნთან" წააგო და საქმეს ნამდვილად არ უჩანდა ისეთი პირი, რომ **ლევან ყენიას** გუნდი ამ ტურის შემდეგ მესამე ადგილზე დამკვიდრდებოდა.

პარასკევს ბრემენის „ვერდერმა" ვერ ივარგა: „მუსიკოსებმა" თავიანთ ქომაგებს ისევ გაუცრუეს იმედები. **თომას შააფის** გუნდმა ბუნდესლიგის დებიუტანტ „აუგსბურგის" (მართალია სტუმრად, მაგრამ მაინც) დამარცხება ვერ შეძლო, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმას, რომ „ვერდერს" არც წელს შეუძლია გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა. მეტიც: რომ არა **კლაუდიო პისარო**, აუგსბურგელები ბრემენელებს სულაც სამ ქულას დაატოვებინებდნენ, რადგან **ბელინგჰაუზენის** გოლით დამსახურებულად იგებდნენ.

„ნიურნბერგმა" და „შტუტგარტმა" დიდი ბრძოლა გადაიტანეს, მატჩი კი ფრედ 2:2 დასრულდა: ფრანკები შვაბებს ორჯერ უგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მოუგეს. „კაიზერსლაუტერნმა" კი კიდევ ერთხელ გაგვაოცა სასიამოვნოდ: მართალია, „ეშმაკებს" აუტსაიდერ „ფრაიბურგის" დამარცხებას (თანაც მინიმალური ანგარიშით) დიდ აქტივად ვერ ჩავუთვლით, მაგრამ საერთო ჯამში „ლაუტერნი" კარგ ფორმაშია და ორი ტურია, იგებს. სამაგიეროდ, იმედები გაგვიცრუა მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" - „ჰოფენჰაიმთან" განცდილი მარცხით, რისი წყალობითაც **ლუსიენ ფავრის** ნაქებმა ბიჭებმა მეორე ადგილი დაკარგეს და სულაც მე-7 პოზიციამდე ჩამოქვეითდნენ. „სოფლელებმა" „ჰოფე" მინიმალური ანგარიშით დაამარცხეს, ეს ერთადერთი გოლი კი **ვედად იბიშევიჩის** ანგარიშზეა, რომელიც გამოჯანმრთელდა თუ არა, მაშინვე გაიხსენა გოლის გემო და თანაც თავისიანებს სამი ქულა მოუტანა. **ლევან კობიაშვილის** „ჰერტამ" და „მაინცმა" ქულები უგოლო ფრით გაიყვეს, **ტორსტენ ფინკს** კი „ჰამბურგის" მთავარი მწვრთნელის რანგში დებიუტი წარუმატებელი გამოუვიდა – მართალია, ცხრილიდან გამომდინარე, „ჰამბურგს" „ვოლფსბურგთან" ფრე წესით წარმატებად უნდა ეთვლებოდეს, მაგრამ ხომ იცით, გერმანიაში ახალი მწვრთნელის ხელში გუნდები პირველი მატჩების აბსოლუტურ უმრავლესობას იგებენ ხოლმე. „ჰამბურგი" კი ამ მხრივაც უბედური გუნდია...



კაცი, რომელმაც ბაიერნს 770-წუთიანი მშრალი სერია შეაწყვეტინა: ჰანოვერის თავდამსხმელი მოჰამედ აბდელაუ

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

## მომდევნო ტური

28 ოქტომბერი: ფრაიბურგი-ლევერკუზენი.

29 ოქტომბერი: ბაიერნი-ნიურნბერგი, შალკე-ჰოფენჰაიმი, შტუტგარტი-ბორუსია (დ), ვოლფსბურგი-ჰერტა, ბორუსია (მ)-ჰანოვერი, მაინცი-ვერდერი.

30 ოქტომბერი: კიოლნი-აუგსბურგი, ჰამბურგი-კაიზერსლაუტერნი.

# უცხოური ფეხბურთი

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

X ტური

| | |
|---|---|
| ბერლინერი-პლაუენი | 3:0 |
| კილი-კოტბუსი II | 5:2 |
| ლაიპციგი-სტ. პაული II | 1:1 |
| მოისელვიცი-ჰანოვერი II | 5:4 |
| ჰამბურგი II-ვილჰელმსჰავენი | 0:1 |
| მეპენი-ჰაველსე | 1:4 |
| ჰალეშერი-ლიუბეკი | 0:0 |
| ვოლფსბურგი II-მაგდებურგი | 0:0 |
| გერმანია-ჰერთა II | 5:0 |

### რეგიონალლიგა (სამ)

XIV ტური

| | |
|---|---|
| აინტრახტი II-ბაიერნი (ა) | 4:0 |
| კასელი-ბაიერნი II | 1:2 |
| მიუნხენი II-ზონენჰოფი | 0:1 |
| ინგოლშტადტი II-შტ. კიკერსი | 0:2 |
| პფულენდორფი-ნიურნბერგი II | 2:2 |
| ვორმაცია-კარლსრუე II | 2:2 |
| ფიურტი II-ფრაიბურგი II | 1:2 |
| ფრანქფურტი II-მემინგენი | 2:2 |
| ჰოფენჰაიმი II-ვალდჰოფი | 3:1 |

### რეგიონალლიგა (დას)

XII ტური

| | |
|---|---|
| ელვერსბერგი-შალკე II | 2:0 |
| კიოლნი II-დორტმუნდი II | 1:2 |
| მაინცი II-ფორტუნა II | 0:0 |
| ვუპერტალი-კაიზერი II | 2:2 |
| ბოხუმი II-ლევერკუზენი II | 2:1 |
| ესენი-ლოტე | 0:2 |
| გლადბახი II-ტრიერი | 0:4 |
| ვერლი-ვიდენბრუკი | 0:1 |
| კობლენცი-ობერჰაუზენი | 3:3 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი

XII ტური

| | |
|---|---|
| ამიენი-ბასტია | 1:1 |
| ტრუა-მეცი | 1:0 |
| ჰავრი-შატორუ | 3:0 |
| რეიმსი-ლე მანი | 1:1 |
| ანჟერსი-სედანი | 1:3 |
| ლანსი-გინგამი | 0:2 |
| მონაკო-ტური | 0:0 |
| ლავალი-არლი | 2:1 |
| ისტრი-კლერმონი | 2:2 |
| ბულონი-ნანტი | დღეს |

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| ჰელმონდი-ფორტუნა | 2:2 |
| კამბური-ოსი | 4:2 |
| ცვოლე-დორდრეხტი | 5:0 |
| ტელსტარი-მაასტრიხტი | 2:3 |
| ვეენდამი-ეინდჰოვენი | 1:2 |
| ვილემი-დენ ბოში | 0:3 |
| ემენი-ალმერი | 2:2 |
| სპარტა-იგლზი | 4:1 |
| ფოლენდამი-აპელდოორნი | დღეს |

## ბელგია

### II დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| შარლერუა-აალსტი | 4:1 |
| ბრიუსელი-ლომელი | 2:2 |
| ჰაისტი-ვიზე | 1:1 |
| ოსტენდე-დენდერი | 6:1 |
| ბორინაჟი-სტანდარდი (ვ) | 2:1 |
| რუზელარე-ტუბიზე | 3:0 |
| ტინენი-სტ. ნიკლაასი | 2:4 |
| ვაასლანდი-ანტვერპენი | 1:0 |
| ვოლუვე-ეუპენი | 2:4 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

VII ტური

| | |
|---|---|
| ესტორილი-ავეში | 1:0 |
| მორეირენსე-ტროფენსე | 4:1 |
| ნავალი-ფრეამუნდე | 1:1 |
| ბელენენსეში-მადეირა | 1:1 |
| კოვილია-პორტიმონენსე | 2:0 |
| არუკა-პენაფიელი | 0:2 |
| სანტა კლარა-ოლივეირენსე | 2:1 |
| ლეიქსოეში-ატლეტიკო | 0:1 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| ეირი-დანდი | 1:3 |
| ლივინგსტონი-მორტონი | 1:1 |
| პარტიკი-ფალკირკი | 2:2 |
| რეითი-ქუინი | 0:2 |
| როსი-ჰემილტონი | 1:0 |

### II დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| ალბიონი-არბროა | 1:0 |
| კოუდენბითი-ფორფარი | 3:1 |
| დამბარტონი-ეირდრი | 1:1 |
| ისტ ფაიფი-სტირლინგი | 1:0 |
| სტენჰაუსმუირი-ბრეჩინი | 1:1 |

## შოტლანდიის თასი

| | |
|---|---|
| უაიტონი-სტრანრარი | 0:9 |
| ბოუნესი-უაიტჰილი | 2:1 |
| ალოა-ანანი | 2:2 |
| აუჩინლეკი-ტრივი | 8:1 |
| კლეჩნაკუდინი-ინვერური | 1:1 |
| დევერონველი-ბირუიკი | 4:0 |
| ედინბურგი-ირვინი | 0:1 |
| ფრეიზერბრო-ელჯინი | 0:0 |
| გალა-გოლსპი | 5:2 |
| ჰანტლი-ქუინზ პარკი | 0:3 |
| მონროუზი-კლაიდი | 2:1 |
| პიტერჰედი-ნერნი | 2:0 |
| ვეილი-ქოვი | 3:2 |
| უიკი-კიტი | 0:1 |
| კალტერი-სპარტანსი | 0:2 |
| ისტ სტირლინგი-ბაკი | 1:1 |

## ავსტრია

XII ტური

| | |
|---|---|
| ვინერი-კაპფენბერგი | 2:0 |
| აუსტრია-რაპიდი | 1:1 |
| შტურმი-ზალცბურგი | 2:1 |
| რიდი-მატერსბურგი | 2:0 |
| ადმირა-ტიროლი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადმირა | 12 | 7 | 4 | 1 | 26-17 | 25 |
| 2. აუსტრია | 12 | 6 | 3 | 3 | 24-16 | 21 |
| 3. ზალცბურგი | 12 | 5 | 4 | 3 | 18-11 | 19 |
| 4. რიდი | 12 | 5 | 4 | 3 | 19-13 | 19 |
| 5. რაპიდი | 12 | 4 | 5 | 3 | 18-12 | 17 |
| 6. შტურმი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-18 | 17 |
| 7. ვინერი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-20 | 13 |
| 8. ტიროლი | 12 | 2 | 6 | 4 | 13-20 | 12 |
| 9. მატერსბურგი | 12 | 1 | 5 | 6 | 15-22 | 8 |
| 10. კაპფენბერგი | 12 | 2 | 2 | 8 | 10-25 | 8 |

## კვიპროსი

VII ტური

| | |
|---|---|
| არისი-ერმისი | 3:0 |
| ეთნიკოსი-აპოელი | 0:3 |
| ნეა სალამისი-აპოლონი | 1:2 |
| ენოსისი-ოლიმპიაკოსი | 0:1 |
| ალკი-ანაგენისი | 4:0 |
| აელ-ანორთოსისი | 0:0 |
| ომონია-აეკ | დღეს |

## დანია

XIII ტური

| | |
|---|---|
| ოლბორგი-ოდენსე | 2:1 |
| სონდერიისკი-ჰორსენსი | 1:4 |
| ლუნგბიუ-აგფ ორჰუსი | 1:1 |
| კიოგე-მიდტიულანდი | 1:1 |
| სილკებორგი-ბრონდბიუ | 2:1 |
| კოპენჰაგენი-ნორდსილანდი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 12 | 9 | 2 | 1 | 21-9 | 29 |
| 2. მიდტიულანდი | 13 | 8 | 1 | 4 | 21-16 | 25 |
| 3. ჰორსენსი | 13 | 6 | 4 | 3 | 26-17 | 22 |
| 4. ნორდსილანდი | 12 | 7 | 1 | 4 | 16-10 | 22 |
| 5. აგფ ორჰუსი | 13 | 5 | 6 | 2 | 19-13 | 21 |
| 6. ოლბორგი | 13 | 5 | 4 | 4 | 19-17 | 19 |
| 7. ოდენსე | 13 | 5 | 3 | 5 | 24-24 | 18 |
| 8. სილკებორგი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-19 | 16 |
| 8. სონდერიისკი | 13 | 4 | 4 | 5 | 16-19 | 16 |
| 10. ბრონდბიუ | 13 | 3 | 3 | 7 | 16-19 | 12 |
| 11. ლუნგბიუ | 13 | 2 | 2 | 9 | 12-23 | 8 |
| 12. კიოგე | 13 | 1 | 2 | 10 | 12-32 | 5 |

### II დივიზიონი

XI ტური

როსკილდე-ვეილე 0:3; სკივე-ნაესტვედი 1:0; ვესტსიელანდი-ჰობრო 0:0; ფრედერისია-ვიბორგი 1:2; ესბერგი-ბლოხუსი 2:1; აკადემისკი-რანდერსი 2:3; ჰიორინგი-ბრონსჰოი 2:2.

## ფინეთი

XXXI ტური

| | |
|---|---|
| იარო-იუვიასკიულა | 2:3 |
| ჰაკა-ტურკუ | 0:1 |
| ჰიკ-მიუპა | 4:1 |
| კუოპიო-როვანიემი | 1:0 |
| ვაასა-ჰონკა | 0:1 |
| მარიეჰამნი-ინტერი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 31 | 24 | 3 | 4 | 77-20 | 75 |
| 2. ინტერი | 31 | 15 | 8 | 8 | 67-42 | 53 |
| 3. ჰონკა | 31 | 13 | 12 | 6 | 55-38 | 51 |
| 4. იუვიასკიულა | 31 | 13 | 12 | 6 | 57-46 | 51 |
| 5. ტურკუ | 31 | 13 | 10 | 8 | 47-41 | 49 |
| 6. მარიეჰამნი | 31 | 10 | 7 | 14 | 38-44 | 37 |
| 7. კუოპიო | 31 | 9 | 10 | 12 | 41-53 | 37 |
| 8. მიუპა | 31 | 10 | 5 | 16 | 33-47 | 35 |
| 9. ჰაკა | 31 | 9 | 7 | 15 | 32-54 | 34 |
| 10. ვაასა | 31 | 6 | 13 | 12 | 27-41 | 31 |
| 11. იარო | 31 | 7 | 9 | 15 | 46-59 | 30 |
| 12. როვანიემი | 31 | 5 | 8 | 18 | 37-72 | 23 |

### II დივიზიონი

XXIV ტური

ოულუ-კემი 3:0; ესპოო-ვიიკინგიტი 3:2; ჰამეენლინა-კპვ 5:2; ლაჰტი-ოპს 1:2; ჰიფკ-პკ35 1:0; კოტპე-პოპა 3:0.

## საბერძნეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ასტერასი-ქსანთი | 1:1 |
| ატრომიტოსი-იანინა | 1:0 |
| პანათინაიკოსი-ერგოტელისი | 4:0 |
| ოფი-აეკ | 3:1 |
| პანიონიოსი-ოლიმპიაკოსი | 0:3 |
| არისი-პაოკ | 1:1 |
| კავალა-კერკირა | გადაიდო |
| ოლიმპიაკ (ვ)-პანაიტოლიკ | გადაიდო |

## ირლანდია

XXXV ტური

| | |
|---|---|
| ბოჰემიანსი-სლიგო | 0:3 |
| დანდალკი-დროგედა | 1:0 |
| გალვეი-ბრეი | 0:6 |
| სტ. პატსი-დერი | 1:1 |
| უნივერსიტი-შემროკი | დღეს |

### II დივიზიონი

XXXII ტური

კორკი-ლონგფორდი 3:1; უოტერფორდი-მერვუ 2:0; მონეგანი-ლიმერიკი 0:1; სოლტჰილი-შელბურნი 1:4; ფინ ჰარპსი-უექსფორდი 4:1.

## ნორვეგია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| სტაბეკი-მიოლდე | 1:1 |
| ბრანი-სპარტა | 1:0 |
| ოდ გრენლანდი-ჰაუგესუნდი | 1:0 |
| ტრომსიო-სიოგნდალი | 0:0 |
| ვიკინგი-ლილესტრიომი | 2:0 |
| სტრიომსგოდსეტი-რუსენბორგი | 3:1 |
| ოლესუნდი-ვოლერენგა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მიოლდე | 27 | 16 | 6 | 5 | 48-33 | 54 |
| 2. ტრომსიო | 27 | 13 | 7 | 7 | 46-31 | 46 |
| 3. ვოლერენგა | 26 | 13 | 5 | 8 | 37-27 | 44 |
| 4. რუსენბორგი | 26 | 12 | 7 | 7 | 60-33 | 43 |
| 5. ბრანი | 27 | 12 | 6 | 9 | 42-43 | 42 |
| 6. ოდ გრენლანდ | 27 | 12 | 6 | 9 | 38-40 | 42 |
| 7. სტრიომსგოდ | 27 | 11 | 8 | 8 | 39-35 | 41 |
| 8. ჰაუგესუნდი | 27 | 12 | 4 | 11 | 47-40 | 40 |
| 9. სტაბეკი | 26 | 11 | 5 | 10 | 43-44 | 38 |
| 10. ვიკინგი | 27 | 9 | 8 | 10 | 29-35 | 35 |
| 11. ოლესუნდი | 25 | 9 | 6 | 10 | 27-32 | 33 |
| 12. ლილესტრიომ | 27 | 9 | 5 | 13 | 45-49 | 32 |
| 13. სიოგნდალი | 27 | 7 | 9 | 11 | 22-29 | 30 |
| 14. ფრედრიკსტ | 25 | 8 | 4 | 13 | 32-36 | 28 |
| 15. სტარტი | 26 | 7 | 3 | 16 | 35-50 | 24 |
| 16. სარპსბორგი | 27 | 4 | 5 | 18 | 26-59 | 17 |

### II დივიზიონი

XXIX ტური

ასკერი-ჰიოდი 0:3; ბრინი-ნილი 2:2; ჰამკამი-სანდეფიორდი 1:4; ჰოინეფოსი-მიონდალენი 3:0; კონგსვინგერი-ბოდო გლიმტი 2:0; რანჰეიმი-რანდაბერგი 3:0; სანდნესი-ლოვ ჰამი 6:0; სტრომენი-ალტა 1:2.

## შვედეთი

XXX ტური

| | |
|---|---|
| იურგორდენი-გეფლე | 1:1 |
| ელფსბორგი-ტრელებორგი | 3:0 |
| ჰაკენი-კალმარი | 1:2 |
| ჰელსინგბორგი-აიკ | 1:1 |
| გიოტებორგი-ნორჩოპინგი | 3:0 |
| მიალბიუ-ჰალმსტადი | 2:0 |
| ერებრუ-მალმიო | 1:2 |
| სირიანსკა-გაისი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგ | 30 | 18 | 9 | 3 | 55-27 | 63 |
| 2. აიკ | 30 | 18 | 4 | 8 | 46-27 | 58 |
| 3. ელფსბორგი | 30 | 18 | 3 | 9 | 52-32 | 57 |
| 4. მალმიო | 30 | 15 | 9 | 6 | 37-30 | 54 |
| 5. გაის | 30 | 16 | 3 | 11 | 47-34 | 51 |
| 6. ჰაკენი | 30 | 14 | 7 | 9 | 52-32 | 49 |
| 7. გიოტებორგი | 30 | 13 | 6 | 11 | 42-34 | 45 |
| 8. კალმარი | 30 | 13 | 5 | 12 | 39-34 | 44 |
| 9. გეფლე | 30 | 10 | 11 | 9 | 31-39 | 41 |
| 10. მიალბიუ | 30 | 12 | 4 | 14 | 33-39 | 40 |
| 11. იურგორდენ | 30 | 10 | 6 | 14 | 36-40 | 36 |
| 12. ერებრუ | 30 | 11 | 3 | 16 | 36-45 | 36 |
| 13. ნორჩოპინგი | 30 | 9 | 7 | 14 | 32-49 | 34 |
| 14. სირიანსკა | 30 | 8 | 4 | 18 | 27-44 | 28 |
| 15. ტრელებორგ | 30 | 7 | 4 | 19 | 39-64 | 25 |
| 16. ჰალმსტადი | 30 | 3 | 5 | 22 | 24-58 | 14 |

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ანგელჰოლმი-ჰამარბიუ 0:1; ატვიდაბერგი-ოსტერი 0:1; ბრაგე-დეგერფორსი 1:1; ბრომაპიოკარნა-ლიუნგსკილე 3:1; ფალკენბერგი-ვარნამო 4:0; იონჩოპინგი-სუნდსვალი 2:1; კვიდინგი-ასირისკა 0:5; ვასტერასი-ლანდსკრონა 3:3.

## შვეიცარია

XII ტური

| | |
|---|---|
| ლოზანა-თუნი | 1:0 |
| ლუცერნი-ქსამაქსი | 1:2 |
| სერვეტი-სიონი | 0:2 |
| იანგ ბოიზი-გრასჰოპერსი | 0:1 |
| ციურიხი-ბაზელი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუცერნი | 12 | 7 | 3 | 2 | 18-7 | 24 |
| 2. სიონი | 12 | 7 | 2 | 3 | 19-12 | 23 |
| 3. ბაზელი | 12 | 6 | 4 | 2 | 27-13 | 22 |
| 4. იანგ ბოიზი | 12 | 6 | 3 | 3 | 20-12 | 21 |
| 5. ქსამაქსი | 12 | 5 | 3 | 4 | 14-15 | 18 |
| 6. თუნი | 12 | 4 | 4 | 4 | 14-14 | 16 |
| 7. სერვეტი | 12 | 3 | 3 | 6 | 16-22 | 12 |
| 8. ციურიხი | 11 | 3 | 1 | 7 | 16-17 | 10 |
| 9. გრასჰოპერსი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-23 | 10 |
| 10. ლოზანა | 12 | 2 | 2 | 8 | 9-27 | 8 |

### ჩელენჯლიგა

X ტური

არაუ-ბრიული 1:0; დელემონი-ეტუალ კარუჟი 0:1; ლოკარნო-კრინსი 1:3; ლუგანო-ვილი 0:3; ნიონე-ბელინცონა 1:2; სტ. გალენი-ბილი 4:1; ვინტერტური-კიასო 0:0; ვადუცი-ვოლენი დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

VII ტური

| | |
|---|---|
| ქართალი-დენიზლი | 3:1 |
| გიოზთეფე-გაზიანთეფი ბბ | 0:1 |
| ადანა-საქარია | 2:2 |
| ელაზიგი-ახისარი | 1:0 |
| თავშანლი-გიონგურენი | 2:0 |
| ქონია-ქარსიაქა | 1:0 |
| ბუკა-რიზე | 0:1 |
| ერჩიესი-გირესუნი | დღეს |
| ქასიმფაშა-ბოლუ | დღეს |

## უელსი

XII ტური

| | |
|---|---|
| აფან ლიდო-ლანელი | 0:0 |
| ეირბასი-პრესტატინი | 2:1 |
| ბანგორი-ნითი | 2:1 |
| კარმარტენი-ბალა | 0:1 |
| ნიუთაუნი-ებერისტვითი | 1:2 |
| ნიუ საინტსი-პორტ ტელბოტი | 3:2 |

## ბელარუსი

XIII ტური

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-შახტიორი | 3:2 |
| ნემანი-გომელი | 2:2 |
| დინამო (ბრ)-ნაფტანი | 0:1 |
| ვიტებსკი-მინსკი | 1:0 |
| დნეპრი-ბელშინა | 0:0 |
| ბატე-ტორპედო | 4:2 |

## ბოსნია

X ტური

| | |
|---|---|
| ზვიეზდა-გაბელა | 0:0 |
| ბორაცი-სლობოდა | 4:1 |
| რუდარი-ლეოტარი | 2:0 |
| ტრავნიკი-კოზარა | 0:0 |
| ოლიმპიკი-სლავია | 2:0 |
| შიროკი ბრიეგი-ჩელიკი | 1:0 |
| ზრინსკი-სარაევო | 1:1 |
| ჟელეზნიჩარი-ველეჟი | 4:1 |

## ხორვატია

XII ტური

| | |
|---|---|
| ინტერი-ზაგრები | 3:1 |
| სპლიტი-ისტრა | 3:1 |
| დინამო-რიეკა | 2:0 |
| ციბალია-ზადარი | 2:0 |
| სლავენი-შიბენიკი | 1:0 |
| კარლოვაცი-ლოკომოტივა | 0:1 |
| ოსიეკი-ვარაჟდინი | 2:2 |
| ლუჩკო-ჰაიდუკი | 0:3 |

## ჩეხეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| დუკლა-იაბლონეცი | 1:3 |
| პლზენი-ვიქტორია | 4:1 |
| ჰრადეცი-სლოვაცკო | 0:1 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 2:0 |
| ლიბერეცი-ბანიკი | 3:2 |
| პრშიბრამი-სიგმა | 4:1 |
| ბოლესლავი-ბოჰემიანსი 1905 | 2:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტა | 10 | 9 | 0 | 1 | 23-7 | 27 |
| 2. იაბლონეცი | 11 | 7 | 1 | 3 | 32-11 | 22 |
| 3. პლზენი | 11 | 6 | 3 | 2 | 24-15 | 21 |
| 4. ლიბერეცი | 11 | 6 | 3 | 2 | 23-14 | 21 |
| 5. ბოლესლავი | 11 | 5 | 4 | 2 | 16-11 | 19 |
| 6. ბოჰემიანსი | 11 | 5 | 3 | 3 | 10-13 | 18 |
| 7. სლოვაცკო | 11 | 5 | 2 | 4 | 11-11 | 17 |
| 8. დუკლა | 11 | 4 | 3 | 4 | 15-13 | 15 |
| 9. პრშიბრამი | 11 | 5 | 0 | 6 | 18-22 | 15 |
| 10. სიგმა | 11 | 3 | 5 | 3 | 14-14 | 14 |
| 11. ტეპლიცე | 10 | 4 | 2 | 4 | 11-14 | 14 |
| 12. სლავია | 11 | 3 | 3 | 5 | 8-14 | 12 |
| 13. ჰრადეცი | 11 | 3 | 2 | 6 | 7-12 | 11 |
| 14. ვიქტორია | 11 | 2 | 1 | 8 | 8-20 | 7 |
| 15. ბანიკი | 11 | 1 | 2 | 8 | 8-23 | 5 |
| 16. ბუდეიოვიცე | 11 | 0 | 4 | 7 | 8-22 | 4 |

### II დივიზიონი

XII ტური

სპარტა II-ბრნო 2:2; სლოვანი-სეზიმოვო 3:3; ჟლინი-ჩასლავი 1:0; ოპავა-ბოჰემიანსი 2:3; კარვინა-სოკოლოვი 2:1; მოსტი-იგლავა 0:0; ზნოიმო-უსტი 2:1; ვლაშიმი-ტრშინეცი 2:2.

## ესტონეთი

XXXV ტური

| | |
|---|---|
| ვილიანდი-აიაქსი | 8:0 |
| ტრანსი-ლევადია | 0:2 |
| კალიუ-კურესაარე | 3:0 |
| ფლორა-პაიდე | 2:1 |
| ტამეკა-კალევი | 2:0 |

## უნგრეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ჰონვედი-დიოშდიორი | 2:1 |
| პეჩი-დებრეცენი | 0:0 |
| კეჩკემეტი-ლომბარდ პაპა | 3:0 |
| ფერენცვაროში-უიპეშტი | 3:0 |
| ზალაეგერსეგი-შიოფოკი | 1:1 |
| ვაშაში-პაკში | 1:0 |
| ჰალადაში-კაპოშვარი | 1:1 |
| დიორი-ფეჰერვარი | 1:0 |

## ისრაელი

IX ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (ფ-თ)-ჰაპოელი (ა) | 0:1 |
| ირონი (რ-ა)-ბნეი იეჰუდა | 2:1 |
| ირონი (რ-ლ)-ჰაპოელი (ა) | 0:3 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (ბ-შ) | 2:1 |
| მაკაბი (ჰ)-ირონი (ქ-შ) | 0:3 |
| აშდოდი-ჰაპოელი (თ-ა) | 2:0 |
| მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ფ-თ) | 1:0 |

## ლატვია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| დაუგავა-მეტალურგსი | 0:1 |
| სკონტო-იეგლავა | 2:1 |
| იურმალა-გულბენე | 2:2 |
| ვენტსპილსი-ფკ იურმალა | 2:0 |

## ლიტვა

XXX ტური

| | |
|---|---|
| ატლანტასი-კლაიპედა | 2:2 |
| ტაურასი-ეკრანასი | 0:1 |
| კაუნასი-ბანგა | 2:0 |
| მაჟეიკიაი-კრუოია | 1:4 |
| დაინავა-შიაულიაი | 0:1 |
| სუდუვა-ჟალგირისი | 2:0 |

## მოლდოვა

XIII ტური

| | |
|---|---|
| აკადემია-კოსტულენი | 1:0 |
| მილსამი-ნისტრუ | 1:2 |
| ოლიმპია-ზიმბრუ | 0:0 |
| ისკრა-სფინტული | 3:0 |
| დაჩია-ცსკა | 3:0 |
| შერიფი-ტირასპოლი | 3:1 |

## პოლონეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| ლეგია-ვიძევი | 2:0 |
| იაგელონია-ბელხატოვი | 1:0 |
| ლკს-ვისლა | 1:2 |
| ლეჩია-ლეხი | 0:0 |
| შლიონსკი-პოდბესკიძე | 1:0 |
| ზაგლებე-კორონა | 3:1 |
| გურნიკი-რუხი | 1:2 |
| კრაკოვია-პოლონია | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შლიონსკი | 11 | 7 | 1 | 3 | 19-10 | 22 |
| 2. ლეგია | 10 | 7 | 0 | 3 | 19-9 | 21 |
| 3. ვისლა | 11 | 6 | 3 | 2 | 14-9 | 21 |
| 4. ლეხი | 11 | 6 | 2 | 3 | 22-8 | 20 |
| 5. კორონა | 11 | 5 | 4 | 2 | 14-11 | 19 |
| 6. რუხი | 11 | 6 | 1 | 4 | 15-14 | 19 |
| 7. იაგელონია | 11 | 5 | 2 | 4 | 18-20 | 17 |
| 8. პოლონია | 10 | 4 | 3 | 3 | 11-12 | 15 |
| 9. ვიძევი | 11 | 3 | 5 | 3 | 10-11 | 14 |
| 10. ლეჩია | 11 | 3 | 4 | 4 | 6-7 | 13 |
| 11. პოდბესკიძე | 11 | 3 | 3 | 5 | 9-16 | 12 |
| 12. ლკს | 11 | 3 | 2 | 6 | 8-20 | 11 |
| 13. ზაგლებე | 10 | 2 | 4 | 4 | 9-11 | 10 |
| 14. გურნიკი | 11 | 2 | 4 | 5 | 10-15 | 10 |
| 15. ბელხატოვი | 11 | 2 | 2 | 7 | 11-13 | 8 |
| 16. კრაკოვია | 10 | 1 | 2 | 7 | 6-15 | 5 |

## რუმინეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| კლუჟი-ჩახლაული | 2:1 |
| ვოინტა-კონკორდია | 1:0 |
| მიოვენი-პეტროლული | 0:0 |
| დინამო-ბრაშოვი | 0:0 |
| პანდური-უნივერსიტატეა | 1:0 |
| გაზ მეთანი-სპორტული | 3:1 |
| ტარგუ-ოცელული | 1:2 |
| ასტრა-ვასლუი | დღეს |
| სტიაუა-რაპიდი | დღეს |

## რუსეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ვოლგა-კრასნოდარი | 0:2 |
| ტერეკი-ამკარი | 1:0 |
| ყუბანი-კრილია | 1:1 |
| როსტოვი-ზენიტი | 1:3 |
| სპარტაკი-ტომი | 4:0 |
| ანჟი-ცსკა | 3:5 |
| ნალჩიკი-ლოკომოტივი | დღეს |
| დინამო-რუბინი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 27 | 15 | 9 | 3 | 52-23 | 54 |
| 2. ცსკა | 27 | 14 | 10 | 3 | 48-25 | 52 |
| 3. დინამო | 27 | 15 | 6 | 6 | 48-27 | 51 |
| 4. ლოკომოტივი | 27 | 14 | 7 | 6 | 46-25 | 49 |
| 5. სპარტაკი | 27 | 13 | 7 | 7 | 40-32 | 46 |
| 6. რუბინი | 27 | 12 | 9 | 6 | 37-25 | 45 |
| 7. ყუბანი | 27 | 13 | 5 | 9 | 34-25 | 44 |
| 8. ანჟი | 27 | 11 | 9 | 7 | 30-25 | 42 |
| 9. კრასნოდარი | 27 | 9 | 8 | 10 | 36-39 | 35 |
| 10. როსტოვი | 27 | 7 | 7 | 13 | 27-40 | 28 |
| 11. ამკარი | 27 | 6 | 9 | 12 | 18-34 | 27 |
| 12. ვოლგა | 27 | 7 | 4 | 16 | 23-35 | 25 |
| 13. ტერეკი | 27 | 6 | 7 | 14 | 25-43 | 25 |
| 14. კრილია | 27 | 5 | 8 | 14 | 17-38 | 23 |
| 15. ნალჩიკი | 27 | 4 | 9 | 14 | 20-33 | 21 |
| 16. ტომი | 27 | 4 | 8 | 15 | 18-50 | 20 |

## სერბეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ვოივოდინა-ჰაიდუკი | 4:0 |
| სპარტაკი-რადი | 0:0 |
| იავორი-პარტიზანი | 0:2 |
| სმედერევო-იაგოდინა | 1:2 |
| ბორჩა-ოფკ | 1:0 |
| ბორაცი-სევოინო | 1:2 |
| ცრვენა ზვეზდა-ბასკ | 3:1 |
| რადნიჩკი-მეტალაკი | 3:2 |

## სლოვაკეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| რუჟომბეროკი-ტრენჩინი | 1:1 |
| მორავცე-ნიტრა | 1:1 |
| ბისტრიცა-დ. სტრედა | 1:0 |
| ტრნავა-კოშიცე | 1:0 |
| ჟილინა-ტატრანი | 1:0 |
| შენიცა-სლოვანი | 2:2 |

## [illegible]

XV ტური

| | |
|---|---|
| [illegible]-დომჟალე | 0:3 |
| კოპერი-ნაფტა | 4:1 |
| ცელიე-რუდარი | 2:3 |
| ოლიმპია-ტრიგლავი | 1:0 |
| მურა-მარიბორი | 1:3 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკრაინა

XIV ტური

| | |
|---|---|
| კრივბასი-კარპატი | 1:1 |
| დნიპრო-მეტალურგი | 1:0 |
| ილიჩივეცი-ობოლონი | 2:1 |
| ჩერნომორეცი-ოლექსანდრია | 2:1 |
| შახტარი-მეტალისტი | 1:2 |
| ვორსკლა-ტავრია | 3:2 |
| დინამო-ზორია | 6:1 |
| ვოლინი-არსენალი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 14 | 11 | 3 | 0 | 32-7 | 36 |
| 2. მეტალისტი | 14 | 10 | 4 | 0 | 22-9 | 34 |
| 3. შახტარი | 14 | 10 | 3 | 1 | 33-10 | 33 |
| 4. არსენალი | 14 | 6 | 5 | 3 | 19-10 | 23 |
| 5. დნიპრო | 14 | 6 | 3 | 5 | 23-19 | 21 |
| 6. ვორსკლა | 14 | 6 | 3 | 5 | 18-16 | 21 |
| 7. კრივბასი | 14 | 6 | 3 | 5 | 12-12 | 21 |
| 8. მეტალურგი | 14 | 6 | 1 | 7 | 13-16 | 19 |
| 9. ტავრია | 14 | 4 | 5 | 5 | 20-20 | 17 |
| 10. ილიჩივეცი | 14 | 4 | 3 | 7 | 16-23 | 15 |
| 11. ვოლინი | 14 | 4 | 3 | 7 | 14-24 | 15 |
| 12. ჩერნომორეცი | 14 | 3 | 5 | 6 | 12-17 | 14 |
| 13. ზორია | 14 | 3 | 3 | 8 | 13-26 | 12 |
| 14. კარპატი | 14 | 2 | 5 | 7 | 11-19 | 11 |
| 15. ოლექსანდრია | 14 | 2 | 4 | 8 | 11-24 | 10 |
| 16. ობოლონი | 14 | 0 | 5 | 9 | 6-23 | 5 |

## ჩრ. ირლანდია

XIII ტური

| | |
|---|---|
| კერიკი-ბალიმენა | 0:2 |
| კლიფტონვილი-კრუზეიდერსი | 2:1 |
| დონეგალი-გლენავონი | 2:1 |
| დუნგანონი-გლენტორანი | 0:5 |
| ლინფილდი-პორტადაუნი | 2:0 |
| ლისბურნი-კოლრეინი | 1:3 |

## აზერბაიჯანი

IX ტური

| | |
|---|---|
| ბაქო-ხაზარი | 2:2 |
| სიმურგი-ყარაბახი | 0:1 |
| ქაფაზი-ნეფთჩი | 1:1 |
| აზალ-რავანი | 1:2 |
| თურანი-სუმგაიტი | 1:0 |
| ინტერი-გაბალა | 1:1 |

## ბრაზილია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ამერიკა-გრემიო | 2:2 |
| ავაი-ბოტაფოგო | 3:2 |
| ფლუმინენსე-ატ. მინეირო | 0:2 |
| პალმეირასი-ფიგეირენსე | 1:2 |
| ატ. პარანაენსე-სეარა | 1:0 |
| ბაია-ვასკო | 0:2 |
| ინტერნასიონალი-კორინთიანსი | 1:1 |
| სან პაულუ-კურიტიბა | 0:0 |
| კრუზეირო-ატ. გოიანიენსე | 3:2 |
| ფლამენგო-სანტოსი | 1:1 |

## ჩილე

XIII ტური

| | |
|---|---|
| აუდაქსი-დეპორტესი | 3:0 |
| ლა კალერა-ო'ჰიგინსი | 1:0 |
| ლა სერენა-სან ფელიპე | 2:1 |
| უნ. კონსეპსიონი-ს. მორნინგი | 2:2 |
| პალესტინო-უნ. დე ჩილე | 1:1 |
| უნ. ესპანიოლა-ატ. ნუბლენსე | 3:1 |
| კობრელოა-უაჩიპატო | 1:0 |
| კობრესალი-უნ. კატოლიკა | 2:2 |

## ეკვადორი

XIV ტური

| | |
|---|---|
| ლიგა დე ლოხა-იმბაბურა | 4:0 |
| ოლმედო-ინდეპენდიენტე | 1:0 |
| დეპ. კუენსა-მანტა | 2:0 |
| დეპ. კიტო-ემელეკი | 2:0 |
| ესპოლი-ლიგა დე კიტო | 1:0 |

## მექსიკა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ხაგუარესი-სან ლუისი | 3:1 |
| კერეტარო-კრუს ასული | 1:0 |
| ტეკოსი-სანტოსი | 5:2 |
| ტიგრესი-მონტერეი | 0:0 |
| პაჩუკა-პუმასი | 0:0 |
| ატლასი-მორელია | 1:1 |
| ატლანტე-ტიხუანა | 1:1 |
| ტოლუკა-პუებლა | 4:3 |

## აშშ

| | |
|---|---|
| ტორონტო-ნიუ ინგლენდი | 2:2 |
| ვანკუვერი-კოლორადო | 1:2 |
| დი სი იუნაიტედი-კანზასი | 0:1 |
| ჩიკაგო-კოლამბუსი | 3:2 |
| სოლტ ლეიკი-პორტლენდი | 1:1 |
| ჩივასი-სიეტლი | 1:3 |
| სან ხოსე-დალასი | 4:2 |

## იაპონია

XXIX ტური

| | |
|---|---|
| ომია-ნაგოია | 2:3 |
| ჰიროშიმა-კაშივა | 1:3 |
| ვეგალტა-კავასაკი | 0:0 |
| იამაგატა-გამბა | 0:5 |
| იოკოჰამა-ურავა | 1:2 |
| კაშიმა-კობე | 1:1 |
| შიმიცუ-კოფუ | 3:0 |
| ნიიგატა-ფუკუოკა | 3:1 |
| ივატა-სერეზო | 0:4 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიორენტინა-კატანია 2:2

**ფიორენტინა (4-3-3):** ბორუცი – დე სილვესტრი, გამბერინი, ნატალი, პასკუალი – ბეჰრამი, მონტოლივო, მუნარი – ჩერჩი (73. რომულო), სილვა (84. ჯილარდინო), იოვეტიჩი (62. მუნიტო).

**კატანია (4-4-2):** ანდუხარი – სპოლი, ბელუში, ლეგროტალიე, ისკო – ალმირონი (80. ბარიენტოსი), ლოდი, დელ ვეკიო, მარკეზე (72. ლანცაფამე) – მაქსი ლოპესი, კატელანი (64. ბერგესიო).

**გოლები:** 1:0 იოვეტიოჩი (20), 1:1 დელ ვეკიო (43), 2:1 იოვეტიჩი (62), მაქსი ლოპესი (90).

**გაფრთხილება:** მონტოლივო - სპოლი.

**გაძევება:** მიხაილოვიჩი (90).

**კუთხური:** 6-10; **ჯარიმა:** 16-19; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 11(5)-10(3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 19 000

## იუვენტუსი-ჯენოა 2:2

**იუვენტუსი (4-2-3-1):** სტორარი – ლიხტშტაინერი, ბარცალი, ბონუჩი, კიელინი – პირლო, მარკიზიო – ესტიგარიბია (67. პაციენცა), პეპე (90. დელ პიერო) - ვუჩინიჩი (83. კრასიჩი), მატრი.

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – დაინელი, მორეტი, მესტო, ანტონელი – როსი (83. ხორკერა), სეიმური (67. კუჩკა), ველოზო, მერკელი – პალასიო, იანკოვიჩი (62. კარაჩოლო).

**გოლები:** 1:0 მატრი (6), 1:1 როსი (31), 2:1 მატრი (58), 2:2 კარაჩოლო (85).

**გაფრთხილება:** პირლო, მარკიზიო - სეიმური, მესტო, პალასიო, დაინელი, ველოზო.

**კუთხური:** 9-8; **ჯარიმა:** 10-9; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 16(7)-8(5); **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 40 000

## ლეჩე-მილანი 3:4

**ლეჩე (4-3-3):** ბენასი – ოდო, ტომოვიჩი, ესპოზიტო, მესბა – შტრასერი, ობოდო, ჯაკომაცი – გროსმიულერი (59. ბერტოლაჩი), კორვია (73. ჯანდონატო), კუადრადო (81. ოფერე).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა, იეპესი, ანტონინი – ნოჩერინო, ვან ბომელი, ამბროზინი (46. აკვილანი) – რობინიო (46. ბოატენგი) – კასანო (89. ელ შაარავი), იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 1:0 ჯაკომაცი (4), 2:0 ოდო (30-პენ.), 3:0 გროსმიულერი (37), 3:1 ბოატენგი (49), 3:2 ბოატენგი (55), 3:3 ბოატენგი (63), 3:4 იეპესი (83).

**გაფრთხილება:** ოდო, კორვია, ბენასი, ესპოზიტო (ლეჩე).

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 17-22; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 9(6)-10(6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 18 000

## რომა-პალერმო 1:0

**რომა (4-3-3):** სტეკელენბურგი – კასეტი, ბურდისო, ჟუანი (79. ჰაინცე), ანხელი – გაგო, დე როსი, პისარო – ბორიელო (70. პეროტა), ოსვალდო, ლამელა (83. ბოიანი).

**პალერმო (4-4-2):** ცორვასი - პიზანო, სილვესტრი, მილიაჩო, ბალცარეტი – ასკუა (83. მიკოლი), ბარეტო, დელა როკა (54. ჩეტო), ზაჰავი (73. ილიჩიჩი) – ერნანდესი, პინილია.

**გოლი:** 1:0 ლამელა (7).

**გაფრთხილება:** პისარო, გაგო - ერნანდესი, დელა როკა, მილიაჩო.

**კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 14(2)-10(2); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 34 000

## კალიარი-ნაპოლი 0:0

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პიზანო (87. პერიკო), კანინი, ასტორი (20. არიაუდო), აგოსტინი – ბიონდინი, კონტი, ნაინგოლანი – რიბეირო (78. იბარბო), კოსუ, ნენე.

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანქტისი – კამპანიარო, ფერნანდესი, არონიკა – ჯემაილი, დოსენა, გარგანო (71. ინლერი), ცუნიგა – სანტანა (68. მაჯო), ლავეცი (55. ჰამშიკი) – კავანი.

**გაფრთხილება:** ნენე, კონტი, კოსუ - ლავეცი.

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8(2)-8(4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 11 000

## ინტერი-კიევო 1:0

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, კივუ, ნაგატომო - ძანეტი, კამბიასო, მოტა - სნეიდერი (68. სტანკოვიჩი) - სარატე (89. ობი), პაცინი (79. კასტაინოსი).

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო – ფრეი, ცეზარი, მორერო, იოკიჩი – ბრედლი, ვაჩეკი, ჰეტემაი (76. თერეუ) – კრიზადო – პელისიერი, პალოსკი (66. მოსკარდელი).

**გოლი:** 1:0 მოტა (34).

**გაფრთხილება:** მოტა, მაიკონი - იოკიჩი, ვაჩეკი.

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 13-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 17(6)-6(3); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 57 000

## პარმა-ატალანტა 1:2

**პარმა (4-4-1-1):** მირანტე – ძაკარდო, პალეტა, ლუკარელი, გობი – ბიაბიანი (68. ვალიანი), მორონე, ჟადიდი, მოდესტო (73. ვალდესი) – ჯოვინკო – ფლოკარი (53. პელე).

**ატალანტა (4-4-1-1):** კონსილი – მაზიელო, კაპელი, ლუკინი, პელუზო – შელოტო (85. ბელინი), ჩიგარინი (74. კარმონა), პადოინი, ბონავენტურა (81. ბრიგი) – მორალესი – დენისი.

**გოლები:** 0:1 მორალესი (55), 0:2 მორალესი (58), 1:2 ვალდესი (81).

**გაფრთხილება:** პელე, ლუკარელი - ლუკინი, პადოინი.

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 7(2)-7(3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 14 000

## სიენა-ჩეზენა 2:0

**სიენა (4-4-2):** ბრკიჩი – ვიტიელო, როსეტინი, ტერცი, დელ გროსო – მანინი (79. კონტინი), გაცი, დაგოსტინო (71. ვერგასოლა), ბრიენცა – კალაიო, გონსალესი (68. ანჯელო).

**ჩეზენა (4-4-1-1):** ანტონიოლი – ჩეკარელი, ფონ ბერგენი, ლაურო, როდრიგესი – კანდრევა, გუანა (59. ლივაია), ედერი, პაროლო - გეზალი (46. მალონგა) - ბოგდანი (88. ჯოკოვიჩი).

**გოლები:** 1:0 გონსალესი (9), 2:0 კალაიო (54).

**გაფრთხილება:** როსეტინი - კანდრევა.

**კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 19-8; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 10(4)-7(1); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 000

## უდინეზე-ნოვარა 3:0

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი (87. ნეუტონი) – ფერონეტი (78. ეკსტრანდი), ბადუ, ისლა, ასამოა, არმერო – ტორჯე (73. ფლორო ფლორესი), დი ნატალე.

**ნოვარა (4-3-1-2):** უიკანი – დელა ფიორე, პაჩი, ჩენტურიონი, გარსია – რადოვანოვიჩი, პორკარი, რიგონი (64. ჯემიტი) – პინარდი – მორიმოტო (60. გრანოჩე), პეშე (50. მეჯორინი).

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (33), 2:0 დომიცი (39), 3:0 დი ნატალე (49).

**გაფრთხილება:** ასამოა - პორკარი, მორიმოტო.

**კუთხური:** 9-5; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 3-4; **კარში დარტყმა:** 8(4)-10(5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 16 000

## ბოლონია-ლაციო 0:2

**ბოლონია (4-3-2-1):** ალიარდი – რაჯი, პორტანოვა, ჩერუბინი, მორლეო – კაზარინი (59. კაზარინი), მუდინგაი, კონე (59. პულცეტი) – აკვაფრესკა (80. ვანტაჯატო), რამირესი – დი ვაიო.

**ლაციო (4-3-1-2):** მარკეტი – კონკო, ბიავა, დიასი, რადუ – ლულიჩი (87. სკული), მათუზალემი (71. კანა), ლედესმა - ერნანესი (64. სკალონი) - სისე, კლოზე.

**გოლები:** 0:1 აკვაფრესკა (23-საკ. კარში), 0:2 ლულიჩი (48).

**გაფრთხილება:** ჩერუბინი, რამირესი, პულცეტი, ხიმენესი - ბიავა, დიასი, ლულიჩი.

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 17-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 10(5)-7(1); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 22 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. უდინეზე | 7 | 4 | 3 | 0 | 10-1 | 15 |
| 2. ლაციო | 7 | 4 | 2 | 1 | 11-7 | 14 |
| 3. იუვენტუსი | 7 | 3 | 4 | 0 | 11-5 | 13 |
| 4. კალიარი | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 12 |
| 5. ნაპოლი | 7 | 3 | 2 | 2 | 10-5 | 11 |
| 6. რომა | 7 | 3 | 2 | 2 | 8-6 | 11 |
| 7. მილანი | 7 | 3 | 2 | 2 | 12-11 | 11 |
| 8. კატანია | 7 | 2 | 4 | 1 | 9-10 | 10 |
| 9. პალერმო | 7 | 3 | 1 | 3 | 9-10 | 10 |
| 10. ფიორენტინა | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| 11. სიენა | 7 | 2 | 3 | 2 | 6-4 | 9 |
| 12. ჯენოა | 7 | 2 | 3 | 2 | 11-10 | 9 |
| 13. კიევო | 7 | 2 | 3 | 2 | 6-6 | 9 |
| 14. პარმა | 7 | 3 | 0 | 4 | 9-13 | 9 |
| 15. ატალანტა | 7 | 4 | 2 | 1 | 10-8 | 8 |
| 16. ინტერი | 7 | 2 | 1 | 4 | 9-13 | 7 |
| 17. ნოვარა | 7 | 1 | 2 | 4 | 10-15 | 5 |
| 18. ლეჩე | 7 | 1 | 1 | 5 | 6-13 | 4 |
| 19. ბოლონია | 7 | 1 | 1 | 5 | 4-12 | 4 |
| 20. ჩეზენა | 7 | 0 | 2 | 5 | 2-9 | 2 |

**ბომბარდირები:** 6 - დი ნატალე (უდინეზე); 5 - პალასიო (ჯენოა), ჯოვინკო (პარმა); 4 – დენისი (ატალანტა); 3 - მიკოლი (პალერმო), მილიტო (ინტერი), ოსვალდო (რომა), რიგონი (ნოვარა), ჩერჩი (ფიორენტინა), კლოზე (ლაციო), კავანი (ნაპოლი).

## სერია B. XI ტური

**ვერონა-ნოჩერინა 1:1**

**გოლები:** 0:1 კასტალდო (51-პენ.), 1:1 ჰალიფრედსონი (78).

**ალბინოლეფე-კროტონე 1:3**

**გოლები:** 1:0 ჯურიჩი (40), 1:1 ფოლიო (50), 1:2 ლოვისო (54 პენ.), 1:3 ჩანო (88).

**ემპოლი-სასუოლო 1:1**

**გოლები:** 1:0 დუმიტრუ (34), 1:1 მასუჩი (50).

**გროსეტო-ბრეშა 2:0**

**გოლები:** 1:0 სფორცინი (21), 2:0 კარიდი (59).

**იუვე სტაბია-ბარი 1:0**

**გოლი:** 1:0 საუ (42-პენ.).

**მოდენა-ლივორნო 1:0**

**გოლი:** 1:0 სტანკო (10).

**პადოვა-ვიჩენცა 2:1**

**გოლები:** 1:0 ლეგატი (34), 2:0 კაჩა (90), 2:1 აბრუსკატო (90-პენ.).

**პესკარა-ასკოლი 4:1**

**გოლები:** 1:0 სანსოვინი (26), 2:0 სანსოვინი (37), 3:0 სანსოვინი (55), 3:1 ტამბურინი (75), 4:1 ინსიემე (90).

**რეჯინა-ვარეზე 3:2**

**გოლები:** 1:0 რაგუსა (30), 2:0 მისიროლი (49-პენ.), 2:1 ფილომენე (59), 3:1 კოლომბო (87), 3:2 ლუკა (90).

**სამპდორია-ჩიტადელა 0:0**

**გუბიო-ტორინო დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ტორინო | 10 | 8 | 2 | 0 | 15-5 | 26 |
| 2. პადოვა | 11 | 7 | 2 | 2 | 20-13 | 23 |
| 3. პესკარა | 11 | 7 | 1 | 3 | 27-18 | 22 |
| 4. სასუოლო | 11 | 6 | 3 | 2 | 13-7 | 21 |
| 5. რეჯინა | 11 | 6 | 2 | 3 | 24-15 | 20 |
| 6. სამპდორია | 11 | 4 | 6 | 1 | 19-9 | 18 |
| 7. გროსეტო | 11 | 4 | 5 | 2 | 15-11 | 17 |
| 8. ბარი | 11 | 5 | 2 | 4 | 10-10 | 17 |
| 9. ბრეშია | 11 | 4 | 4 | 3 | 12-12 | 16 |
| 10. ლივორნო | 11 | 4 | 3 | 4 | 12-8 | 15 |
| 11. ვარეზე | 11 | 4 | 3 | 4 | 11-10 | 15 |
| 12. ჩიტადელა | 11 | 4 | 2 | 5 | 13-16 | 14 |
| 13. ვერონა | 11 | 3 | 4 | 4 | 14-16 | 13 |
| 14. კროტონე | 11 | 3 | 4 | 4 | 11-13 | 12 |
| 15. ნოჩერინა | 11 | 2 | 4 | 5 | 14-16 | 10 |
| 16. იუვე სტაბია | 11 | 5 | 1 | 5 | 13-15 | 10 |
| 17. მოდენა | 11 | 2 | 4 | 5 | 10-17 | 10 |
| 18. ალბინოლეფე | 11 | 3 | 1 | 7 | 15-25 | 10 |
| 19. ემპოლი | 11 | 2 | 2 | 7 | 14-21 | 8 |
| 20. გუბიო | 10 | 1 | 4 | 5 | 10-21 | 7 |
| 21. ვიჩენცა | 11 | 1 | 4 | 6 | 10-18 | 7 |
| 22. ასკოლი | 11 | 2 | 3 | 6 | 14-20 | 2 |

შენიშვნა: ასკოლი - 7 ქულა, იუვე სტაბია - 6 ქულა, კროტონე - 1 ქულა.

**ბომბარდირები:** 8 - იმობილე (პესკარა); 7 - ტავანო (ემპოლი), კოკო (ალბინოლეფე), სანსოვინი (პესკარა); 6 - ბერტანი (სამპდორია), მისიროლი (რეჯინა).

## ლეგა პრო 1 AA

აველინო-ტერნანა 1:3, ფოლინო-ფოჯა 0:1, პავია-ლუმეცანე 0:2, პიზა-ბენევენტო 2:0, სპალ-სორენტო 0:1, ტარანტო-მონცა 2:1, ტრიტიუმი-პრო ვერჩელი 1:2, ვიარეჯოკომო 1:2, კაპრი-რეჯანა დღეს;

## ლეგა პრო 1 B

ბარლეტა-ტრაპანი 0:2, კარარეზე-სპეცია 2:1, ფერალპიზალო-ბასანო 0:0, ფროზინონე-ლატინა 1:1, პერგოკრემა-პიაჩენცა 0:2, პორტოგრუარო-ტრიესტინა 3:1, პრატო-კრემონეზე 0:0, სირაკუზა-სუდტიროლი 1:3, ლანჩანო-ანდრია 2:1.

● იტალია. სერია A. VIII ტური

# პრინცის მეფური თამაში

## და მილანის საოცარი გამარჯვება

როგორც წესი, შაბათის შეხვედრებით ვიწყებთ ტურის მიმოხილვას, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირდაპირ კვირაზე უნდა გადავხტეთ და „სტადიო ვია დელ მარეზე“ განვითარებულ მოვლენებზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. ეს არენა ლეჩეში მდებარეობს, სადაც ადგილობრივმა გუნდმა იტალიის მოქმედი ჩემპიონი „მილანი“ მიიღო და იქ ამბები დატრიალდა, სიტყვებით რთული გადმოსაცემია....

„ლეჩემ“ პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ჩაატარა და მრისხანე მეტოქეს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. მასპინძლები ელვის სისწრაფით ავითარებდნენ იერიშებს მეტოქის კართან, რამაც სტუმართა უკანახაზელებში დისონანსი შეიტანა. მასპინძელთა გოლების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ პირველი გოლისას დაცვის ცენტრი ჩავარდა, მეორეჯერ **კრიატიან აბიატიმ** დაუშვა შეცდომა, როდესაც თერთმეტმეტრიანი აკიდა, მესამე გოლი კი **ლუკა ანტონინის** ბავშვურ შეცდომას მოჰყვა, რომელმაც მეტოქე შემტევი კიპერს პირისპირ შეჰყარა.

მთავარი მოვლენები მეორე ტაიმში განვითარდა - **მასიმილიანო ალეგრიმ** შესვენებაზე ორი ცვლილება განახორციელა და თამაშში **ალბერტო აკვილანი-კევინ პრინს ბოატენგის** ნახევარმცველთა ტანდემი ჩართო. ამ უკანასკნელმა მართლაც რომ საოცრებები ჩაიდინა - მეტოქეს სამი გოლი გაუტანა და პრაქტიკულად მარტომ გადაარჩინა თამაში. კევინმა პირველი ორი გოლი უძლიერესი და უზუსტესი დარტყმებით გაიტანა, თანაც ისე, რომ ბურთი ორჯერვე ცხრიანში გაეხვა, მესამედ კი ბურთი დაბალ კუთხეში შეგორდა. აქვე გავიხსენოთ, რომ ბოატენგმა ჩემპიონთა ლიგის პაექრობაში „ბატესაც“ გაუტანა შორიდან - როგორც ჩანს, განელი ოპტიმალურ ფორმაშია და რაც მთავარია, პროგრესს განაგრძობს. ფაქტია, რომ ეს ერთი შეხედვით არც თუ ტექნიკური მოთამაშე, უდიდესი გუნდის, „მილანის“ ერთ-ერთ ლიდერად ყალიბდება.

მეოთხე გოლი თამაშის დასრულებამდე შვიდი-რვა წუთით ადრე გავიდა და მრავალსვლიან კომბინაციას მოჰყვა, რომელიც **მარიო იეპესის** ძალზედ ეფექტური თავური დარტყმით დაგვირგვინდა. იეპესი არც თუ დამაჯერებელი გახლდათ უშუალო მოვალეობების შესრულებისას, ალბათ დაბალ შეფასებებსაც მიიღებდა იტალიელი ჟურნალისტებისგან, მაგრამ ამ ერთი გოლით ყველაფერი გადაწონა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ შეიძლებოდა შეხვედრა კიდევ უფრო უხვგოლიანი გამოსულიყო, რადგან ფორვარდებმა კიდევ არაერთი მომენტი შექმნეს როგორც ერთ, ისე მეორე კართან. ერთი სიტყვით, „ვია დელ მარეზე“ შეკრებილმა გულშემატკივრებმა ნამდვილად ფეერიული თამაში იხილეს.

ნამატჩევს მასიმილიანო ალეგრიმ ემოციები ვერ დამალა და სიხარული ჟურნალისტებს გაუზიარა: *„მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეცდომა დავუშვით, ამ წუთას ამაზე ფიქრიც კი არ მინდა და მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით ვტკბები. ეს საოცარი თამაში იყო, რომელიც არასდროს დამავიწყდება. რა თქმა უნდა, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კევინ პრინც ბოატენგი, რომელმაც უდიდესი ენერგია ჩადო ერთ ტაიმში და შეხვედრის ბედი საჩვენოდ შემოატრიალა. თუმცა, არც სხვებს მინდა გარჯა დავუკარგო, თითოეულ შეგირდს უდიდესი მადლობა ამ შთამბეჭდავი მოგებისთვის“.*

მოკლედ, ლეჩეში დიდი ამბები დატრიალდა და ამ თამაშს ტურის შეჯამებაში აუცილებლად მივუბრუნდებით, იქამდე კი ორიოდე სიტყვა სხვა შეხვედრებზეც უნდა ვთქვათ... „იუვენტუსმა“ „ჯენოა“ მიიღო და კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ეს გუნდი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია. ტურინელებმა ორი ქულა დაკარგეს და არა იმიტომ, რომ გენუელებმა ითამაშეს საუცხოოდ, უფრო იმად, რომ მასპინძლები არ ვარგოდნენ არაფრად. **ალესანდრო მატრის** დუბლს ჯერ **როსიმ**, შემდეგ კი **კარაჩოლომ** უპასუხეს, რამაც სტუმართათვის სასურველი საყაიმო რეზულტატი დააფიქსირა. მართალია, „იუვე“ ჯერ კიდევ ლიდერთა შორის გახლავთ სატურნირო ცხრილში და მხოლოდ „უდინეზეს“ ჩამორჩება, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ტურინელებს ნელ-ნელა ჩაჩოჩება მოუწევთ. ყველაზე უფრო საკვირველი ის გახლავთ, რომ 2:2-ის შემდეგ, „იუვე“ ხეირიანად ვერც გადავიდა მეტოქის ნახევარზე და მესამე გოლის გატანის შანსი ისევ სტუმრებს ჰქონდათ. **ანტონიო კონტეს** პირველად დაატყდა თავს სერიოზული კრიტიკა, რაც არ გვიკვირს, რადგან „ბიანკონერიმ“ შესაძლოა უსუსტესი შეხვედრა ჩაატარა მიმდინარე სეზონში.

ჩემპიონატის ლიდერი, „უდინეზე“ ვახსენეთ და ისიც ვთქვათ, რომ ფრიულელებმა საკუთარ კედლებში „ნოვარა“ დაიბრიყვეს. სამი უპასუხო გოლიდან ორი **ანტონიო დი ნატალეზე** მოდის, რომელიც ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა და როგორც ჩანს, კვლავაც მთავარი გოლეადორის სტატუსს უმიზნებს. უფრო მოკრძალებული ანგარიშით გაიმარჯვა „ინტერმა“, მოუგო რა „კიევოს“ საკუთარ მოედანზე 1:0. ერთადერთი გოლის ავტორი **ტიაგო მოტა** გახლავთ, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ გუნდისთვის მეტად საჭირო ფეხბურთელია. ვინ მოთვლის, უკვე მერამდენედ ხდება, რომ მოტას „ინტერისთვის“ სამი ქულის მომტანი გოლი გააქვს, მერედა როგორ სჭირდებოდა ლამის გასავარდნ ზონაში მყოფ მილანურ გრანდს ეს სამი ქულა... ნამატჩევს **კლაუდიო რანიერი** შეგირდების თამაშით კმაყოფილება გამოხატა:

*„მართალია, ჯერ კიდევ შორს ვართ ოპტიმალური ფორმისგან, მაგრამ გაცილებით უკეთ ვითამაშეთ, ვიდრე წინა პაექრობებში. ეს უკვე პროგრესია, რაც ძალიან მახარებს. ტრავმირებული ფეხბურთელები გვიბრუნდებიან, რაც მომავალი წარმატებების მთავარი საწინდარია. პირადად მე, უკვე მომდევნო მატჩზე ვფიქრობ, რომელშიც აუცილებლად სამი ქულა უნდა მოვიპოვოთ. როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნე, ქულების განიავების უფლება აღარ გვაქვს“.*

მინიმალური ანგარიშით მოიგო „რომამ“ და ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ ერთადერთი გოლი **ერიკ ლამელამ** მიითვალა აქტივში. არგენტინელისთვის ეს პირველი შედეგიანი დარტყმა გახლავთ ახალი გუნდის შემადგენლობაში და აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მეტად ეფექტური - ერიკმა მარჯვენა ფრთაზე მიიღო ბურთი, ერთი მეტოქე ჩამოიცილა, მარცხენა ფეხზე მოირგო ბურთი და ძლიერი დარტყმით „პალერმოს“ კიპერი უშანსოდ დატოვა. დიახ, „რომამ“ სიცილიური გუნდი მიიღო და ამ ერთი გოლის წყალობით დაამარცხა. ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ „ატალანტამ“ საკმაოდ კარგ ფორმაში მყოფი „პარმა“ დაჯაბნა გასვლაზე და მორიგი სამი ქულა ჩაიწერა აქტივში - რომ არა საჯარიმო სანქციები და დაკლებული ექვსი ქულა, ეს გუნდი დღეს მესამე ადგილზე იქნებოდა სატურნირო ცხრილში.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

## მომდევნო ტური

25 ოქტომბერი: **იუვენტუსი-ფიორენტინა.**
26 ოქტომბერი: **ატალანტა-ინტერი, ჩეზენა-კალიარი, კიევო-ბოლონია, ჯენოა-რომა, ლაციო-კატანია, მილანი-პარმა, ნაპოლი-უდინეზე, ნოვარა-სიენა.**
27 ოქტომბერი: **პალერმო-ლეჩე.**

## ჰოლანდია. ერედივიზიონი.

X ტური

**დე გრააფსხაპი-ბრედა 3:1**

**გოლები:** 1:0 პავერტი (29), 1:1 შილდერი (56), 2:1 კუიალა (57), 3:1 პოეპონი (76).

**ვენლო-ვაალვიკი 4:1**

**გოლები:** 1:0 იოშიდა (16), 2:0 ვიდშუტი (41), 2:1 რადერი (65), 3:1 ნვოფორი (73), 4:1 ლინსენი (78).

**დენ ჰააგი-ნიიმეგენი 1:0**

**გოლი:** ბერჰოეკი (25).

**ექსელსიორი-ჰერაკლესი 0:2**

**გოლები:** 0:1 შელიმანი (40-საკ. კარში), 0:2 ოვერტრუმი (77).

**უტრეხტი-ჰეერენვეენი 1:4**

**გოლები:** 0:1 კუმსი (18), 0:2 დოსტი (60), 0:3 ჯურიჩი (74), 1:3 სნეიდერი (81), 1:4 ასაიდი (82).

**აიაქსი-ფეიენოორდი 1:1**

**გოლები:** 0:1 ვრიჯი (61), 1:1 ვერტონენი (67).

**ალკმაარი-როდა 1:0**

**გოლი:** 1:0 ელმი (51).

**გრონინგენი-ტვენტე 1:1**

**გოლები:** 0:1 ჯონი (20), 1:1 ესუკი (65).

**ვიტესი-პსვ 1:1**

**გოლები:** 0:1 მატავუი (18), 1:1 ვილფრედი (58).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 10 | 8 | 1 | 1 | 24-8 | 25 |
| 2. პსვ | 10 | 6 | 3 | 1 | 27-11 | 21 |
| 3. ტვენტე | 10 | 6 | 3 | 1 | 26-10 | 21 |
| 4. ფეიენოორდი | 10 | 5 | 3 | 2 | 21-10 | 18 |
| 5. ვიტესი | 10 | 5 | 3 | 2 | 17-11 | 18 |
| 6. აიაქსი | 10 | 4 | 5 | 1 | 24-14 | 17 |
| 7. ჰერაკლესი | 10 | 4 | 4 | 2 | 17-13 | 16 |
| 8. ჰეერენვეენი | 10 | 3 | 5 | 2 | 19-18 | 14 |
| 9. გრონინგენი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-17 | 14 |
| 10. დენ ჰააგი | 10 | 4 | 1 | 5 | 14-17 | 13 |
| 11. ვაალვიკი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-17 | 13 |
| 12. უტრეხტი | 10 | 3 | 3 | 4 | 15-15 | 12 |
| 13. როდა | 10 | 4 | 0 | 6 | 14-27 | 12 |
| 14. ბრედა | 10 | 3 | 1 | 6 | 14-18 | 10 |
| 15. დე გრააფსხაპი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-21 | 9 |
| 16. ნიიმეგენი | 10 | 2 | 1 | 7 | 7-16 | 7 |
| 17. ვენლო | 10 | 1 | 3 | 6 | 11-26 | 6 |
| 18. ექსელსიორი | 10 | 0 | 2 | 8 | 6-24 | 2 |

**ბომბარდირები:** 11 – მერტენსი (ეინდჰოვენი); 10 - იანკო (ტვენტე); 7 - დე იონგი (ტვენტე).

Made in GERMANY

REHAU
Unlimited Polymer Solutions

ენერგოდამზოგავი ფანჯრები
დაიცავს სითბოს. დაგიზოგავთ ფულს.




შეიძინეთ ფანჯრები „ენერგოკრედიტით“ და დაიბრუნეთ ღირებულების 15% უკან

ა-ვე ლუქსი რეჰაუს ლიცენზირებული მწარმოებელი
კაკალიძის 2 245 02 05 www. fanjara.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

### ვულვერჰემპტონი-სუონსი 2:2

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი – სტირმენი, ბერა, რ. ჯონსონი, უორდი – ჰემილი (68. მილიაში), ო'ჰარა, ჰენრი, ჯერვისი (68. გუედიოურა) – დოილი, ებანკს-ბლეიკი (83. ვოუკსი).

**სუონსი** (4-5-1): ვორმი – რანგელი, უილიამსი, მონკი, ნ. ტეილორი – დაიერი (83. რუტლიჯი), გოვერი (86. მორასი), ბრიტონი (75. ორლანდი), ალენი, სინკლერი - გრემი.

**გოლები:** 0:1 გრემი (23), 0:2 ალენი (35), 1:2 დოილი (84), 2:2 ო'ჰარა (86)

**გაფრთხილება:** სტირმენი, ო'ჰარა (ორივე ვულვერჰემპტონი)

**კუთხური:** 8-13; **ჯარიმა:** 13-11; **კარში დარტყმა:** 22-17 (9-9); **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 25 216

### ასტონ ვილა-ვესტ ბრომვიჩი 1:2

**ასტონ ვილა** (4-4-2): გივენი – ჰატონი (41. კუელარი), კოლინზი, დანი, უორნოკი – ჰერდი, ს. პეტროვი, ბენანი (68. ოლბრაიტონი), ნ'ზოგბია (60. ჰესკი) – ბენტი, აგბონლაჰორი.

**ვესტ ბრომვიჩი** (4-4-2): ფოსტერი – რიდი, მაკოლი, ოლსონი, ბ. ჯონსი – ბრანტი, მულუმბუ (78. ჯ. მორისონი), შარნერი, ტომასი – ოდემვინგე, ლონგი (19. ტჩოი).

**გოლები:** 1:0 ბენტი (23-პენ), 1:1 ოლსონი (45), 1:2 შარნერი (57)

**ვერ გაიტანა პენალტი:** ბრანტი (36-ვესტ ბრომვიჩი)

**გაფრთხილება:** ჰატონი, გივენი – ბ. ჯონსი, შარნერი, მულუმბუ

**გაძევება:** ჰერდი (35-ასტონ ვილა)

**კუთხური:** 3-8; **ჯარიმა:** 13-10; **კარში დარტყმა:** 5-8 (1-4); **თამაშგარე:** 0-5; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 34 152

### ბოლტონი-სანდერლენდი 0:2

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი – ბოიატა (53. გარდნერი), გ. კეჰილი, უიტერი, რობინსონი – იგლსზი, რიო-კოკერი, პრეტლი, მ. პეტროვი (65. კაკუტა) – კ. დევისი (65. კლასნიჩი), ნ'გოგი.

**სანდერლენდი** (4-4-2): მინოლე- ო'ში, ტერნერი, ბრაუნი, რიჩარდსონი (87. რიჩარდსონი) – უიკჰემი, ვუგანი, კოლბეკი, ლარსონი – სესენიონი, ბენდტნერი.

**გოლები:** 0:1 სესენიონი (83), 0:2 ბენდტნერი (90)

**გაფრთხილება:** ტერნერი, სესენიონი, კოლბეკი (ყველა სანდერლენდი)

**კუთხური:** 2-11; **ჯარიმა:** 21-18; **კარში დარტყმა:** 11-12 (5-6); **თამაშგარე:** 1-4; **ბურთის ფლობა:** 46%-54%

**მაყურებელი:** 24 349

### ნიუკასლი-უიგანი 1:0

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსონი, რ. ტეილორი, კოლოჩინი, ს. ტეილორი – ობერტანი (77. მარვო), კაბაიე, ტიოტე, ხონასი – ბესტი (46. ბენ არფა), ბა (68. ამეობი).

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი – ბოისი, ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა – კრუსატი (82. სემონი), დიაშე, უოტსონი (82. მაკარტური) – მოზესი, როდალეგა, დ. ჯონსი.

**გოლი:** 1:0 კაბაიე (86)

**გაფრთხილება:** კაბაიე, ბესტი, სიმპსონი – დ. ჯონსი, ფიგეროა

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 25-8; **კარში დარტყმა:** 9-10 (4-2); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 48 321

### ლივერპული-ნორვიჩი 1:1

**ლივერპული** (4-4-2): რეინა – გ. ჯონსონი, შკრტელი, კარაგერი, ენრიკე – კუიტი (90. აგერი), ადამი, ჯერარდი, დაუნინგი (80. ქეროლი) – სუარესი, ბელამი (69. ჰენდერსონი).

**ნორვიჩი** (4-5-1): რადი – ნაფტონი, ბარნეტი, მარტინი, ტიერნი – ბენეტი (57. ჰოლტი), ბ. ჯონსონი, ფოქსი, ჰულაჰანი, პილკინგტონი (90. კროფტსი) - მორისონი.

**გოლები:** 1:0 ბელამი (45), 1:1 ჰოლტი (60)

**გაფრთხილება:** ტიერნი (ნორვიჩი)

**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 6-8; **კარში დარტყმა:** 29-12 (9-7); **თამაშგარე:** 9-0; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 44 931

### არსენალი-სტოკი 3:1

**არსენალი** (4-4-2): შჩესნი – დჯურუ, კოშელნი, მერტეზაკერი, სანტოსი – უოლკოტი (71. არშავინი), არტეტა, სონგი, ჟერვინიო (90. ფრიმპონგი) – რემსი, შამახი (67. ვან პერსი).

**სტოკი** (4-5-1): ბეგოვიჩი – უილკინსონი, აპსონი, შოუკროსი, უილსონი – ეზერინგტონი (74. ჯერომი), უილენი, უაიტჰედი, დილეპი (60. დიაო), უოლტერსი – კრაუჩი (74. კ. ჯონსი).

**გოლები:** 1:0 ჟერვინიო (27), 1:1 კრაუჩი (34), 2:1 ვან პერსი (73), 3:1 ვან პერსი (82)

**გაფრთხილება:** უაიტჰედი, უილკინსონი (ორივე სტოკი)

**კუთხური:** 10-1; **ჯარიმა:** 10-12; **კარში დარტყმა:** 9-8 (4-1); **თამაშგარე:** 2-2; **ბურთის ფლობა:** 67%-33%

**მაყურებელი:** 59 671

### ფულჰემი-ევერტონი 1:3

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი – გრიგერა (90. ჰიუზი), ჰანგელანდი, ბეირდი, რიისე – დემბელე, მერფი (65. რუისი), სიდუელი, დემპსი – ე. ჯონსონი, ზამორა.

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ჰიბერტი, დისტინი, ჯეგიელკა, ბეინესი – დრენტე, როდუელი, ფ. ნევილი (75. კოულმენი), ოსმანი (75. ტ. კეჰილი) – ფელაინი, ველიოსი (50. საა).

**გოლები:** 0:1 დრენტე (3), 1:1 რუისი (67), 1:2 საა (90), 1:3 როდუელი (90)

**გაფრთხილება:** ე. ჯონსონი, სიდუელი, ბეირდი - დისტინი

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 12-8; **კარში დარტყმა:** 15-12 (4-5); **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 25 646

### მანჩესტერ იუნ.-მანჩეს. სიტი 1:6

**მანჩესტერ იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – სმოლინგი, ევანსი, რ. ფერდინანდი, ევრა – ნანი (66. ერნანდესი), ანდერსონი (66. ჯონსი), ფლეტჩერი, იანგი – რუნი, უელბეკი.

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი – რიჩარდსი, ლესკოტი, კომპანი, კლიში – მილნერი (89. კოლაროვი), ბერი, ი. ტურე, სილვა – აგუერო (76. ნასრი), ბალოტელი (70. ჯეკო).

**გოლები:** 0:1 ბალოტელი (22), 0:2 ბალოტელი (60), 0:3 აგუერო (69), 1:3 ფლეტჩერი (81), 1:4 ჯეკო (89), 1:5 სილვა (90), 1:6 ჯეკო (90)

**გაფრთხილება:** ანდერსონი, ევრა, სმოლინგი, უელბეკი – ბალოტელი, კომპანი, რიჩარდსი

**გაძევება:** ევანსი (47)

**კუთხური:** 7-4; **ჯარიმა:** 15-12; **კარში დარტყმა:** 11-22 (4-7); **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 49%-51%

**მაყურებელი:** 75 487

### ბლექბერნი-ტოტენჰემი 1:2

**ბლექბერნი** (4-4-2): რობინსონი – ლოუი, ჟივე, სამბა, ოლსონი – ვუცკევიჩი (70. როჩინა), პედერსენი, ნზონზი, ჰოილეტი – ფორმიცა (70. იაკუბუ), რობერტსი (82. გუდვილი).

**ტოტენჰემი** (4-4-2): ფრიდელი – უოქერი, ბასონგი, ქაბული, ასუ-ეკოტო – ლენონი (70. როუზი), პარკერი, მოდრიჩი, ბეილი – ვან დერ ვაარტი (88. დეფო), ადებაიორი.

**გოლები:** 0:1 ვან დერ ვაარტი (15), 1:1 ფორმიცა (28), 1:2 ვან დერ ვაარტი (53)

**გაფრთხილება:** ნზონზი, ლოუი, იაკუბუ, რობერტსი (ყველა ბლექბერნი)

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 20-8; **კარში დარტყმა:** 20-9 (5-6); **თამაშგარე:** 0-4; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 22 786

### ქუინზ პარკი-ჩელსი 1:0

**ქუინზ პარკი** (4-4-2): კენი – ლ. იანგი, ჰოლი, ა. ფერდინანდი, ჰილი – ბარტონი, დერი (82. მეკი), ფაურლინი, რაიტ ფილიპსი – ტაარაბტი (61. სმიტი), ჰელგიუსონი.

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი – ბოსინგვა, ლუიზი, ტერი, ე. კოული – მეირელეში (73. მალუდა), მიკელი, ლემპარდი – სტარიჯი (35. ივანოვიჩი), დროგბა, მატა (45. ანელკა).

**გოლები:** 1:0 ჰელგუსონი (10-პენ)

**გაფრთხილება:** დერი, ბარტონი – მიკელი, ლემპარდი, ივანოვიჩი, ლუიზი, მეირელეში, ე. კოული

**გაძევება:** ბოსინგვა (33—ჩელსი), დროგბა (41—ჩელსი)

**კუთხური:** 0-6; **ჯარიმა:** 17-24; **კარში დარტყმა:** 8-9 (3-2); **თამაშგარე:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 18 050

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სიტი | 9 | 8 | 1 | 0 | 33-7 | 25 |
| 2. იუნაიტედი | 9 | 6 | 2 | 1 | 26-12 | 20 |
| 3. ჩელსი | 9 | 6 | 1 | 2 | 20-10 | 19 |
| 4. ნიუკასლი | 9 | 5 | 4 | 0 | 12-6 | 19 |
| 5. ტოტენჰემი | 8 | 5 | 1 | 2 | 15-13 | 16 |
| 6. ლივერპული | 9 | 4 | 3 | 2 | 12-10 | 15 |
| 7. არსენალი | 9 | 4 | 1 | 4 | 15-18 | 13 |
| 8. ნორვიჩი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-12 | 12 |
| 9. სტოკი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-11 | 12 |
| 10. ქუინზ პარკი | 9 | 3 | 3 | 3 | 7-14 | 12 |
| 11. ასტონ ვილა | 9 | 2 | 5 | 2 | 11-11 | 11 |
| 12. ვესტ ბრომვიჩი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-11 | 11 |
| 13. ევერტონი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 14. სანდერლენდი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-10 | 9 |
| 15. სუონსი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 16. ვულვზი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-14 | 8 |
| 17. ფულჰემი | 9 | 1 | 4 | 4 | 11-12 | 7 |
| 18. ბოლტონი | 9 | 2 | 0 | 7 | 12-24 | 6 |
| 19. უიგანი | 9 | 1 | 2 | 6 | 6-15 | 5 |
| 20. ბლექბერნი | 9 | 1 | 2 | 6 | 10-20 | 5 |

ბომბარდირები: 9 – აგუერო (სიტი), რუნი (მანჩესტერი); 8 – ჯეკო (სიტი); 7 — ვან პერსი (არსენალი).

### ჩემპიონატი. XIII ტური

**პიტერბორო-ლიდსი 2:3**

გოლები: 0:1 კიოჰი (4), 1:1 ზაკუანი (23), 1:2 კლეიტონი (54), 2:2 ლიტლი (88), 2:3 ო დეა (90)

**ბლექპული-ნოტინგემი 1:2**

გოლები: 0:1 მორგანი (39), 1:1 ფილიპსი (43), 1:2 მაიევსკი (76)

**კარდიფი-ბარნსლი 5:3**

გოლები: 1:0 მილერი (10), 2:0 მეისონი (34), 2:1 დრინკუოტერი (36), 3:1 გუნარსონი (38), 4:1 კოუი (60), 5:1 გუნარსონი (71), 5:2 მაკნალტი (82), 5:3 ვაზ ტე (86)

**ქოვენთრი-ბარნლი 1:2**

გოლები: 1:0 მაკდონალდი (59), 1:1 უოლესი (73), 1:2 ოსტინი (90)

**ჰალი-უოტფორდი 3:2**

გოლები: 0:1 ჩესტერი (36 ს.კ.), 1:1 ფრაიატი (51), 1:2 იუელუმო (56), 2:2 მაკლინი (66), 3:2 კორენი (90)

**იფსვიჩი-კრისტალ პალასი 0:1**

გოლები: 0:1 კაკარტი (55)

**ლესტერი-მილუოლი 0:3**

გოლები: 0:1 ჰენდერსონი (36-პენ), 0:2 ჰენდერსონი (45), 0:3 ჰენდერსონი (68)

**მიდლსბრო-დერბი 2:0**

გოლები: 1:0 უილიამსი (45), 2:0 ემნესი (52)

**პორტსმუთი-დონკასტერი 3:1**

გოლები: 1:0 ვერნი (3), 1:1 ჯილეტი (27), 2:1 კიტსონი (68), 3:1 ვერნი (75)

**რედინგი-საუთჰემპტონი 1:1**

გოლები: 1:0 ლიგერტვუდი (71), 1:1 დე რიდერი (80)

**ბრისტოლი-ბირმინგემი 0:2**

გოლები: 0:1 ბარკი (36), 0:2 ბარკი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საუთჰემპტონი | 13 | 8 | 3 | 2 | 28-14 | 27 |
| 2. მიდლსბრო | 13 | 6 | 6 | 1 | 16-8 | 24 |
| 3. კრ. პალასი | 13 | 7 | 2 | 4 | 18-12 | 23 |
| 4. ვესტ ჰემი | 12 | 6 | 3 | 3 | 22-11 | 21 |
| 5. ლიდსი | 12 | 6 | 3 | 3 | 24-18 | 21 |
| 6. დერბი | 13 | 6 | 3 | 4 | 17-16 | 21 |
| 7. ჰალი | 12 | 6 | 3 | 3 | 12-11 | 21 |
| 8. კარდიფი | 13 | 5 | 5 | 3 | 23-19 | 20 |
| 9. იფსვიჩი | 13 | 6 | 2 | 5 | 18-20 | 20 |
| 10. პიტერბორო | 13 | 6 | 1 | 6 | 26-22 | 19 |
| 11. ბლექპული | 13 | 5 | 4 | 4 | 19-16 | 19 |
| 12. ბრაიტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 17-15 | 19 |
| 13. ლესტერი | 13 | 5 | 4 | 4 | 15-14 | 19 |
| 14. ბირმინგემი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-13 | 17 |
| 15. რედინგი | 13 | 4 | 5 | 4 | 15-14 | 17 |
| 16. პორტსმუთი | 13 | 4 | 3 | 6 | 15-15 | 15 |
| 17. ბარნლი | 12 | 4 | 3 | 5 | 15-16 | 15 |
| 18. ბარნსლი | 13 | 3 | 6 | 4 | 14-16 | 15 |
| 19. ნოტინგემი | 13 | 4 | 2 | 7 | 14-23 | 14 |
| 20. მილუოლი | 13 | 2 | 6 | 5 | 12-16 | 12 |
| 21. ქოვენთრი | 13 | 2 | 5 | 6 | 10-16 | 11 |
| 22. უოტფორდი | 13 | 2 | 4 | 7 | 11-23 | 10 |
| 23. დონკასტერი | 13 | 2 | 2 | 9 | 8-22 | 8 |
| 24. ბრისტოლი | 13 | 1 | 3 | 9 | 9-25 | 6 |

ბომბარდირები: 9 – ლამბერტი (საუთჰემპტონი), მაკკორმაკი (ლიდსი); 8 – ვუდი (ბირმინგემი); 7 – ოსტინი (ბარნლი).

### პირველი ლიგა. XIV ტური

ბურნმუთი-ბერი 1:2, ჩარლტონი-კერლისლი 4:0, ჩესტერფილდი-ჰარტლპული 2:3, ექსეტერი-როჩდეილი 3:1, ჰადერსფილდი-პრესტონი 3:1, ლეიტონი-შეფილდ იუნაიტედი 1:1, მილტონი-სკანთორპი 0:0, ნოტს ქაუნთი-ბრენტფორდი 1:1, ოლდჰემი-უიკომბი 2:0, შეფილდ უენსდი-კოლჩესტერი 2:0, სტივენიჯი-იეოვილი 0:0, ტრანმერი-უოლსოლი 2:1.

### მეორე ლიგა. XIV ტური

უიმბლდონი-ქროული 2:5, ბრედფორდი-ნორთემპტონი 2:1, ბარტონი-ბრისტოლი 2:1, ქრუ-მეკლსფილდი 0:1, დაგენჰემი-ოლდერშოტი 2:5, ჯილინგემი-ოქსფორდი 1:0, ჰერეფორდი-ბერნეტი 1:0, პლიმუთი-სუინდონი 0:1, პორტ ვეილი-მორკეიმბი 0:4, როტერჰემი-შრუსბერი 1:1, საუთენდი-თორგუეი 4:1.

### კონფერენსი. XVIII ტური

ტელფორდი-გეიტსჰედი 1:2, ბეროუ-კიდერმინსტერი 3:1, ბრეინტრი-დარლინგტონი 3:1, ფლიტვუდი-ბათი 4:1, ჰეიესი-იორკი 2:4, კეტერინგი-ებსფლიტი 2:2, მენსფილდი-ოლფრეტონი 3:2, საუთპორტი-ტემუორთი 1:1, სტოკპორტი-ფორესტ გრინი 0:1, ვრექსჰემი-ნიუპორტი 0:0.

**ინგლისი. პრემიერლიგა. IX ტური**

# დედა, რა იყო ეს?

აჯობა? არა, ეს ის სიტყვა არ არის, რომელიც ზუსტად აღწერს იმას რაც „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ სიტიმ“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ დამართა. ალბათ, უფრო გაანადგურა! არ გვინდა ძალიან მძაფრად ვთქვათ, მაგრამ ვინაიდან საქმე მანჩესტერულ დერბის ეხება, არც ის იქნება ზედმეტი, რომ დავწეროთ, შეურაცხყოფა მიაყენაო. „იუნაიტედი“ ხომ „სიტისგან“ უბრალო დამარცხებასაც ითაკილებდა, 6:1 კი...

პირველი და ვინ იცის, გარდამტეხი დარტყმები მასპინძლებს ისტლენდელთა შერეკილმა აფრო-იტალიელმა თავდამსხმელმა, **მარიო ბალოტელიმ** მიაყენა. ეს ის ბალოტელია, რომელსაც თამაშის დილას მთელი ინგლისური პრესა დასცინოდა, ფეიერვერკის შეეშინდაო. ყოფილა რაღაც შემთხვევა, რომელზეც ახლა დროს ვერ დავხარჯავთ — „იუნაიტედის“ კარში პირველი და მეორე გოლების ავტორს საკუთარ სახლში მოტკაცუნე მაშხალების შეშინებია. თუმცა, გადამწყვეტი დარტყმა „იუნაიტედს“ შესაძლოა 47-ე წუთზე **ჯონი ევანსის** გაძევებამ მიაყენა, რის მერეც ინგლისის ჩემპიონი მოედანზე უმცირესობაში დარჩა. ასეა თუ ისე, ევანსის გაძევებაც ბალოტელის დამსახურებაა — სწორედ იტალიელმა მოიპოვა ის ჯარიმა, რომლის გამოც მსაჯმა **მარკ კლეტენბერგმა** მასპინძლების მცველს პირდაპირ წითელი ბარათი აჩვენა. ორი გოლი გაიტანა მოედანზე მოგვიანებით შესულმა **ედინ ჯეკომაც**, **სერხიო აგუერომ** და **დავიდ სილვამ** კი თითო გაიტანეს. „იუნაიტედს“ თავი შეუძლია იმით დაიმშვიდოს, რომ 81-ე წუთზე **დარენ ფლეტჩერმა** დიდოსტატური გოლი გაიტანა.

„სიტის“ გამარჯვებამ **რობერტო მანჩინის** ბიჭები ცხრილში „იუნაიტედზე“ 5 ქულით წინ დააყენა. გარდა ამისა, გუშინდელმა შედეგმა სტატისტიკაში შეიტანა ცვლილება: დავიწყოთ იმით, რომ „ლურჯ მანჩესტერელებს“ „წითელი მანჩესტერელებისთვის“ მათ მოედანზე 1974 წლის შემდეგ ერთხელ 2008 წელს ჰქონდა მოგებული, დავძინოთ, რომ „იუნაიტედმა“ 2010 წლის აპრილის შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე“ პირველად წააგო და ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ საკუთარ კედლებში, პრემიერლიგის თამაშებს, ინგლისის ჩემპიონი იგებდა და იგებდა — კვირის ფიასკომდე ზედიზედ 19 გამარჯვება ჰქონდა.

*„ეს იყო ისტორიაში ჩვენი ყველაზე მძიმე დამარცხება* — თქვა მატჩის შემდეგ „იუნაიტედის“ დაზაფრულმა თავკაცმა, სერ **ალექს ფერგიუსონმა**. — *პირადად მე ასეთი ანგარიშით არასდროს წამიგია, ფეხბურთელობის დროსაც კი (არადა, სერ ალექსს 5:0 ორჯერ აქვს წაგებული, 1996 წელს „ნიუკასლთან“ და 1999-ში „ჩელსისთან“ - რედ.). რაც დღეს მოხდა, ჩემთვის ნამდვილი გამოწვევაა. ვერც კი ვიჯერებ, რომ 6:1 წავაგეთ. რასაკვირველია, პირველმა გოლმა ჩვენზე ძალიან იმოქმედა, მაგრამ 1:0-ის გამოსწორება კიდევ შეიძლება. აი, ფეხბურთელის გაძევებამ კი მოგვკლა“.*

ამ შეხვედრის პარალელურად ლონდონში, „ემირეიტ სთედიუმზე“ „არსენალისა“ და „სტოკის“ შეხვედრა მიმდინარეობდა. მასპინძლებმა მოიგეს 3:1. „მეთოფეთა“ გუნდში მთავარი სიტყვა შეცვლაზე შესულმა **რობინ ვან პერსიმ** თქვა. მან ორი გოლი გაიტანა. ეს გახლდათ **არსენ ვენგერის** შეგირდების ზედიზედ მეოთხე საშინაო გამარჯვება.

*„ვან პერსის მოედანზე შეშვება ერთგვარი რისკი იყო, მაგრამ ეს ფეხბურთელი განსაკუთრებული ნიჭით გახლავთ დაჯილდოებული. მას მეტოქეთა დაცვის გარღვევა ეხერხება და, როდესაც ის მოედანზეა, ჩემი ბიჭები საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულები არიან“* — თქვა მატჩის შემდეგ ვენგერმა.

„ევერტონმა“ კი დასავლეთლონდონში, „ფულჰემთან“ შეხვედრაში 1:1 არ იკმარა და სულ ბოლო წუთებში ორი გოლი შეაგდო.

„ბლექბერნმა“ „ტოტენჰემ ჰოთსპურთან“ შინ წააგო. დედაქალაქიდან ჩასულ სტუმრებს წარმატება **რაფაელ ვან დერ ვაარტის** ორმა ოსტატურმა დარტყმამ მოუტანა, მასპინძლების თავკაც **სტივ კინს** კი სამსახურის შესანარჩუნებლად დიდი იღბალი დასჭირდება — სპეციალისტს, რომელმაც გუნდს 30 შეხვედრაში უხელმძღვანელა და ექვსზე მეტი ვერ მოიგო, დაგვეთანხმებით, მართლაც სჭირდება იღბალი.

დასავლეთლონდონური დერბი კი მეტისმეტად „ავზნიანი“ გამოდგა — „ქუინზ პარკ რეინჯერსმა“ „ჩელსის“ **ჰეიდარ ჰელგიუსონის** მიერ პირველ ტაიმში გატანილი პენალტის წყალობით მოუგო. ჰელგიუსონმა **დავიდ ლუიზთან** ორთაბრძოლაში თავად მოიპოვა ეს პენალტი. „ავზნიანი“ კი მატჩს ორი გაძევებისა და უამრავი ყვითელი ბარათის გამო ვუწოდეთ. თავიდან მსაჯმა **ჟოზე ბოსინგვა** გააგდო — „ლურჯების“ პორტუგალიელმა მცველმა **შონ რაიტ-ფილიპსის** წინააღმდეგ იუხეშა, შემდეგ კი **დიდიე დროგბამ** იხილა წითელი. მიზეზი **ადელ ტაარაბტზე** თავდასხმა გახლდათ. „ლივერპულმა“ ოთხეულთან მიახლოების კარგი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან — „ენფილდზე“ „ნორვიჩს“ უმასპინძლა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა. თავიდან მერსისაიდელები იგებდნენ, მაგრამ ჯერ ერთი, დაცვაში დაუშვეს ბევრი შეცდომა და მეორეც, საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს. ამ ორმა ფაქტორმა საბოლოოდ ის მოიტანა, რომ **გრანტ ჰოლტმა** ანგარიში გაათანაბრა და **კენი დალგლიშის** გუნდი ხახამშრალი დატოვა. ზემოთ მასპინძელთა მომენტები ვახსენეთ: „წითლებმა“ მარტო სამჯერ ძელს გაარტყეს ბურთი, შექმნეს მრავალი სხვა შესაძლებლობაც, მაგრამ ერთადერთი, რაც მოახერხეს, პირველი ტაიმის ბოლოს **კრეიგ ბელამის** მიერ თავისი ყოფილი გუნდის კარში გატანილი გოლი იყო. მატჩის შემდეგ დალგლიშმა განაცხადა:

*„რასაკვირველია, ძალიან გულდაწყვეტილები ვართ, თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ სეზონის განმავლობაში იქნება ისეთი შეხვედრებიც, რომელთაც გაცილებით უხარისხოდ ჩავატარებთ, მაგრამ მოვიგებთ. დღეს გამარჯვებას ვიმსახურებდით, მეორე მხრივ კი საგოლე მომენტების გამოყენება უნდა ვიცოდეთ, თორემ დავისჯებით“.*

მერვე ტურამდე „ლივერპული“ მეოთხე ადგილზე მყოფ „ნიუკასლს“ ორი ქულით ჩამორჩებოდა, ახლა კი სხვაობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ოთხი ქულა გახდა. ეს „კაჭკაჭების“ ფრანგი ნახევარმცველის, 25 წლის **იოან კაბაიეს** დამსახურებაა, რომელმაც „სენტ ჯეიმს პარკზე“, „უიგანთან“ შეხვედრის მე-80 წუთზე ახალ გუნდში თავისი პირველი გოლი გაიტანა. გოლის გატანის წუთი, დაგვეთანხმებით, იმას მიუთითებს, რომ მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გასწია, მაგრამ საბოლოოდ გატყდა და... ზედიზედ ექვსი წაგება დაუგროვდა. „ნიუკასლს“ გადასარევად ნამდვილად არ უთამაშია, მაგრამ, როგორც ხედავთ, გაიმარჯვა და კვლავ დაუმარცხებელია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



### მომდევნო ტური

29 ოქტომბერი: **ევერტონი-მანჩესტერ იუნაიტედი, ჩელსი-არსენალი, მანჩესტერ სიტი-ვულვერჰემპტონი, ნორვიჩი-ბლექბერნი, სანდერლენდი-ასტონ ვილა, სუონსი-ბოლტონი, უიგანი-ფულჰემი, ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული.**

30 ოქტომბერი. **ტოტენჰემი-ქუინზ პარკი.**

31 ოქტომბერი. **სტოკი-ნიუკასლი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## რასინგი-ესპანიოლი 0:1

**რასინგი (4-2-3-1):** ტონიო - ფრანსისი, ალვარო გონსალესი, ტორეხონი, სისმა - დიოპი, ადრიან გონსალესი - არანა (79. სამპერიო), მუნიტისი, სერანო (62. კონე) - სტუანი (67. ნაუელპანი).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კ. ალვარესი - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მორენო, დიდაკ ვილა - ფორლინი, მარკესი (85. ბაენა) - ს. გარსია, ვერდიუ, რომარიკი (56. დატოლო) - ალვარო ვასკესი (75. პანდიანი)

**გოლი:** 0:1 ს. გარსია (59)

**გაფრთხილება:** ადრიან გონსალესი - ხ. ლოპესი, რ. როდრიგესი, მარკესი, კ. ალვარესი

**კუთხური:** 7-3; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 20-14 (5-4); **ბურთის ფლობა:** 38%-62%.

**მაყურებელი:** 15 000

## სპორტინგი-გრანადა 2:0

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხუან პაბლო - ლორა, ბოტია (48. გრეგორი), ი. ერნანდესი, კანელია - რივერა, ნაჩო კასესი - ტრეხო (82. ეგურენი), ანდრე კაშტრო, დე ლას კუევასი (73. მორანი) - ბარალი.

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკეირა - ფ. რიკო, აბელი (67. ხარა) - უჩე, იებდა (13. მ. რიკო), ბენიტესი - ხეიხო.

**გოლები:** 1:0 ბარალი (5), 2:0 ანდრე კაშტრო (41)

**გაფრთხილება:** დე ლას კუევასი, ბარალი - ნიომი

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 16-19 (5-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 19 000

## მალაგა-რეალი 0:4

**მალაგა (4-2-3-1):** რუბენი - გამესი, დემიკელისი, მატეისენი, ელიზეუ (85. მონრეალი) - ტულალანი, აპონიო - ხოაკინი (77. ბუონანოტე), ისკო, კასორლა (71. სება ფერნანდესი) - რონდონი.

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პეპე, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო - დი მარია (75. კალეხონი), კაკა (61. იოზილი), რონალდო - იგუაინი (68. ბენზემა).

**გოლები:** 0:1 იგუაინი (10), 0:2 რონალდო (22), 0:3 რონალდო (27), 0:4 რონალდო (37)

**გაფრთხილება:** ელიზეუ

**კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 7-12; **თამაშგარე:** 4-0; **კარში დარტყმა:** 21-12 (6-7); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 28 500

## ბარსელონა-სევილია 0:0

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, მასკერანო, აბიდალი, ადრიანო - ტ. ალკანტარა (73. ფაბრეგასი), ჩავი (87. ბუსკეტსი), კეიტა (61. პედრო) - ინიესტა, მესი, ვილია.

**სევილია (4-2-3-1):** ვარასი - კასერესი, ფასიო, ესკუდე, ფ. ნავარო - კამპანია (70. რაკიტიჩი), მედელი - ხესუს ნავასი, ტროხოვსკი (61. კოკე), არმენტეროსი - დელ მორალი (66. კანუტე).

**გაფრთხილება:** მასკერანო, ინიესტა - ხესუს ნავასი, ვარასი, მედელი, კასერესი, ფასიო, კანუტე, ესკუდე, ნავარო

**გაძევება:** კანუტე (90), ნავარო (90)

**შენიშვნა:** მესიმ ვერ გაიტანა პენალტი (94)

**კუთხური:** 15-3; **ჯარიმა:** 8-7; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 21-6 (6-3); **ბურთის ფლობა:** 73%-27%.

**მაყურებელი:** 93 000

## ბეტისი-რაიო ვალეკანო 0:2

**ბეტისი (4-4-2):** კასტრო - ჩიკა, ამაია, მარიო, ნაჩო - სევილია (80. მომო), ირინეი, კანიასი, მონტერო (72. პერეირა) - რუბენ კასტრო, მოლინა (61. სანტა კრუსი).

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** კობენიო - ტიტო (53. ბოტელიო), არიბასი, ხორდი, კასადო - ფუეგო, მოვილია - პიტი (71. კოკე), მიჩუ, ლ. ბანგურა - ტამუდო (63. დანი პაჩეკო).

**გოლები:** 0:1 ლ. ბანგურა (77), 0:2 კოკე (88)

**გაფრთხილება:** ? - ?

**კუთხური:** 11-8; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 18-12 (4-5); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 38 500

## რეალ სოსიედადი-ხეტაფე 0:0

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - კ. მარტინესი, დემიდოვი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა - მარიგა, ზურუტუზა - ჩაბი პრიეტო (82. კადამურო), იფრანი (64. ხ. ლორენტე), გრიზმანი - აგირეჩე (75. კარლოს ველა).

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, კატა დიასი, ლოპო, მ. ტორესი - ლასენი, რ. პერესი - პ. რიოსი (64. აბდელი), დ. კასტრო, სარაბია (70. პედრო ლეონი) - მიკუ (86. გუისა).

**გაფრთხილება:** ზურუტუზა, იფრანი - მ. ტორესი

**კუთხური:** 10-5; **ჯარიმა:** 10-11; **თამაშგარე:** 2-8; **კარში დარტყმა:** 12-12 (2-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 27 000

## ოსასუნა-სარაგოსა 3:0

**ოსასუნა (4-3-3):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, ლოლო, სერხიო, რაიტალა -პუნიალი, ნეკუნამი, რ. გარსია - სეხუდო (72. ტიმორი), ნინო (85. დამია), იბრა (78. ლეკიჩი).

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - ხუარესი, მატეოსი, დ. სილვა, პარედესი (46. რუბენ მიკაელი) - პონსიო, მეირა - ბარერა (54. ხუან კარლოსი), ლ. გარსია, ლაფიტა (66. ლანსარო) - პოშტიგა.

**გოლები:** 1:0 გარსია (17), 2:0 ნინო (27), 3:0 ნეკუნამი (30)

**გაფრთხილება:** ნეკუნამი, პუნიალი - პარედესი, ხუარესი, მეირა, პონსიო, ლაფიტა, ლანსარო

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 17-24; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 16-6 (7-2); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 17 500

## ატლეტიკო-მალიორკა 1:1

**ატლეტიკო (4-1-4-1):** კურტუა - სილვიო, მირანდა, გოდინი, ფილიპე ლუიში - მ. სუარესი - ადრიან ლოპესი (53. სალვიო), ტიაგო (54. რეიესი), დიეგო, არდა (79. პიცი) - ფალკაო.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ჩიკო (70. ჟოაო ვიქტორი), რამისი, ბიგასი - პინა, ტისონე - ნსუე, ტეხერა (46. ალფარო), გ. კასტრო - ჰემედი (59. იენაგა).

**გოლები:** 0:1 ჰემედი (2-პენ), 1:1 ფალკაო (43-პენ)

**გაფრთხილება:** სუარესი, არდა - რამისი, ჩიკო, ბიგასი, ტისონე, კასტრო, იენაგა

**კუთხური:** 11-0; **ჯარიმა:** 10-20; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 20-6 (4-3); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 45 000

## ვალენსია-ბილბაო 1:1

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - მიგელი, რიკარდო კოშტა, რუისი, მატიო - მ. თოპალი, ბანეგა - ფეგული (69. პაბლო ერნანდესი), ჟონასი (77. ადურისი), კანალესი (36. პიატი) - სოლდადო.

**ბილბაო (4-1-4-1):** ირაისოსი - ირაოლა (46. გურპეგი (56. ანდერი)), ეკიზა, ამორებიეტა, აურტენეჩე - ხ. მარტინესი - სუსაეტა, დე მარკოსი, იტურასპე, მუნიაინი - ფ. ლორენტე (46. ტოკერო).

**გოლები:** 0:1 მუნიაინი (72), 1:1 სოლდადო (89)

**გაფრთხილება:** რუისი, მიგელი, სოლდადო - ირაოლა, ანდერი, იტურასპე, ხ. მარტინესი

**კუთხური:** 8-5; **ჯარიმა:** 18-20; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 22-6 (3-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 27 500

## ვილიარეალი-ლევანტე 0:3

**ვილიარეალი (4-2-3-1):** დ. ლოპესი - საპატა, გონსალო, მარჩენა (46. მარკო რუბენი), კატალა - ბ. ვალერო, ბრუნო - ე. პერესი (60. მარიო), დე გუზმანი, კანი (59. ხერარდ ბორდასი) - როსი.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ხავი ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი (69. ფარინოსი), იბორა - ვალდო (81. პ. ლოპესი), ბარკერო, ხუანლუ - კონე (85. არანდა).

**გოლები:** 0:1 ხუანლუ (16), 0:2 ხუანლუ (43), 0:3 კონე (58)

**გაფრთხილება:** რუბენი, როსი - ტორესი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 6-8; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15-9 (5-3); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლევანტე | 8 | 6 | 2 | 0 | 14-3 | 20 |
| 2. რეალი | 8 | 6 | 1 | 1 | 28-6 | 19 |
| 3. ბარსელონა | 8 | 5 | 3 | 0 | 26-4 | 18 |
| 4. სევილია | 8 | 4 | 4 | 0 | 8-4 | 16 |
| 5. ვალენსია | 8 | 4 | 3 | 1 | 11-8 | 15 |
| 6. მალაგა | 8 | 4 | 1 | 3 | 10-11 | 13 |
| 7. ბეტისი | 8 | 4 | 0 | 4 | 10-13 | 12 |
| 8. ესპანიოლი | 8 | 4 | 0 | 4 | 7-11 | 12 |
| 9. ატლეტიკო | 8 | 2 | 4 | 2 | 9-7 | 10 |
| 10. ოსასუნა | 8 | 2 | 4 | 2 | 9-15 | 10 |
| 11. ბილბაო | 8 | 2 | 3 | 3 | 11-11 | 9 |
| 12. მალიორკა | 8 | 2 | 3 | 3 | 7-9 | 9 |
| 13. ვალეკანო | 8 | 2 | 3 | 3 | 8-11 | 9 |
| 14. სარაგოსა | 8 | 2 | 3 | 3 | 9-16 | 9 |
| 15. სოსიედადი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-10 | 8 |
| 16. ვილიარეალი | 8 | 1 | 4 | 3 | 7-14 | 7 |
| 17. ხეტაფე | 8 | 1 | 3 | 4 | 6-10 | 6 |
| 18. გრანადა | 8 | 1 | 2 | 5 | 2-10 | 5 |
| 19. სპორტინგი | 8 | 1 | 1 | 6 | 5-12 | 4 |
| 20. რასინგი | 8 | 0 | 4 | 4 | 4-13 | 4 |

**ბომბარდირები:** 10 - ლიონელ მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 9 - გონსალო იგუაინი (რეალი); 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია), რადამელ ფალკაო (ატლეტიკო).

## სეგუნდადივიზიონი. IX ტური

**გვადალახარა-საბადელი 1:0**

**გოლი:** 1:0 ერნესტო (63)

**ვალიადოლიდი-ნუმანსია 2:1**

**გოლები:** 0:1 ალფონსო (69), 1:1 ხოფრე (79), 2:1 მანუჩო (85)

**მურსია-ვილიარეალი II 3:1**

**გოლები:** 1:0 ო. სანჩესი (2), 1:1 აირამი (37), 2:1 ო. სანჩესი (44), 3:1 ე. სანჩესი (84)

**გაძევება:** იტურა (71. მურსია)

**ხირონა-კარტახენა 0:2**

**გოლები:** 0:1ერერო (50), 0:2 კოლანტესი (68)

**ხიმნასტიკი-ერკულესი 0:1**

**გოლი:** 0:1 მორა (56)

**კორდობა-დეპორტივო 0:2**

**გოლები:** 0:1 სალომაო (32), 0:2 რიკი (79)

**სელტა-უესკა 4:0**

**გოლები:** 1:0 დე ლუკასი (19), 2:0 ტომასი (57), 3:0 ასპასი (70), 4:0 ასპასი (76)

**ალკოიანო-ბარსელონა II 1:4**

**გოლები:** 1:0 ლოსანო (10), 1:1 ჯ. დოს სანტოსი (42-პენ), 1:2 კარმონა (72), 1:3 რ. ალკანტარა (89), 1:4 ტელო (89)

**გაძევება:** ესტებანი (89. ალკოიანო)

**ალკორკონი-უელვა 2:1**

**გოლები:** 0:1 პ. სანჩესი (24), 1:1 ქუინი (39), 2:1 ბაბინი (44)

**გაძევება:** ზამორა (54. უელვა)

**ელჩე-ხერესი 1:0**

**გოლი:** 1:0 ანხელი (35)

**ალმერია-ლას პალმასი 1:1**

**გოლები:** 1:0 ვიდალ პარეუ (47), 1:1 ლაგვარდია სისნეროსი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ერკულესი | 9 | 7 | 1 | 1 | 11-4 | 22 |
| 2. საბადელი | 9 | 6 | 1 | 2 | 14-10 | 19 |
| 3. გვადალახარა | 9 | 5 | 2 | 2 | 14-12 | 17 |
| 4. ვალიადოლიდი | 9 | 4 | 4 | 1 | 14-9 | 16 |
| 5. ალმერია | 9 | 4 | 4 | 1 | 12-7 | 16 |
| 6. დეპორტივო | 9 | 5 | 1 | 3 | 14-12 | 16 |
| 7. კორდობა | 9 | 4 | 3 | 2 | 7-7 | 15 |
| 8. ალკორკონი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-7 | 14 |
| 9. სელტა | 9 | 4 | 2 | 3 | 17-11 | 14 |
| 10. ელჩე | 9 | 4 | 2 | 3 | 13-11 | 14 |
| 11. ლას პალმასი | 9 | 3 | 4 | 2 | 12-11 | 13 |
| 12. მურსია | 9 | 3 | 3 | 3 | 12-12 | 12 |
| 13. ხერესი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-9 | 12 |
| 14. ვილიარეალი II | 9 | 2 | 5 | 2 | 17-17 | 11 |
| 15. ალკოიანო | 9 | 2 | 3 | 4 | 10-13 | 9 |
| 16. ნუმანსია | 9 | 2 | 3 | 4 | 7-10 | 9 |
| 17. ბარსელონა II | 9 | 2 | 2 | 5 | 16-15 | 8 |
| 18. უელვა | 9 | 2 | 2 | 5 | 7-10 | 8 |
| 19. ხირონა | 9 | 1 | 4 | 4 | 12-17 | 7 |
| 20. უესკა | 9 | 1 | 3 | 5 | 11-19 | 6 |
| 21. კარტახენა | 9 | 1 | 2 | 6 | 5-15 | 5 |
| 22. ხიმნასტიკი | 9 | 0 | 4 | 5 | 6-15 | 4 |

**ბომბარდირები:** 6 - ხოსელუ (ვილიარეალი II); 5 - ქუინი (ალკორკონი), კამაჩო (უესკა), რაფაელ ალკანტარა (ბარსელონა II), ერნესტო (გვადალახარა), ბერი პაუელი (ხიმნასტიკი), დავიდ როდრიგესი (სელტა).

● ესპანეთი. ლა ლიგა. VIII ტური

# ზღაპარ იყო – ლევანტე პირველია!

## ჰეთ თრიკი 15 წუთში და სუპერვარასი



ჩხუბი მატჩის ბოლოს, კანუტემ და ფაბრეგასმა რაღაც ვერ გაიყვეს

ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, მაგრამ მთავარს ყველა ვალენსიის მხარის პატარა ქალაქიდან ელოდან, სადაც „ელ მადრიგალზე" „ვილიარეალი" ვალენსიურ დერბიში „ლევანტეს" მასპინძლობდა. „ვილიარეალი" კი ბატონო, ბოლობოლო ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობს და შეტევაში ისეთი ტანდემი ჰყავს (**ნილმარი და როსი**), რომელზეც უარს ევროკლუბების 99% არ იტყოდა უარს, მაგრამ „ლევანტე"? დიახ, ჩამოწერილი ვეტერანებით დაკომპლექტებული „ბაყაყები", ჩემპიონატის წინ გავარდნის უპირველეს კანდიდატად შერაცხული გუნდი, რომელსაც უცნობი მწვრთნელი თავკაცობს, გამარჯვების შემთხვევაში ისტორიაში პირველად გადადიოდა პირველ ადგილზე. გადავიდა კიდევაც!

პირველ ტაიმში 31 წლის **ხუან ლუის ლოპესმა** (იგივე **ხუანლუ**) დუბლი შეასრულა **დიეგო ლოპესის** კარში და „ლევანტე" 2:0 დააწინაურა. მეორე ნახევარში **არუნა კონემ** კიდევ ერთი გაიტანა და სტუმრებმა სულაც დიდი ანგარიშით იმარჯვეს - 3:0.

ხვალ, ალბათ ყველა მედიასაშუალება, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატს აშუქებს, „სევილიას" 29 წლის გოლკიპერ **ხავიერ ვარასს ერერას** (რომელსაც ყველა ხავი ვარასის სახელით იცნობს) ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანს და მართალიც იქნება - მან „კამპ ნოუზე" 7-ჯერ თითქმის ას-პროცენტიან გოლს გადაარჩინა ანდალუსიური კლუბი, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა, რომ არა ვარასის კიდევ ერთი განწირული ნახტომი, რომელმაც ის მატჩის გმირად აქცია, ხოლო **ლიონელ მესი** - ანტიგმირად.

ახალგაზრდ და საინტერესო მწვრთნელის, **მარსელინო ტორალის** „სევილია" პირველია ჩემპიონატში, რომელმაც „კამპ ნოუ" ხელცარიელმა არ დატოვა - მიუხედავად იმისა, რომ 9 კაცით დაასრულა თამაში, შინ ქულა წაილო - 0:0. ბოლო წუთებზე მოედანზე დიდი არეულობა იყო, რაც პენალტის დანიშვნამ გამოიწვია - **ანდრეს ინიესტა ფედერიკო ფასიომ** მოცელა და ვარასის კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. ამას მოყვა შეცვლაზე შესული **ფრედერიკ კანუტეს** აღშფოთება, მან ჯერ ბურთს მოუქნია ფეხი (რისთვისაც ყვითელი ბარათი მიიღო), შემდეგ კი **სესკ ფაბრეგასს** - ხელი (რისთვისაც გააძევეს). მალე მას **ფერნანდო ნავარო** მიაყოლეს გასახდელში.

პირველად ვარასის კარს ანდრეს ინიესტამ შეუტია, მაგრამ მალევე გამოჩნდა, რომ არც სევილია იყო ჯაბანი - ჯერ **ერიკ აბიდალის** შეცდომის გამო „ბარსა" **ხესუს ნავასმა** კინალამ დასაჯა, შემდეგ იმავე ნავასმა **დანი ალვეშის** შეცდომა გამოიყენა, მაგრამ **ვიქტორ ვალდესმა** ორივეჯერ იყოჩაღა. მაგრამ მალე „ბარსამ" დაიბრუნა უპირატესობა და რომ არა ვარასის თავგანწირული თამაში (ის ფორვარდს ფეხებში ჩაუვარდა) **დავიდ ვილია** ანგარიშს გახსნიდა. 30-ე წუთზე მესის დარტყმული ფასიოს მოხვდა, მიმართულება იცვალა, თუმცა ვარასი მაინც არ დაიბნა. პირველი ტაიმის ყველაზე კარგი მომენტი ისევ ვილიას შეექმნა, მაგრამ ტაიმის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ისევ და ისევ ვარასმა გამოიჩინა თავი.

მეორე ტაიმში „ბარსას" იერიშებმა იმატა, **ხოსეპ გვარდიოლამ** თამაშში ტრავმამოშუშებული სესკი და **პედრო** ჩართო. საგოლე მომენტები იქმნებოდა, მაგრამ ვარასი გაუვალი კედელივით იდგა კარში. ამ თამაშში ვიქტორ ვალდესმა პირადი რეკორდი დაამყარა და „მშრალი" სერია 577 წუთამდე გაზარდა, მაგრამ „ბარსას" ფანებისთვის ეს ვერაფერი ნუგეშია.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ვულოცავ მეტოქეს, მათი დაცვა და განსაკუთრებით მეკარე საოცრად თამაშობდა. ჩვენ კი უკვე სამშაბათის მატჩზე უნდა ვიფიქროთ - ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია. როცა მეტოქე 9 კაცით დაცვაში დგას, აღარ არის საჭირო სივრცე უპირატესობის გამოსაყენებლად. „სევილიამ" ხომ მხოლოდ ერთხელ შეგვიტია ხეირიანად".*

**მარსელინო ტორალი** (სევილია): *„ბარსელონასთან" გოლი რომ არ გაუშვა, შენმა მეკარემ ფანტასტიკურად უნდა ითამაშოს, ჩვენ დღეს სწორედ ამის მომსწრენი გავხდით. მეორე ტაიმში დაგვჩაგრეს, მაგრამ ვარასი იყო საოცარი. კანუტე სესკ ფაბრეგასის პროვოკაციის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ეს ინციდენტი უკვე წარსულია".*

ამასობაში კი „რეალს" თავისი საქმე მომთავრებული ჰქონდა - ბევრის გასაკვირად, „მალაგა" სტუმრად დიდი ანგარიშით, 4:0 დაამარცხა და „ბარსას" გაუსწრო. თამაშის წინ ჰოლანდიელი ვეტერანი **რუუდ ვან ნისტელროი** ამბობდა, რომ თუკი ჩემ ყოფილ გუნდს გოლს გავუტან, არ აღვნიშნავო. ნისტელროის უსიამო სიურპრიზი ელოდა, **მანუელ პელეგრინიმ** ის სათადარიგოთა სკამზე დატოვა. როგორც მატჩმა გვიჩვენა, ჩილელი სპეციალისტი შეცდა და არა მხოლოდ ამაში.

პირველ ტაიმში „რეალმა" თითქმის უნაკლო ფეხბურთი ითამაშა, ოთხივე გოლი მაშინ გაიტანა მასპინძელთა კარში. **კრიშტიანო რონალდომ** ჰეთ თრიკი სულ რაღაც 15 წუთში შეასრულა, პორტუგალიელს ერთი ამდენის გატანა კიდევ შეეძლო. მისი შეჩერება „მალაგას" მცველთა შესაძლებლობებს აშკარად აღემატებოდა (განსაკუთრებით სუსტი **მარტინ დემიკელისი** იყო). თავისი გოლი გაიტანა **გონსალო იგუაინმაც**. რონალდო მესის დაეწია (10-10 გოლი), იგუაინი კი მათ მხოლოდ ერთით ჩამორჩება.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„პირველ ტაიმში ფანტასტიკურად ვითამაშეთ. სხვათა შორის, „ლიონთანაც" ბრწყინვალედ ვითამაშეთ, მაგრამ ასე კარგად არა, როგორც დღევანდელ პირველ ტაიმში. ერთი-ორი შეხებით კომბინაციებს ვაგებდით იმის მიუხედავად, რომ ძალიან დიდი იყო ზეწოლა ჩვენს ფეხბურთელებზე".*

გუშინ „მესტალიაზე" „ვალენსიამ", კერძოდ კი **რობერტო სოლდადომ** ბოლო წუთებზე გადაარჩინა ქულა ბილბაოს „ატლეტიკთან" მატჩში. ბასკები **იკერ მუნიაინის** მიერ კონტრშეტევაზე გატანილი ბრწყინვალე გოლის წყალობით იგებდნენ - 1:1.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. VIII ტური

**ფერეირა-აკადემიკა 2:0**

**გოლები:** 1:0 მელგარეჟუ (27), 2:0 ვილიამი (45)

**ოლანენშე-გიმარაეში 1:0**

**გოლი:** 1:0 მატეუში (48)

**ბეირა მარი-ბენფიკა 0:1**

**გოლი:** 0:1 კარდოსო (42)

**რიუ ავე-ლეირია 2:0**

**გოლები:** 1:0 ვ. გომეში (45), 2:0 ტომაში (76)

**მარიტიმუ-სეტუბალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბაბა (2)

**პორტუ-ნასიონალი 5:0**

**გოლები:** 1:0 დეფური (24), 2:0 ვალტერი (40), 3:0 სეპუნარუ (67), 4:0 კლებერი (90), 5:0 ჰალკი (90)

**ბრაგა-ფეირენშე 3:0**

**გოლები:** 1:0 ნუნუ გომეში (13), 2:0 ალანი (64), 3:0 ევერტონი (80)

**სპორტინგი-ჟილ ვისენტე** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 8 | 6 | 2 | 0 | 22-5 | 20 |
| 2. ბენფიკა | 8 | 6 | 2 | 0 | 20-8 | 20 |
| 3. ბრაგა | 8 | 5 | 2 | 1 | 12-3 | 17 |
| 4. მარიტიმუ | 8 | 5 | 2 | 1 | 13-9 | 17 |
| 5. სპორტინგი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-8 | 14 |
| 6. ოლანენშე | 8 | 3 | 3 | 2 | 9-8 | 12 |
| 7. აკადემიკა | 8 | 4 | 0 | 4 | 12-12 | 12 |
| 8. სეტუბალი | 8 | 3 | 1 | 4 | 7-12 | 10 |
| 9. ჟილ ვისენტე | 7 | 2 | 3 | 2 | 9-10 | 9 |
| 10. ბეირა მარი | 8 | 1 | 4 | 3 | 3-3 | 7 |
| 11. ფერეირა | 8 | 2 | 1 | 5 | 9-13 | 7 |
| 12. ფეირენშე | 8 | 1 | 4 | 3 | 5-13 | 7 |
| 13. ნასიონალი | 8 | 2 | 1 | 5 | 3-17 | 7 |
| 14. ლეირია | 8 | 2 | 0 | 6 | 8-16 | 6 |
| 15. რიუ ავე | 8 | 1 | 2 | 5 | 6-9 | 5 |
| 16. გიმარაეში | 8 | 1 | 1 | 6 | 7-12 | 4 |

**ბომბარდირები:** 6 - კარდოსო (ბენფიკა); 5 - ნოლიტო (ბენფიკა), დიავარა (მარიტიმუ).

## მომდევნო ტური

25 ოქტომბერი: **გრანადა-ბარსელონა, სევილია-რასინგი.**

26 ოქტომბერი: **ხეტაფე-ოსასუნა, ლევანტე-რეალ სოსიედადი, რაიო ვალეკანო-მალაგა, სარაგოსა-ვალენსია, მალიორკა-სპორტინგი, რეალი-ვილიარეალი.**

27 ოქტომბერი: **ესპანიოლი-ბეტისი, ბილბაო-ატლეტიკო.**

● მუნდიალი 2014

# ფინალი მარაკანაზე

ფიფამ გადაწყვიტა, თუ რომელი ქალაქი უმასპინძლებს მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას. 2014 წლის მუნდიალი, მოგეხსენებათ, ბრაზილიაში გაიმართება. დადგინდა, რომ მსოფლიოს მე-20 პირველობა 12 ივნისს სან პაულუში დაიწყება. ფინალი კი რიო დე ჟანეიროში, „მარაკანაზე" გაიმართება - ფინალის თარიღია 13 ივნისი, 16 საათი (ადგილობრივი დროით). მუნდიალის 64 მატჩი ბრაზილიის 12 ქალაქში ჩატარდება.

# უცხოური ფეხბურთი

## საფრანგეთი. ლიგა 1. XI ტური

**ბორდო-ბრესტი 1:1**

**გოლები:** 1:0 გუფრანი (52), 1:1 ვასატი (63)

**კაენი-მონპელიე 1:3**

**გოლები:** 0:1 იანგა-მბიბა (14), 0:2 უტაკა (20), 0:3 ბელჰანდა (79), 1:3 ნივე (82. პენ.)

**გაძევება:** მარვო (63. მონპელიე), ფრო (87. კაენი)

**მარსელი-აიაჩო 2:0**

**გოლები:** 1:0 ა. აიუ (30), 2:0 ა. აიუ (49)

**ნანსი-ნიცა 1:0**

**გოლი:** 1:0 ნიკულაე (54)

**სენტ ეტიენი-ვალანსიენი 1:0**

**გოლი:** 1:0 ბატლე (50)

**სოშო-ევიანი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბუტინი (51), 1:1 ანგულა (90)

**ლორიანი-ტულუზი 0:0**

**გაძევება:** ნინკოვი (66. ტულუზი)

**ოსერი-რენი 0:1**

**გოლი:** 0:1 ფერე (74)

**პსჟ-დიჟონი 2:0**

**გოლები:** 1:0 ნენე (42), 2:0 ნენე (90)

**ლილი-ლიონი 3:1**

**გოლები:** 0:1 ბრიანი (22), 1:1 სოვი (45), 2:1 ბასა (64), 3:1 ჯ. კოული (83)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 11 | 8 | 2 | 1 | 21-8 | 26 |
| 2. მონპელიე | 11 | 7 | 2 | 2 | 25-15 | 23 |
| 3. ლილი | 11 | 6 | 4 | 1 | 21-12 | 22 |
| 4. რენი | 11 | 6 | 3 | 2 | 21-14 | 21 |
| 5. ლიონი | 11 | 6 | 2 | 3 | 18-13 | 20 |
| 6. ტულუზი | 11 | 5 | 4 | 2 | 12-10 | 19 |
| 7. ლორიანი | 11 | 4 | 5 | 2 | 12-9 | 17 |
| 8. სენტ ეტიენი | 11 | 4 | 4 | 3 | 11-13 | 16 |
| 9. კანი | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 10. სოშო | 11 | 3 | 4 | 4 | 17-23 | 13 |
| 11. ოსერი | 11 | 2 | 6 | 3 | 16-15 | 12 |
| 12. მარსელი | 11 | 2 | 6 | 3 | 12-12 | 12 |
| 13. დიჟონი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-22 | 11 |
| 14. ნიცა | 11 | 2 | 4 | 5 | 11-11 | 10 |
| 15. ვალანსიენი | 11 | 2 | 3 | 6 | 12-13 | 9 |
| 16. ბრესტი | 11 | 0 | 9 | 2 | 9-11 | 9 |
| 17. ევიანი | 11 | 1 | 6 | 4 | 11-16 | 9 |
| 18. ბორდო | 11 | 1 | 6 | 4 | 12-18 | 9 |
| 19. ნანსი | 11 | 1 | 5 | 5 | 8-13 | 8 |
| 20. აიაჩო | 11 | 1 | 4 | 6 | 10-22 | 7 |

**ბომბარდირები:** 8 – გამეირო (პსჟ), 7 – ჟირუ (მონპელიე), გომისი (ლიონი), 6 – ა. ტრაორე (ოსერი)

**შემდეგი ტური**

29 ოქტომბერი: **აიაჩო-ბორდო, ბრესტი-ლორიანი, დიჟონი-მარსელი, ევიანი-ოსერი, მონპელიე-ნანსი, პსჟ-კანი, ლიონი-სენტ ეტიენი.**

30 ოქტომბერი: **ნიცა-სოშო, ტულუზი-რენი, ვალანსიენი-ლილი.**

## შოტლანდია. XII ტური

**მოზერუელი-კილმარნოკი 0:0**

**დანდი-სენტ ჯონსტონი 0:0**

**ინვერნესი-დანფერმლაინი 1:1**

**გოლები:** 1:0 ტეიდი (33), 1:1 ბაჩენანი (86-პენ)

**სენტ მირენი-ჰიბერნიანი 2:3**

**გოლები:** 0:1 გრიფიტსი (6), 1:1 მაკგოვანი (32), 2:1 მაკგოვანი (34), 2:2 ო'ჰენლონი (37), 2:3 გრიფიტსი (41)



**ჰართსი-რეინჯერსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ნეისმიტი (21), 0:2 იელავიჩი (74)

**სელტიკი-აბერდინი 2:1**

**გოლები:** 1:0 კი (17), 1:1 ჯეკი (59), 2:1 მალგრიუ (72)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 12 | 10 | 2 | 0 | 25-4 | 32 |
| 2. მოზერუელი | 12 | 7 | 2 | 3 | 14-13 | 23 |
| 3. სელტიკი | 11 | 7 | 1 | 3 | 23-12 | 22 |
| 4. სტ. ჯონსტონი | 12 | 5 | 4 | 3 | 15-10 | 19 |
| 5. ჰართსი | 11 | 5 | 3 | 4 | 13-8 | 18 |
| 6. სტ. მირენი | 12 | 3 | 4 | 5 | 11-13 | 13 |
| 7. აბერდინი | 12 | 3 | 3 | 6 | 12-14 | 12 |
| 8. კილმარნოკი | 12 | 2 | 6 | 4 | 15-18 | 12 |
| 9. ჰიბერნიანი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-21 | 12 |
| 10. დანდი | 12 | 2 | 5 | 5 | 15-22 | 11 |
| 11. დანფერმლაინი | 11 | 2 | 4 | 5 | 12-23 | 10 |
| 12. ინვერნესი | 12 | 2 | 3 | 7 | 11-22 | 9 |

**ბომბერდირები:** 9 – ნეისმითი (რეინჯერსი); 7 — ო'კონორი (ჰიბერნიანი); 6 — დეილი (დანდი), ჰეფერნანი (კილმარნოკი), იელავიჩი (რეინჯერსი); 5 - სანდაზა (სენტ ჯონსტონი), სტოკსი (სელტიკი); 4 - ფორესტი (სელტიკი), ჰიგდონი (მოზერუელი), ჰუპერი (სელტიკი), ლეფერტი (რეინჯერსი), კი (სელტიკი), მაკგოვანი (სენტ მირენი), მერფი (მოზერუელი), შერიდანი (სენტ ჯონსტონი), ვერნონი (აბერდინი).

## თურქეთი. სუპერლიგა. VII ტური

**ანთალია-გალათასარაი 0:0**

**ესქიშეჰირი-მანისა 0:2**

**გოლები:** 0:1 ოძეკი (45), 0:2 არსლანი (72-საკ. კარში)

**ქარაბიუქი-ბუიუქშეჰირი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჩერნატი (23), 2:0 კიშა (83)

**ბურსა-ტრაბზონი 1:1**

**გოლები:** 1:0 შესტაკი (51), 1:1 ბ. ილმაზი (71-პენ)

**ანკარაგიუჯუ-ორდუ 0:2**

**გოლები:** 0:1 თექე (16), 0:2 სტანჩუ (49-პენ)

**ქაისერი-სივასი 6:2**

**გოლები:** 1:0 ამრაბატი (7-პენ), 2:0 ოზჩალი (26), 2:1 გროსიცკი (35-პენ), 3:1 უნალი (68), 4:1 ამრაბატი (76), 5:1 იოკუსლუ (82), 5:2 ჩ. ილმაზი (83), 6:2 უნალი (90)

**გაზიანთეფი-გენჩლერბირლ. 3:0**

**გოლები:** 1:0 დემირი (13), 2:0 ვაგნერი (43), 3:0 დემირი (57)

**ფენერბაჰჩე-სივასი 0:0**

**მერშინი-ბეშიქთაში დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 7 | 5 | 2 | 0 | 12:5 | 17 |
| 2. გალათასარაი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:5 | 14 |
| 3. ორდუ | 7 | 4 | 2 | 1 | 8:4 | 14 |
| 4. ბუიუქშეჰირი | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 13 |
| 5. ტრაბზონი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:7 | 12 |
| 6. მანისა | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 11 |
| 7. ბურსა | 7 | 3 | 1 | 3 | 13:9 | 10 |
| 8. ქაისერი | 7 | 3 | 1 | 3 | 12:10 | 10 |
| 9. მერშინი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| 10. ბეშიქთაში | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 10 |
| 11. ანთალია | 7 | 2 | 2 | 3 | 5:8 | 8 |
| 12. გენჩლერბირლ. | 7 | 2 | 2 | 3 | 8:12 | 8 |
| 13. სივასი | 7 | 2 | 2 | 3 | 10:15 | 8 |
| 14. ქარაბიუქი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:11 | 7 |
| 15. ესქიშეჰირი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:9 | 7 |
| 16. სამსუნი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | 6 |
| 17. გაზიანთეფი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:8 | 5 |
| 18. ანკარაგიუჯუ | 7 | 0 | 1 | 6 | 6:16 | 1 |

**ბომბარდირები:** 9 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი); 6 – ვებო (ბუიუქშეჰირი); 5 – ნობრე (მერშინი).

## ბელგია. ჟუპილერლიგა. XI ტური

| | |
|---|---|
| გენტი-ლოკერენი | 3:1 |
| სერკლ ბრიუგე-ლიოვენი | 2:0 |
| ბეერსხოტი-მეხელენი | 2:2 |
| ლიერსი-სტ. ტრუიდენი | 0:2 |
| გენკი-მონსი | 2:0 |
| ვესტერლო-ანდერლეხტი | 1:2 |
| კორტრიიკი-ბრიუგე | 2:1 |
| სტანდარდი-ვარეგემი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 11 | 8 | 2 | 1 | 22-9 | 26 |
| 2. გენტი | 11 | 7 | 1 | 3 | 25-15 | 22 |
| 3. სერკლ ბრიუგე | 11 | 6 | 4 | 1 | 16-10 | 22 |
| 4. ბრიუგე | 11 | 6 | 4 | 1 | 21-11 | 22 |
| 5. სტანდარდი | 11 | 5 | 3 | 3 | 13-15 | 18 |
| 6. კორტრიიკი | 11 | 5 | 2 | 4 | 14-11 | 17 |
| 7. გენკი | 11 | 4 | 4 | 3 | 18-14 | 16 |
| 8. მონსი | 11 | 4 | 4 | 3 | 24-19 | 16 |
| 9. ბეერსხოტი | 11 | 3 | 5 | 3 | 20-18 | 14 |
| 10. ლოკერენი | 11 | 3 | 3 | 5 | 14-15 | 12 |
| 11. ლიოვენი | 11 | 3 | 2 | 6 | 11-19 | 11 |
| 12. მეხელენი | 11 | 3 | 2 | 6 | 12-20 | 11 |
| 13. ვარეგემი | 11 | 2 | 4 | 5 | 10-16 | 10 |
| 14. ლიერსი | 11 | 1 | 6 | 4 | 6-11 | 9 |
| 15. ვესტერლო | 11 | 1 | 4 | 6 | 9-19 | 7 |
| 16. სტ. ტრუიდენი | 11 | 1 | 2 | 8 | 18-31 | 5 |

# ქართული სპორტი

## თავისუფალი ჭიდაობა. სარქსიანის ტურნირი

# სამი ოქრო



დავით მოძმანაშვილი



გიორგი გოგშელიძე



გიორგი ედიშერაშვილი

სომხურ ვანაძორში დამთავრდა იქაურთა სახელოვანი მოჭიდავის, ევროპის რამდენიმეგზის ჩემპიონის, მსოფლიოს თასისა და ოლიმპიური ვერცხლის მედლის მფლობელ სტეფან სარქსიანის მემორიალი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც მასპინძელთა გაფართოებული შემადგენლობის გარდა, ამერიკის, რუსეთის, საქართველოს, უკრაინის წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. ჩვენი ნაკრებიც რამდენიმე შემადგენლობით ასპარეზობდა (სულ 30 მონაწილე), თუმცა მათში სათადარიგო ფალავნები სჭარბობდნენ. ლიდერთაგან კი მხოლოდ ორი ჭიდაობდა - **გიორგი გოგშელიძე** (96) და **დავით მოძმანაშვილი** (120). მისასალმებელია, რომ ორივე ჩემპიონი გახდა. ასეთივე წარმატებას მიაღწია **გიორგი ედიშერაშვილმაც** (55). მთლიანობაში კი ჩვენი გუნდის მონაგარი 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 2 ბრინჯაოა. მეორე ადგილზე **გელა სალირაშვილი** (74) და **გიორგი საკანდელიძე** (120) გავიდნენ, მესამეზე — **გიორგი ლობჟანიძე** (66) და **ელიზბარ ოდიკაძე** (96).

სამწუხაროდ, ჭიდაობის სომხურ ფედერაციას საიტი არ გააჩნია და შეჯიბრების პერიპეტიებზე დაწვრილებით ვერაფერს გეტყვით, ვანაძორთან კავშირი თბილისში დარჩენილ მწვრთნელებს ჰქონდათ და იმათგან დანამდვილებით ვიცით, რომ გოგშელიძემ პირველ შეხვედრაში ოდიკაძე დაამარცხა. ამ ქვეჯგუფში ოთხი მონაწილე გამოდიოდა, ოღონდ მათ შორის რუსთა ოლიმპიური ჩემპიონი **შირვანი მურადოვიც** იყო. ოდიკაძესთან გამარჯვების შემდეგ გოგშელიძის გზა სწორედ მასთან იკვეთებოდა, მაგრამ დაღესტნელმა პირველ შეხვედრაში მიღებული ტრავმის გამო ასპარეზობა ველარ გააგრძელა და ჩვენებურიც უბრძოლველად გავიდა ფინალში. გოგშელიძეს ურიგო მეტოქე არც იქ ელოდა - ისევ რუსთა დაღესტნელი, ოღონდ ამჯერად ავარელი **აბდუსალამ გადისოვი**, რომელიც ადრე 84-ში გამოდიოდა. ამ ბიჭმა 84-ში ყველასათვის მოულოდნელად მოიპოვა რუსეთის ნაკრებში ლიდერობა, როცა 2009 წელს ახალგაზრდული მსოფლიოსთვის მზადების მიზნით მწვრთნელებმა იქაურ პირველობაზე უფროსებში აჭიდავეს და ჩემპიონი გახდა. მაშინ მან ეროვნულ ნაკრებში დანიაში მსოფლიოს პირველობაზეც იასპარეზა და მეხუთეზე გავიდა. როგორც სადღეისოდ უმეტესად ხდება, ვანაძორში მისი და გოგშელიძის შეხვედრის ბედიც წილისყრამ გადაწყვიტა. თავდაპირველად ფეხში შესვლის უფლება გადისოვს მიეცა, მაგრამ ეს შანსი ვერ გამოიყენა და პერიოდი გოგშელიძემ მოიგო. მეორეში მან ფეხში შესვლიდან მოახერხა მეტოქის ქულაზე გადაყვანა. მურადოვის ტრავმის გამო ოდიკაძემაც უბრძოლველად მოიპოვა ბრინჯაო. მეორე ამგვარი ჯილდოსთვის ორთაბრძოლაში კი რუსთა ქართველყოფილმა **გიორგი კეტოევმა** თანაგუნდელი (ორივე ოსეთის გუნდში გამოდის) **ვლადისლავ ბაიცაევი** დაამარცხა.

მოძმანაშვილმა ბევრად რთული გზით იარა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურამდე - წინასწარ შეხვედრებში რუსთა ოსი **ალან ხუგაევი** დაამარცხა, ფინალში კი თანაგუნდელ საკანდელიძეს მოუგო - 1:0; 2:1. მისასალმებელია, რომ მოძმანაშვილმა სამივე ქულა ბრძოლით მოიპოვა და შეხვედრის ბედში ბრმა წილისყრა არ გარეულა. მსოფლიოს პირველობაზე ბრინჯაოს მოპოვების შემდეგ ეს კიდევ ერთი დასტურია მისი პროგრესისა. იმედია, ოლიმპიადამდე მოძმანაშვილი სრულად დაიბრუნებს ძველ ფორმას.

ედიშერაშვილთან დაკავშირებით ის ვიცით, რომ ფინალის ჩათვლით მას სულ სომეხ მეტოქეებთან მოუწია დაპირისპირებამ, თუმცა წინასწარ ეტაპზე **ბესარიონ გოჩაშვილიც** დაამარცხა. ედიშერაშვილმა წლეულს **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზის“ ტურნირიც მოიგო თბილისში. მისასალმებელია მისი სტაბილურობა - საოლიმპიადოდ ეს ძალიან კარგ კონკურენციას უქმნის ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილს** და ძალიან ადგება თავად ედიშერაშვილსაც.

გელა სალირაშვილმა ფინალი უკრაინელ თანამემამულე **გია ჩიხლაძესთან** წააგო, ლობჟანიძეზე კი ვერაფერს გეტყვით.

ამით ჩვენმა თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა უცხოური ტურნირები დაამთავრეს და ახლა საქართველოს პირველობისთვის ემზადებიან, რომელიც 23-25 ნოემბერს თბილისში გაიმართება. ამ დღეებში თურქეთის საერთაშორისო ტურნირში ორივე სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებს უნდა ეასპარეზათ, მაგრამ მიზეზთა გამო იქ წასვლა ჩაიშალა.

**ირაკლი თაბაძე**




## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. სმიტი; 6. ვანაძე; 7. "სპარტა"; 9. ქიში; 10. რეკორდი; 11. მოია; 14. "ჩიხურა"; 15. იააფი; 17. რუხაია; 18. ფიშერი; 19. დავიდ; 20. ტრაორე; 24. ომარ; 25. "ბენფიკა"; 27. ლამი; 30. იგინლა; 31. ტატამი; 32. ისკო.

**შვეულად:** 1. ლიბერო; 2. პატო; 3. სენსეი; 4. ისინდი; 5. პასი; 6. ვიდიჩი; 8. არნიხი; 12. "არმინია"; 13. რანიერი; 14. ჩარი; 16. ნიკე; 19. დიმასი; 21. რემიზი; 22. "ჯენოა"; 23. "სკონტო"; 26. ფელპსი; 28. "რენი"; 29. ვიტი.

## რეგიონები. თავისუფალი ჭიდაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭიდაობას რა უნდა? ...კარგი მსაჯობაც უნდა

რამდენიმე წელიწადია, ქარელის სასპორტო სკოლაში თავისუფალ ჭიდაობაში კადეტ მოჭიდავეთა ტურნირი იმართება, რომელშიც ამჯერად ძირითადად შიდა და ქვემო ქართლის და იმერეთის სასპორტო სკოლათა აღსაზრდელები (1996-1998 წწ) მონაწილეობდნენ 13 წონით კატეგორიაში. შეხვედრები, განსაკუთრებით ფინალური დაპირისპირებები, ძალიან საინტერესო და ემოციური გამოდგა. ასპარეზობას, სამწუხაროდ, თან ახლდა მწვრთნელების გაუთავებელი უკმაყოფილება, დავა-კამათი, რაც სხვაგან და სხვა დროსაც არაერთხელ გვინახავს და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, უკვე ტრადიციად მკვიდრდება. ყველაფერი ეს ხდება მოზარდთა თვალწინ. ამ საძრახისი ტენდენციის დროულად აღსაკვეთად უთუოდ მართებთ სერიოზული ღონისძიებების გატარება ასპარეზობების ორგანიზატორებს და უპირველესად ფედერაციას.

**კვარცხლბეკი**

**23 კგ:** 1. ბექა გიგაური, 2. გიორგი ნეკაშვილი, 3. ვალერი შავერდოვი (სამივე - ქარელი) და გიორგი ფიფია (რუსთავი);

**26 კგ:** 1. გიორგი გეგელაშვილი (გორი), 2. გიორგი გელაშვილი (ხაშური), 3. როშან ბაირამოვი (ქარელი) და ვლადიმერ არუთინიანი (გორი);

**29 კგ:** 1. მახარე გელაშვილი (ხაშური), 2. ნიკა კვინიკაძე (გორი), 3. ნიკა სოხაძე (ქუთაისი) და გიგი ბლიაძე (ხაშური);

**32 კგ:** 1. ელშან ნიფტანოღლი (ქარელი), 2. თედო ყველაშვილი (გორი), 3. ანრი ფუტკარაძე (ქუთაისი) და გიორგი წიკლაური (კასპი);

**35 კგ:** 1. თემურ ვანიშვილი (გორი), 2. ლექსო კილაძე (რუსთავი), 3. გიორგი ხაჩიძე (ხაშური) და დანიელ მარქარაშვილი (კასპი);

**38 კგ:** 1. ალეკო ლომიძე, 2. ავთო მიდელაშვილი (ორივე - ხაშური), 3. ბექა თევზაძე და გაგა მარჩამუდაშვილი (ორივე - ქუთაისი);



**42 კგ:** 1. თორნიკე კვინიკაძე (ხაშური), 2. აგილ მამადოღლი, 3. სიმონ ოსკანიანი (ორივე - ქარელი) და დავით ენდელაძე (ქუთაისი);

**47 კგ:** 1. ტატო ხარაული, 2. ელვან ნაბიოღლი, 3. სერგო მარგიევი (სამივე- ქარელი) და გიორგი სულავა (ქუთაისი);

**53 კგ:** 1. ალი მახმადოღლი (ქარელი), 2. ვლადიმერ ჩადუნელი (ხაშური), 3. ომარ ბელიძე (გორი) და გიორგი დემეტრაშვილი (კასპი);

**59 კგ:** 1. ჯანგირ ახმედოვი (ქარელი), 2. მირზა სულაია, 3. ბექა სიმონია (ორივე - ქუთაისი) და ლაშა ზაქროშვილი (რუსთავი);

**66 კგ:** 1. პაატა ტალახაძე (რუსთავი), 2. ომარ დონლუზაშვილი, 3. გიორგი ველიჯანაშვილი (ორივე - ქარელი) და ხვიჩა ჯეირანაშვილი (გორი);

**74 კგ:** 1. გიორგი კეთილაძე (ქუთაისი), 2. მურად თოფჩიშვილი, 3. ჯონი პეტრიაშვილი (ორივე - გორი) და ილია ნაყაშაშვილი (ქარელი);

**+ 74 კგ:** 1. ბაჩანა მიქელაშვილი (ხაშური), 2. გიორგი გიორგობიანი, 3. ლევან ლომთაძე (ორივე - ქუთაისი) და ვახტანგ კვინიკაძე (ხაშური).

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ქარელელებმა აჩვენეს (მწვრთნელი **თემურ ახმედოვი**). გამარჯვებულებს თასები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

**ვასილ ბალახაძე**

ქარელიდან

დავით ასპანიძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ● კარატე

# შოტო კანი გორში

23 ოქტომბერს გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის დარბაზმა შოტო კან კარატე დოს ტრადიციულ, მე-17 რესპუბლიკურ ტურნირს უმასპინძლა კუმიტეში თბილისის, ქუთაისის, ზუგდიდის, მცხეთის, დუშეთის, ბორჯომისა და გორის ათი კლუბის მონაწილეობით ვაჟთა შვიდ და გოგონათა ორ ასაკობრივ კატეგორიაში. შეჯიბრების ორგანიზაციული მხარე ჩვეულებისამებრ უზრუნველყო გორში შოტო კან კარატეს ფუძემდებელმა, გამოცდილმა სპეციალისტმა **გელა პავლიაშვილმა.** იგი 33 წელიწადია ავარჯიშებს შეგირდებს (გაზარდა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები და პრიზიორები). ბოლო ორი წელიწადი კი სპორტსმენებს საკუთარი ბინის ერთ ოთახში წვრთნის. შეჯიბრებებისთვის ენთუზიასტ მწვრთნელს ყოველთვის დიდსულოვნად უთმობენ თავიანთ სარბიელს ზემოხსენებული დარბაზის ხელმძღვანელები.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს.

**ვაჟები**

6-7 წ. ლექსო მღებრიშვილი; **8-9 წ.** ვალერი ნადირაშვილი; **10-11 წ.** ანრი ბიწკინაშვილი (სამივე — თბილისი); 12-13 წ. თამაზ გოჩელაშვილი (ქუთაისი); **14-15 წ.** ნიკოლოზ ქობალია (ზუგდიდი), **16-17 წ.** ზურაბ ლანიაშვილი (დუშეთი) და **18 წ.** ზემოთ — ირაკლი ბერაია (ზუგდიდი).

**გოგონები**

**13 წ-მდე და 14 წ. ზემოთ** — თამუნა თურმანიძე (თბილისი).

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

## ● სუმო



# ტოჩინოშინი დასაჯეს

სუმოს კლუბ „კასუგანო ბეიას" ხელმძღვანელობამ მკაცრად დასაჯა ქართველი ფალავანი **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** - ის თვის ბოლომდე ჩამოაცილეს დოჰიოზე ვარჯიშს. არადა, 24 წლის ქართველს ნოემბრის ბაშოზე, რომელიც 13 რიცხვში კუნძულ კიუშუზე იწყება, დიდი ბრძოლები ელის, რადგან ელიტაში კვლავ დაწინაურდება (ახალი რეიტინგი ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება). ტოჩინოშინს შეუძლია ივარჯიშოს ჩვეულად, მაგრამ სპარინგები აკრძალული აქვს, რადგან სავარჯიშო დოჰიოზე ფეხის შედგმის უფლება არა აქვს.

სიმკაცრით განთქმული **კასუგანო** ამბობს, რომ მზადაა, ერთი ბაშო შესწიროს შეგირდის მომავალს. თურმე ქართველმა ბოლო დროს შრომას უკლო, საკუთარი თავის მიმართ ნაკლებად მომთხოვნი გახდა, შეჯიბრებებზე ხშირად გაურბის ორთაბრძოლებს, რის გამოც ისეთ რიკიშებთან მარცხდება, რომლებიც მასზე ნაკლებად ნიჭიერები არიან. კასუგანოს არ მოსწონს, ქართველი სკოლის გარეთ სპორტულ ტანისამოსში, ანაც სულაც მაისურებში გამოწყობილი რომ დადის, მაშინ როცა დაუწერელი კანონით, სუმოისტებს კიმონო უნდა ეცვათ, როცა ხალხში გადიან.

კასუგანოს მოთმინების ფიალა კი 12 ოქტომბერს ავსებულა, როცა ლევანს დაბადების დღე ჰქონდა და ორ თანაგუნდელთან ერთად შუაღამის მერე დაბრუნდა სკოლაში. არადა, სკოლის კარი საღამოობით 22:30-ზე იკეტება. ამას მოჰყოლია გოლფის ყვანჯით სამივეს დასჯა, რამაც იაპონიაში დიდი სკანდალი გამოიწვია. კასუგანომ ტოჩინოშინს ესეც არ აკმარა და, რადგან ინციდენტის შემდეგ კარი გაიჯახუნა და სკოლაში 2 დღე არ დაბრუნებულა, მკაცრად დასაჯა - დოჰიოს ჩამოაცილა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ● ფიგურული ციგურაობა

# ბოლო პირველი დღის მერე



წუხელ გვიან ღამით **ელენე გედევანიშვილი** ISU-ს გრან პრის მეორე ეტაპზე (ქართველი სპორტსმენისთვის პირველი) „სკეიტ ამერიკაზე" ასპარეზობას დაასრულებდა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ პირველი დღის მოკლე პროგრამის შედეგები მოგახსენოთ: სასიხარულო არაფერია - ელენე ონტარიოში 10 მონაწილეს შორის ბოლო ადგილზეა.

21 წლის ქართველს ახალი მწვრთნელი ჯერჯერობით ვერ წაადგა - კანადელი **ბრაიან ორსერი,** 1984 და 1988 წლების ოლიმპიადების ვერცხლის პრიზიორი, 1987 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. ორსერმა **რობინ ვაგნერი** შეცვალა, რომლის ხელმძღვანელობითაც გედევანიშვილმა საქართველოსთვის ისტორიული მედალი, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაო მოიპოვა. ონტარიოში ჩვენებურმა მხოლოდ 42,51 ქულა დააგროვა, რაც თითქმის 20 ქულით ჩამორჩება მის საუკეთესო შედეგს. პირველი დღის შემდეგ „სკეიტ ამერიკაზე" ამერიკელი **ალისა შჩისნი** ლიდერობს - 64,20 ქულით, მეორეა **კაროლინა კოსტნერი** (იტალია) - 60,23. მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩება მესამეადგილოსანი **კაროლინ ჟანგი** (აშშ) - 55,05 ქულა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ● დებიუტანტი

# ლუკა ღაღანიძე

## ფარიკაობა



**დაიბადა** 1996 წლის 10 ნოემბერს.

**სწავლობს** თბილისის 117-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასში.

**ფარიკაობაში** (რაპირა) ვარჯიშობს 2009 წლიდან მამის და ბაბუის — **ირაკლი და ლუდვიგ ღაღანიძეების** ხელმძღვანელობით.

**მიღწევები:** 2010 წლის საქართველოს ჩემპიონი კადეტებსა და იუნიორებში, უფროსებში საქართველოს თასის გათამაშების ფინალისტი; ეროვნული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი; 2011 წელს კადეტთა საქართველოს პირველობასა და ეროვნულ ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვა. ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ქუთაისის ანალოგიურ შეჯიბრებაზე მესამე იყო.

**გატაცებულია** ცურვით, კალათბურთით, ქართული ცეკვით (სამი წელიწადი ბავშვთა ანსამბლში ცეკვავდა).

**ჰობი.** მოგზაურობა, ფოტოხელოვნება.

**კერპები.** ოლიმპიური ჩემპიონი **ვლადიმერ აფციაური,** სამგზის ოლიმპიური და შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონი, იტალიელი მარია-ვალენტინა ვეცალი.

**მიზანი.** ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონობა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

## ● ჭადრაკი

# ბუნდესლიგაში მოსინჯეს ძალები

გერმანიაში მოჭადრაკეთა ბუნდესლიგა მსოფლიოს უძლიერეს დიდოსტატებს უყრის თავს. ტრადიციისთვის არც წლეულს უღალატიათ: 2011-2012 წლების სეზონში პირველობისთვის 16 გუნდი მონაწილეობს, რომელთა რიგებში მიმოფანტული არიან **ლევონ არონიანი** (სომხეთი, 2807), **ვუგარ გაშიმოვი** (აზერბაიჯანი, 2756), **პიოტრ სვიდლერი** (რუსეთი, 2740), **მაიკლ ადამსი** (ინგლისი, 2733), **ფრანცისკო ვალეხო** (ესპანეთი, 2716), **ზოლტან ალმაში** (უნგრეთი, 2710), **არკადი ნაიდიჩი** (გერმანია, 2707), **ფერენც ბერკეში** (უნგრეთი, 2706), **ეტიენ ბაკრო** (საფრანგეთი, 2705) და სხვები. ამგვარი ასებით დაკომპლექტებული გუნდების წინააღმდეგ უწევს თამაში ორ ჩვენებურსაც — საქართველოს ნაკრების წევრ **მიხეილ მჭედლიშვილსა** (ემშდეტენი) და ქვეყნის ექსჩემპიონ **თორნიკე სანიკიძეს** (ტრირი). მათი გუნდები ჯერჯერობით ვერ ბრწყინავენ: სამი ტურის შემდეგ ემშდეტენი 3 ქულით მეთერთმეტეა, ტრირი 1 ქულით მე-13 ადგილზეა (ბუნდესლიგას 6 ქულით „ვატენშაიდი" ლიდერობს). სანიკიძემ სამი შესაძლებლიდან 2,5 ქულას მოუყარა თავი: დაამარცხა დანიელ ჰაუსრატი (მიულჰეიმი) და პეტერ ნილსენი (ბადენ-ბადენი), ხოლო რობერტ რისს (კატერნბერგი) დაუზავდა, მჭედლიშვილმა გუნდს 1,5 ქულა შესძინა — სძლია ვუგარ გაშიმოვს (ბრემენი), ყაიმზე შეუთანხმდა რობერტ კემპინსკის (ჰამბურგი), ხოლო ჰრანტ მელქუმიანთან (ბერლინი) წაგო.

ბუნდესლიგის მეოთხე-მეხუთე ტურების მატჩები 19 და 20 ნოემბერს გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

## ● ჯანსაღი ცხოვრების წესი



ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდის შესაძლებლობები ამოუწურავია. უმთავრესი კი თავისუფალ დროს მასობრივი კულტურული და სპორტული ღონისძიების ორგანიზებაა. საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირმა (თავმჯდომარე **იროდი ბეჟაშვილი**) გასულ შაბათს სწორედ ასეთი გასვლა მოაწყო მცხეთის რაიონის შიო მღვიმეს მონასტრის მოსანახულებლად სპორტული ორგანიზაციების, ფედერაციებისა და სპორტულ ჟურნალისტთა მონაწილეობით.

**გაბრიელ ბარჯაძის** ტექსტი და ფოტო

## ● ჩოგბურთი

# ტატიშვილი და შაფათავა საფრანგეთში ითამაშებენ



23 წლის **სოფიო ქვაცაბაიამ** (440) ანთალიის საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი) წყვილთა ბადე რომ მოიგო, უკვე გაუწყეთ. ჩვენებური ტიტულთან უფრო პრესტიჟულ, ერთეულთა თანრიგშიც ახლოს იყო, მაგრამ ნახევარფინალში უშანსოდ წააგო პირველ ნომრად განთესილ რუმინელ **დიანა ენაჩესთან** (381) - 0:6, 1:6, რომელმაც შემდგომში ფინალშიც იმარჯვა. **ეკა გორგოძე** (428) და სოფიო ქვაცაბაია კვლავ ანთალიაში რჩებიან, სადაც პირველის ანალოგიური ტურნირი იწყება.

ფრანგულ პუატიეში დაიწყო 100-ათასიანი საერთაშორისო ტურნირი. ძირითად ბადეში ითამაშებს **ანა ტატიშვილი** (89), ხოლო იქ მოხვედრას საკვალიფიკაციო ბადიდან **სოფიო შაფათავა** (260) შეეცდება. ჩვენებური ბადის მე-5 ნომერია და პირველი წრიდან გათავისუფლებულია, მეორე წრეში შაფათავა 16 წლის მასპინძელ **ლუ ბრულოს** (791) ხვდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მილოცვა
## გია ქანთურია 70 წლისაა

*ჭეშმარიტი სიდიდე და დიდებულება ადამიანის გულშია და არა თავში (ბუასტი)*



**ჩვენო გია!**

ზუსტად რომ შენი სიდიდე და დიდებულება შენს გულშია, რომელიც ადამიანების სიყვარულის სხივითაა გამთბარი. მუდამ ღიმილიანი, უნიღბო, უწყინარი, გულღია, სტუმართმოყვარე, საუბრისათვის შემართული, ჯანმრთელი იუმორით, ძმურად გვერდში ამომდგომი - ეს ყველაფერი ბევრჯერ დაგიმტკიცებია შენს მეგობრებთან, საქვეყნოდ ცნობილ ქართველ ფალავნებთან მრავალწლიანი ურთიერთობით და მეგობრობით.

დიდი დრო გასულა, გია, თუმცა წელთა სიმრავლეს ჩვენთან რა ხელი აქვს, სანამ გვწამს ჩვენი ძმობისა და ერთგულების, სანამ უკან მოხედვის არ გვრცხვენია და პირნათელი ვართ ქვეყნისა და ადამიანების წინაშე, სიბერე ვერ მოგვერევა! მუდამ ასეთი იყავი და ასეთი იქნები ბოლომდე.

ამაში ჩვენი ხანგრძლივი და წლების მიერ გამობრძმედილი ძმობა გვარწმუნებს.

ღმერთმა გადღეგრძელოს, ჩვენო გია, შენს დიდებულ ოჯახთან ერთად.

*როსტომ აბაშიძე, რომან რურუა, ვლადიმერ ყანყავა, ზარბეგ ბერიაშვილი, ესტატე გოგლიჩიძე, თემურ ალხაზავა, თამაზ მაჭავარიანი, კოტე ლოლუნიშვილი, თემურ ხუბულური, გურამ გელხაური, ბადრი ყანყავა, სვეტლანა ქანთურია, ჯემალ ყუჭავა, ზურაბ კორკოტა, ომარ ბლიაძე.*

®

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

### საქართველოს XXI ჩემპიონატი. II ტური



ასეთი იერიშების შედეგიანად დაგვირგვინებამ ლევან ფაცაციას ტურის საუკეთესოდ აღიარება მოუტანა



სანდიატა გეინსი - NBA-დან ქართულ სუპერლიგაში



შსს-სტუ-ს მატჩის ორი გამორჩეული: ზურაბ მაჩალაძე (№10) და რობო კრეპსი (№23)

# ისტორიული ლოგიკური

**ალბათ, არაერთი მშობლისთვის უკითხავს პატარას - რა არის სამოთხე? პასუხიც სხვადასხვაგვარი იქნებოდა. საკალათბურთო ენაზე კი მშობელს მარტივად შეუძლია ახსნა - სამოთხე არის NBA, სადაც ვარსკვლავები დაფრინავენ, გასამრჯელოსაც საკმარისად იღებენ და ცხოვრობენ უზრუნველად...**

ჩნდება საპასუხო შეკითხვა: რა ჰქვია ადგილს, სადაც მხოლოდ ვარჯიშობენ, ოფლს ღვრიან, სამგზავრო ფული არ აქვთ და მშივრები სხედან? სამოთხის ანტონიმი ნამდვილად იყო საქართველოს ჩემპიონატი რამდენიმე წლის წინათ, როცა კლუბების ნახევარში კალათბურთელები უხელფასოდ თამაშობდნენ, მაგრამ დღეს ჩვენი პირველობა სოკოსავით სწრაფად იზრდება. წვიმის როლს კი ფული თამაშობს - კლუბებში გაჩნდა დაფინანსება და გუნდებიც გაძლიერდნენ.

...საკალათბურთო სამოთხემდე საქართველოს ჩემპიონატი ვერასოდეს მივა, სამაგიეროდ NBA მოვიდა ჩვენთან: ქართული კალათბურთის ისტორიაში პირველად ითამაშა ამერიკული ლიგის მოქმედმა კალათბურთელმა **სანდიატა გეინსმა**. აქამდეც არაერთხელ დაგვიწერია, რომ იგი „ნიუ ჯერსის" ეკუთვნის და „არმიაში" ლოკაუტის დამთავრებამდე დარჩება.

რამდენი წუთი ითამაშა გეინსმა და რა სარგებლობა მოუტანა გუნდს, ეს ცალკე საუბრის თემაა, მთავარია, რომ შაბათს, 22 ოქტომბერს ისტორიული მოვლენის მომსწრენი გავხდით.

**22 ოქტომბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**სოხუმი–სამედიცინო 88:70**

**23:16, 14:23, 25:20, 26:11**

**სოხუმი:** ფარლალავა (31ქ, 4პ), ჩლაიძე (9ქ), ფაცაცია (26ქ, 11მ, 6პ), გაი (6ქ, 11მ, 3პ), ათუაშვილი (9ქ, 5მ); კანკია (5ქ), გაფრინდაშვილი (5პ), ქადარია (5ქ).

**სამედიცინო:** აბაიშვილი (4ქ, 7პ), ტომარაძე (4ქ, 4პ), ჩიკვილაძე (16ქ, 5პ), ბექაური (21ქ, 8მ), ილიჩი (14ქ, 8მ, 2დ); კვეტენაძე, ყველაშვილი, პირველაშვილი (6ქ), შვანგირაძე, ჭოჭუა (5ქ).

**მსაჯები:** მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, ი. ბერიშვილი

## როცა 30 მეტია 31-ზე

ვიდრე ევროჩელენჯის მონაწილე „არმიას" თამაშს შევეხებოდეთ, ამ ტურნირიდან გამოთიშულ „სოხუმზე" უნდა ვთქვათ, რადგან შაბათს პირველი მატჩი სწორედ „სოხუმი"-"სამედიცინო" იყო. საბოლოოდ, ყველაზე დაძაბული სწორედ ეს შეხვედრა გამოდგა.

მატჩის მსვლელობისას დაფიქსირდა ორი გაქცევა, ერთმა თამაშის შედეგზე ვერ იმოქმედა, მეორემ - გამარჯვებულის ბედი გადაწყვიტა. „მედიკოსებმა" მესამე პერიოდში 11:0 სპურტი მოაწყვეს და ხუთქულიანი ფორა მოიპოვეს (52:47), რომლის შემდეგაც დაახლოებით ათი წუთის განმავლობაში თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. მეოთხე პერიოდის დასაწყისში კი სოხუმელთა ჯერი დადგა: **ფარლალავა-ფაცაციას** დუეტის სიზუსტის წყალობით **აინარს ბაგაცკისის** გუნდი 9:0 გაიქცა (73:61) და გამარჯვებულის ვინაობაც გაარკვია.

„სამედიცინოს" რიგებში დებიუტანტის რანგში ითამაშა **ნემანია ილიჩმა**, რომელმაც 33 წუთში 14 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. **ნუგზარ კანდელაკის** შეგირდთაგან კი ყველაზე უკეთ **ბექა ბექაური** გაისარჯა - 21 ქულა (13-დან 10 ორქულიანი), 8 მოხსნა.

ქულების დაგროვებაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა ორი სოხუმელი - ლაშა ფარლალავა და ლევან ფაცაცია. საბოლოოდ ლაშამ წინა ტურში თანაგუნდელი **ბრენდონ გაის** რეკორდი გაიმეორა - 31 ქულა ჩააგდო. მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით კი, მატჩშიცა და საერთოდ ტურშიც საუკეთესო ფაცაცია იყო. მისმა მქკ-მ 30-ს უწია: 38 წუთი, 26 ქულა (10/4 ორქულიანი, 11/5 სამიანი, 4/3 საჯარიმო), 11 მოხსნა, 6 პასი, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი, 0 შეცდომა.

სტატისტიკამ და მატჩის დაძაბულობის ხარისხმა საშუალება მოგვცა ტურის საუკეთესო კალათბურთელად ლევან ფაცაცია დაგვესახელებინა.

**22 ოქტომბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**არმია–დინამო 90:53**

**24:14, 19:10, 29:12, 18:17**

**არმია:** გეინსი (6ქ, 4პ, 5მ), ბოისა (3ქ), რიჩარდსონი (7ქ, 3პ), ბაბიაშვილი (8ქ), შელბომი (16ქ, 8მ); მინაშვილი (5ქ), კვიმსაძე (6ქ, 3პ), ტომასი (14ქ), მოსეშვილი, ათანელიშვილი (4ქ), დიასი (14ქ, 9მ), საყვარელიძე (7)

**დინამო:** ბაქრაძე (5ქ), მარხვაშვილი (1ქ), სანაძე (19ქ), კეიდია (5ქ, 7მ), სუხიშვილი (4ქ); ს. ლეჟავა (12ქ), ლომიძე, ალხანაიძე, მეხრიშვილი (3ქ), ჯანგველაძე (4ქ).

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, ს. სინერსი, ი. ბერიშვილი

## დეივისა და ჯორჯის არყოფნაში

„არმია" ევროჩელენჯზე 8 ნოემბერს ითამაშებს, მანამდე საქართველოს პირველობაზე სამი მატჩი აქვს: ჯერ შედარებით სუსტ „დინამოს" ეთამაშა, მომავალ შაბათს „ქუთაისს" უმასპინძლებს, ხოლო უშუალოდ ევროჩელენჯის წინ, შსს-ს დაუპირისპირდება. კალენდარი ისეა შედგენილი, რომ არმიელები ჯერ მოითელონ, შემდეგ კი ძლიერ მეტოქეებთან მოსინჯონ შესაძლებლობები. აქვე გეტყვით, რომ მომავალ შაბათს ძალოვნებს ქუთაისში უნდა ეთამაშათ, მაგრამ მეტოქესთან და სუპერლიგის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მატჩი თბილისში გაიმართება.

შაბათს „არმია" კარგად მოითელა - ახალგაზრდულ „დინამოს" იოლად გაუმკლავდა, მით უმეტეს, რომ **დავით თორთლაძის** გუნდს აკლდა ორი ახალწვეული **ნოელ დეივი** (უკანახაზელი) და **ტრევის ჯორჯი** (ცენტრი).

რაც შეეხება „არმიის" ახალწვეულებს. იმდენად დიდი იყო სხვაობა ანგარიშში, რომ ძნელია მათ შესაძლებლობებზე გადაჭრით მსჯელობა. სანდიატა გეინსს პირველი ტაიმის შემდეგ აღარ უთამაშია.

- ფეხი გადაუბრუნდა, ტრავმა სერიოზული არ ჩანს, თუმცა მეორე ნახევარში მისი მოედანზე შეყვანისგან თავი შევიკავე, - გვითხრა „არმიის" მწვრთნელმა **კოტე ტულუშმა**.

მეორე ტაიმში მხოლოდ 4 წუთი ითამაშა **იოაკიმ შელბომმა**, რომელმაც საწყის 20 წუთში იმდენი იშრომა, რომ გუნდის ბომბარდირობა არავის დაუთმო - 16 ქულა.

**ჯერემი რიჩარდსონს** „დინამოს" სნაიპერის, - **დუდა სანაძის** (19 ქულა) შეკავება ევალებოდა...

პუერტორიკოელი **გილერმო დიასი** მაღალი სისწრაფით არ გამოირჩეოდა, თუმცა მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით მატჩში საუკეთესო იყო - 20.

გამოგიტყდებით, ყველაზე მეტად **უილ ტომასი** მომეწონა, რომელსაც კოტე ტულუშის 10-ნომრიანი მაისურა ეცვა. იმის მიუხედავად, რომ თამაშის ბედი დაწყებამდე იყო გადაწყვეტილი, მაინც გულიანად ირჯებოდა და სროლის სიზუსტითაც გამოირჩა - 5-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 5-დან 3 საჯარიმო.

**22 ოქტომბერი. თბილისი**

**სპორტის სასახლე**

**შსს–სტუ 94:88**

**31:18, 28:18, 13:26, 22:26**

**შსს:** წივწივაძე (17ქ), კრეპსი (27ქ), თენიეშვილი (13ქ), დვალიშვილი (11ქ), იმნაძე (8ქ); ლაფანაშვილი (9ქ), ნიკოლაძე (3ქ), ლონდარიძე (2ქ), ტუჯანი (2ქ), ბოქოლიშვილი (2ქ).

**სტუ:** ტეტელაშვილი (4ქ), ვ. ბერუაშვილი (17ქ), ანთაძე (3ქ), ჩაჩიბაია (19ქ), კობიძე (11ქ); თევზაძე (2ქ), მაჩალაძე (7ქ), ხანიაშვილი (18ქ), დეკანოიძე, ძიძიგური (7ქ).

**მსაჯები:** დ. ბერეკაშვილი, მ. კუპატაძე, გ. მიქელაძე

## 59:36-ის შემდეგ...

მესამე მატჩის მიმოხილვაც ლეგიონერით უნდა დავიწყოთ. შეხვედრას ესწრებოდა ამერიკიდან ახლაჩამოსული **გოფრი მაქემონი**, რომელიც შსს-ს განაცხადშია, თუმცა შაბათის მატჩს სამოქალაქო ფორმით მიადევნა თვალი. გოფრი შსს-ს მომდევნო ტურიდან დაეხმარება. ამ გუნდის პირველმა უცხოელმა **რობო კრეპსმა** კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა ეფექტურად: 33 წუთში 27 ქულა ჩააგდო და სამართლიანად განვიხილავდით ტურის საუკეთესო კალათბურთელობის ერთ-ერთ კანდიდატად.

პირველ მეოთხედში სტუ-ს არ აღმოაჩნდა ძალა შსს-ს შეტევათა მოსაგერიებლად, შესაბამისად, დიდი შესვენების წინ გამანადგურებელი სხვაობა დაფიქსირდა: 59:36. ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ სიტყვა „გამანადგურებელის" ნაადრევად გამოყენება, ან საწყის 20 წუთში შეხვედრის ბედის გადაწყვეტაზე ლაპარაკი გაუმართლებელია...

სტუ-მ იმდენი მოახერხა, რომ საფინალო სირენამდე წუთით ადრე სხვაობა 4 ქულამდე შეამცირა. ასეთი სხვაობის 60-წამში გაბათილების არაერთი შემთხვევა გვინახავს, თუმცა ამჯერად სენსაცია არ მოხდა და შსს-მ 94:88 იმარჯვა.

მატჩის ვიცე-ბომბარდირი გახდა **ტატო ჩაჩიბაია**, რომელმაც წინა ტურში საკუთარი მაჩვენებელი ორით გააუმჯობესა - 19 ქულა.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუთაისი | 2 | 2 | 0 | 206/134 | 4 |
| 2. სოხუმი | 2 | 2 | 0 | 196/132 | 4 |
| 3. შსს | 2 | 2 | 0 | 195/165 | 4 |
| 4. სტუ | 2 | 1 | 1 | 192/169 | 3 |
| 5. თსუ | 2 | 1 | 1 | 145/137 | 3 |
| 6. არმია | 1 | 1 | 0 | 90/53 | 2 |
| 7. ოლიმპი | 1 | 1 | 0 | 69/68 | 2 |
| 8. ბათუმი | 2 | 0 | 2 | 145/178 | 2 |
| 9. სამედიცინო | 2 | 0 | 2 | 145/192 | 2 |
| 10. დინამო | 2 | 0 | 2 | 126/198 | 2 |
| 11. რუსთავი | 2 | 0 | 2 | 123/206 | 2 |

### ქართველი ბელგიაში



## შარლერ... უი, შინ წააგო

ბელგიის ჩემპიონმა „შარლერუამ" ბევრისთვის მოულოდნელად შინ „აალსტართან" დათმო. ასეთი შედეგის წინასწარმეტყველება მატჩამდეც რთული იყო და 30 წუთის შემდეგაც მხოლოდ „აალსტარელებს" თუ სჯეროდათ, რომ „შარლერუას" დამარცხება შეიძლებოდა. მეოთხე პერიოდს **თორნიკე შენგელიას** გუნდი 8-ქულიანი უპირატესობით შეხვდა (61:53), თუმცა ბოლო რაუნდში „აალსტარის" კალათისკენ გზა დაეკარგა, 7:23 დათმო, რაც სეზონში პირველ წაგებად დაუჯდა - 68:76.

თორნიკე სასტარტო ხუთეულში იყო, 14 წუთში ნაყოფიერად იშრომა: 9 ქულა (7-დან 3 ორქულიანი, 3-დან 3 საჯარიმო), 6 მოხსნა, 1 ჩაჭრა. შეხვედრის ბომბარდირი შენგელიას თანაგუნდელი **დემონდ მალე** გახდა - 21 ქულა მოაგროვა.

მომდევნო ტურში (29 ოქტომბერს) „შარლერუა" თორნიკეს ყოფილ კლუბ „პეპინსტერს" შეხვდება.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# აია არმიას ვერ გაუმკლავდა

**აია-არმია 16:24**

აია (15-9) ხამაშურიძე, არაბიძე, ი. ჩხიკვაძე, გოშაძე, გიორგაძე (სინაურიძე 41), შარვაშიძე (კუხიანიძე 71), გოგია. (18) ლომიძე (ყვანია 52), გურეშიძე (მატკავა 82), ტ.ჩხიკვაძე, ჩიტეიშვილი, ძაგნიძე, რევიშვილი, დგებუაძე (მეტრეველი 50) , თხელიძე (ცირეკიძე 71)

2ლ: გოშაძე, გოგია. ა: შარვაშიძე, ს: სინაურიძე

არმია (15-9) კობახიძე, ტუჩაშვილი, შკინინი, გაბროშვილი, მჭედლიძე (გოგეშვილი 59), ელიზბარაშვილი, სამხარაძე (18) უდესიანი (ქორიძე 70), კალმახელიძე, თავართქილაძე(თხელიშვილი 60), ცხადაძე, ბუჯიაშვილი, დონაძე, ბრეგვაძე (მეკოკიშვილი 58), კაკოვინი

3ლ: შკინინი (2), კალმახელიძე, 3გ,ს: კობახიძე (3)

სინბინი: ცხადაძე, გაბროშვილი, კაკოვინი

მსაჯი: სალემ ატალაჰი (საფრანგეთი)

ამ უქმეებზე ქართული რაგბის მოყვარულთა ყურადღება ქუთაისისკენ იყო მიპყრობილი, სადაც ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდი, რეგულარული ჩემპიონატის პირველ-მეორე ადგილოსნები „აია“ და „არმია“ დიდი ფინალის საგზურისთვის ერკინებოდნენ ერთმანეთს.

პირველი ტაიმი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა, მაგრამ კარგი თამაში ანგარიშით ვერ გაამყარეს და დაისაჯნენ კიდეც. მეორე ნახევარში მათ შეცდომებს უმატეს, არმიელებმა კი პირიქით, მობილიზება მოახერხეს და დამხვდურებს ხელით თამაშში აჯობეს, რამაც მათი გამარჯვება და დიდ ფინალში გასვლა განაპირობა.

მასპინძლებმა თავიდანვე სცადეს ინიციატივის ხელში ჩაგდება, ისინი ძალისმიერი თამაშით ცდილობდნენ დაწინაურებას, მე-8 წუთზე ფრანგ არბიტრ **სალემ ატალაჰისგან** ჯარიმასაც გამორჩნენ, მაგრამ ქუთაისელთა მოთამაშე მწვრთნელმა **ბესიკ ხამაშურიძემ** ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ გაიტანა.

„არმიამ“ მასპინძელთა საწყის შეტევებს კარგად გაუძლო, მათ პირველივე იერიშს კი ლელო მოჰყვა. მე-12 წუთზე სტუმრებმა თავიანთი აუტი მოიგეს, მოლით მიაწვნენ, შემდეგ შეტევა მარცხენა ფრთაზე გადაიტანეს, **ალექსანდრე ტუჩაშვილი** კარგად დაუსხლტა მეურვეებს, ბოლოს ის შებოჭეს, მაგრამ ბურთი ისევ არმიელებს დარჩათ და მარცხენა გარემარბმა **გიორგი შკინინმა** „აიას“ ჩათვლის მოედანში დაამიწა. სტუმართა ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** გარდასახვა ზუსტად დაარტყა და „არმია“ დაწინაურდა - 7:0.

მასპინძლები შექმნილ მდგომარეობას არ შეეგუენ და მძლავრად შეუტიეს. ამასობაში მსაჯმა ბინძური თამაშისთვის სტუმართა მეორეხაზელი **მამუკა ცხადაძე** გაასინბინა და „არმია“ 10 წუთით კაცნაკლული დარჩა. მასპინძლებმა ამით კარგად ისარგებლეს, მე-20 წუთზე ქუთაისელთა მრავალფაზიანმა შეტევამ განვითარება მარცხენა ფრთაზე ჰპოვა, სადაც **ირაკლი გიორგაძემ ბაკურ გოშაძე** ჩართო შეტევაში და მანაც ზედ მარცხენა ხაზთან ახლოს დაამიწა. ხამაშურიძემ მახვილი კუთხიდან რეალიზაცია ვერ გამოიყენა - 5:7

ტაიმის შუაწელში მეტოქეებმა ჯარიმები გაცვალეს. ჯერ კობახიძეს გაუცუდდა დარტყმა, შემდეგ კი ხამაშურიძესაც. სამაგიეროდ, სიზუსტემ არ უმტყუნა რიონისპირელთა მგეზავს **ლევან შარვაშიძეს**, რომელმაც მასპინძელთა მასირებული შეტევისას, კარის წინ მიიღო ბურთი და არეკნით „აია“ დააწინაურა - 8:7 ტაიმის მიწურულს ქუთათურებმა საკუთარ 22-მეტრიან ზონაში შერკინების მოგების შემდეგ შეცდომა დაუშვეს, რაც ჯარიმის ფასად დაუჯდათ და კობახიძემ ზუსტი დარტყმით პირველი ტაიმის ანგარიში დააფიქსირა - 8:10.

მეორე ტაიმის საწყისი წუთები ქუთათურებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. სამწუთიან ინტერვალში მათ ორ უხეშ შეცდომას არმიელთა „ტყუპი“ ლელოები მოჰყვა. 51-ე წუთზე სტუმრებმა ქუთაისელებს შეტევაში ჩაუჭრეს ბურთი, კობახიძემ კარგა ხანს ბურთიანად ირბინა და შეტევაში შკინინი ჩართო, რომლის შეჩერებაც ვერავინ მოახერხა. კობახიძემ ზუსტად გარდასახა - 8:17.

მალევე ქუთაისელთა შეცდომას კალმახელიძის გარღვევა და ლელო მოჰყვა, კობახიძემ კი ისევ ზუსტად დაარტყა - 8:24. „აია“ მატჩის გადარჩენას შეეცადა, მაგრამ შაბათს ქუთაისელთა დღე არ იყო, მათ თამაშის დალაგება და თავიანთი კოზირების გამოყენება ვერ შეძლეს. სინაურიძის ჯარიმა და გოგიას მიერ ბოლო წამებზე გატანილი ლელო კი უკვე დაგვიანებული იყო. „არმიამ“ მძიმე ბრძოლაში 24:16 გაიმარჯვა და დიდი ფინალის საგზური მოიპოვა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

მსოფლიოს თასი



რიჩი მაქოა ვებ ელისის თასით

# ვებ ელისი ახალ ზელანდიაში დაბინავდა

**ახალი ზელანდია-საფრანგეთი 8:7**

ახალი ზელანდია. (15-9) დაგი, ჯეინი, სმითი, ნონუ (ს. ვილიამსი 75), კაჰუი, კრადენი (დონალდი 33), ვიპუ (ელისი 49). (1-8) ვუდკოქი, მეალამუ (ჰორი 49), ფრენქი, ვაითლოქი (ა. ვილიამსი 52), თორნი, კაინო, მაქოა, რიდი.

ლ: ვუდკოქი. ს: დონალდი

საფრანგეთი. (15-9) მედარი, კლერი (ტრაი 46), რუჟერი, მერმოსი, პალისონი, პარა (ტრინ-დუკი 22), იაშვილი (დუსენი 75). (1-8) პუ (ბარსელა 65), სერვა (სჟარჟევსკი 65), მასი, პაპე (პიერი 69), ნალე, დუსოტუარი, ბონერი, არინორდოკი.

ლ: დუსოტუარი. გ: ტრინ-დუკი

მსაჯი: კრეიგ იუბერი (სამხრეთ აფრიკა)

ახალ ზელანდიაში დასრულებული მსოფლიოს თასის გათამაშება, რომელშიც პლანეტის საუკეთესო გუნდის სახელი მასპინძელმა „ოლ ბლექსმა“ მოიპოვა, მრავალი უცნაურობით იყო გამორჩეული.

რაგბიში იშვიათია, როცა ერთი გუნდი მეორეს აშკარად ჯაბნის, მაგრამ მაინც მარცხდება. მსოფლიოს თასის ამ გათამაშებაში ასეთი მატჩები საკმარისზე მეტი იყო. ასე მოხდა ფინალშიც: საფრანგეთის ნაკრებმა მეტოქეს, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში, აჯობა, მაგრამ მაინც წააგო 7:8 და „ვებ ელისის“ თასი ახალი ზელანდიის ეროვნულ გუნდს დარჩა.

კიდევ ერთი უცნაურობა თავად საფრანგეთის ნაკრებია. გუნდმა, რომელშიც მწვრთნელსა და მოთამაშეებს შორის დიდი განხეთქილებაა და ჯგუფურ ტურნირში ორი მატჩი წააგო, ფინალამდე მაინც გააღწია და იქაც შესანიშნავად ითამაშა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სადაც პროფესიონალიზმი და სამშობლოს დიდი სიყვარულია, ყოველგვარი არეულობის, უთანხმოებისა და გაუგებრობის დაძლევა ადვილად შესაძლებელია.

ერთი სიტყვით, საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს თასის მოპოვების ძალიან კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. მასპინძლებმა კი ის სრულიად დამსახურებულად, დიდი ბრძოლისა და თავდადების შედეგად მოიგეს.

აღსანიშნავია, რომ „ოლ ბლექსს“ მსოფლიოს თასის ამ გათამაშებაში „მგეზავის (№10) ვირუსი“ შეეყარა. ტურნირის მსვლელობისას, ჯერ ძირითადი მგეზავი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე **დენ კარტერი** დაშავდა, მერე მისი დუბლიორი **კოლინ სლედი**. პარადოქსია, მაგრამ ფინალური მატჩის 30-ე წუთზე მესამე მგეზავმა აარონ კრადენმაც დროზე ადრე დატოვა მოედანი და საქმეში მე-4 ნომერი მგეზავი **სტივენ დონალდი** ჩაერთო, რომლის მიერ 45-ე წუთზე გატანილი საჯარიმო მასპინძლებისთვის გამარჯვების მომტანი გამოდგა.

პირველი ტაიმი თითქმის თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ფრანგები დაცვაში კარგად იდგნენ, მაგრამ ორჯერ რაკში თამაშისას დაჯარიმდნენ, თუმცა „ოლ ბლექსის“ დამრტყმელმა, ცხრა ნომერმა **პირი ვიპუმ** შანსი ვერ გამოიყენა.

ანგარიში კი „ოლ ბლექსმა“ მე-14 წუთზე გახსნა. ფრანგთა ლელოდან ათ მეტრში მათ მეტოქეს დერეფანი გაუწელეს, შუაში საკმაოდ დიდი დაუცველი სივრცე დარჩა, სადაც პირველხაზელმა **ტონი ვუდკოქმა** უპრობლემოდ გაიარა და ლელომდე წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ვიპუმ გარდასახვაც ვერ გაიტანა - 5:0.

ფრანგებს ერთხელაც არ მიეცათ იმის საშუალება, რომ თუნდაც საჯარიმოთი შეემცირებინათ ანგარიში. მხოლოდ შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ფრანსუა ტრინ-დუკმა** სცადა არეკნით მეტოქის კარის დალაშქვრა, თუმცა უშედეგოდ.

მეორე ნახევრის დასაწყისში, როგორც უკვე ვთქვით, დონალდმა საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა რვამდე გაზარდა - 8:0. რაზეც საფრანგეთის ნაკრებმა ორ წუთში ლელოთი უპასუხა. „ოლ ბლექსმა“ შეცდომა მოედნის ცენტრში დაუშვა. ამით ტრინ-დუკმა ისარგებლა, მეტოქის ხაზი გაჭრა და თხუთმეტიოდე მეტრი ირბინა. მერე ბურთი ცხრა ნომერ **დიმიტრი იაშვილს** გადააწოდა, რომელმაც შეტევა მარცხნივ გრძელ ფრთაზე განაგრძო. შემდეგ, იქიდან ბურთი ისევ მარჯვნივ გამოათამაშეს და მესამეხაზელმა **ტიერი დუსოტუარმა** ახალზელანდიელთა დაცვის ხაზი გაგლიჯა. ფრანგთა კაპიტანმა ლელო კარის ძელთან გაიტანა. ტრინ-დუკმა გარდასახა - 7:8.

ამის მერე, უპირატესობას მთლიანად ფრანგები ფლობდნენ, მათ ორჯერ შეეძლოთ ანგარიშში დაწინაურება. ჯერ იაშვილმა ვერ გაიტანა საჯარიმო, მერე კი ტრინ-დუკმა. „ოლ ბლექსმა“ „ლებლოს“ იერიშების მოგერიებაც მოახერხა და თავისთვის ხელსაყრელი ანგარიშის შენარჩუნებაც შეძლო.

**ბესიკ ჯანგავაძე**

# ჩემპიონის სრული უპირატესობა

**ლელო-ლოკომოტივი 13:22**

ლელო (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, ანდღულაძე, ხუციშვილი, ხმალაძე, კაჭარავა. (1-8) სანიკიძე (გაბელია 54), ჭყონია (კვერნაძე 16), სუჯაშვილი, ხიპაშვილი (კოლელიშვილი 6), ი.დაუშვილი (ჯვარშეიშვილი 63, ჭეიშვილი 72), მძინარიშვილი, დ.დაუშვილი, აზალაძე.

ლ: ანდღულაძე. 2ს,გ; ყიასაშვილი

ლოკომოტივი (15-9) კავთიძე, ქავთარაძე, კობერიძე, ბერძენიშვილი, ჟამუტაშვილი (ჭურღულია 16), კვინიხიძე, ლვინჯილია. (1-8) გასვიანი (კორკოტაძე 77), ზარიძე, ვეფხვაძე, გუნიავა, ნიშნიანიძე, გენებაშვილი, ჩიტიძე, ბერიშვილი.

ლ: ჭურღულია. 5ს,გ: კვინიხიძე.

მსაჯი: არნო ბალობდელი (საფრანგეთი)

საქართველოს ჩემპიონატის გასავარდნ ფინალში ბოლო წლების პრინციპული მეტოქეები „ლელო“ და „ლოკომოტივი“ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს გუნდები აქამდე ძირითადად ჩემპონატისა და თასის გათამაშების ფინალში ხვდებოდნენ, ამჯერად კი ქვეყნის უპირველესი გუნდის ტიტულისთვის ბრძოლა ერთ-ერთი მათგანის, - „ლელოს“ გარეშე გაგრძელდება.

ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა თბილისის „ლოკომოტივმა“, რომელიც რეგულარულ გათამაშებაში მისთვის უჩვეულო მე-4 ადგილს დასჯერდა, მეტოქე აბსოლუტურად ყველა კომპონენტში დაჯაბნა, შედეგად 22:13 მოუგო და წინასწარ ფინალში გააღწია.

პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. თუმცა რკინიგზელთა მორკინალები მეტოქეს იმდენად აშკარად ჯაბნიდნენ, რომ ლელოელები თავიანთი შერკინების მოგებასაც ვერ ახერხებდნენ. ეს უპირატესობა მეორე ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა, რამაც „ლოკომოტივის“ წარმატება მნიშვნელოვნად განაპირობა.

მატჩის პირველი 15 წუთი უცნაურად ტრავმიანი აღმოჩნდა. უხეში, ბინძური თამაში არ ყოფილა, მაგრამ ერთმანეთის მიყოლებით დაშავდნენ და მოედანი დატოვეს **ბექა ხიპაშვილმა, ირაკლი ჭყონიამ** (ორივე-“ლელო“) და **დავით ჟამუტაშვილმა**. ხიპაშვილის ტრავმა სერიოზული გამოდგა და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

პირველ ნახევარში „ლოკომოტივი“ სულ სამჯერ მიუახლოვდა „ლელოს“ 22-მეტრიან მოედანს და სამივეჯერ მეტოქეს წესები დაარღვევინა. ეს რკინიგზელთა მგეზავმა **ბობა კვინიხიძემ** შესანიშნავად გამოიყენა - სამივე საჯარიმო ზუსტად დაარტყა და გუნდს 9 ქულა შესძინა. თუმცა პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით 10:9 მაინც „ლელომ“ მოიგო.

მე-9 წუთზე, როცა ლოკომოტიველები კვინიხიძის ზუსტად დარტყმული საჯარიმოს წყალობით 3:0-ს იგებდნენ, „ლელომ“ შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშა და ძალზედ ეფექტური ლელო გაიტანა.

ლელოელთა ცხრა ნომერმა **გიორგი კაჭარავამ** მოედნის ცენტრში თავისუფალი დარტყმა იქვე გაათამაშა, შეტევაში მგეზავი **ლაშა ხმალაძე** ჩართო, რომელმაც მეტოქის ხაზი გაჭრა და ოციოდ მეტრი ირბინა, მას შუამარბი **ალექსანდრე თოდუა** წამოეშველა, რომელმაც ბურთი მარცხნივ, მოკლე ფრთაზე მეორე შუამარბ **ნონო ანდღულაძეს** გაატანა. მისი შეჩერება ლოკომოტიველებმა ვერ მოახერხეს. ფულბეკმა **ირაკლი ყიასაშვილმა** გარდასახა - 7:3.

შვიდ წუთში კვინიხიძემ მეორე საჯარიმო მიითვალა. ტაიმის დასკვნით ათ წუთში კი მან და ყიასაშვილმა კიდევ თითო-თითო საჯარიმო გაცვალეს.

მეორე ტაიმი „ლოკომოტივის“ სრული სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა. „ლელოს“, რაც დრო გადიოდა, მეტოქის შერკინებისთვის წინააღმდეგობის გაწევა სულ უფრო უჭირდა.

46-ე წუთზე „ლოკომოტივის“ მორიგი იერიში ლელოთი დასრულდა. რკინიგზელები მეტოქის 22-მეტრიან ზონის მისადგომებთან მორკინალთა მოკლე დარტყმებით ნელ-ნელა წინ მიიწევდნენ, რამდენიმე ფაზის შემდეგ რაკში თამაშში ბევრი ლელოელი ჩაითრიეს, რის შედეგადაც მარცხენა, მოკლე ფრთაზე რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს.

ეს დროულად შენიშნა რკინიგზელთა ცხრა ნომერმა **ირაკლი ლვინჯილიამ**, რომელმაც რაკიდან გამოსული ბურთი კვინიხიძეს გადააწოდა, ამან ფრთაზე შეცვლაზე შესულ გარემარბ **დიმიტრი ჭურღულიას** გაატანა, რომელიც მეტოქის ლელოში შეიჭრა. **კვინიხიძემ** გარდასახა - 16:10.

„ლოკომოტივმა“ დიდი უპირატესობის მიუხედავად, ანგარიშის გაზრდა მხოლოდ 15 წუთის შემდეგ შეძლო. კვინიხიძემ ისევ საჯარიმოდან გაიტანა - 19:10. „ლელომ“ ათ წუთში სახიფათო კონტრიერიში წამოიწყო, რომელიც ლოკომოტიველებმა წესის დარღვევით შეაჩერეს, ყიასაშვილმა საჯარიმოდან ანგარიში ექვს ქულამდე შეამცირა - 13:19 და ლელოელებს მატჩის გადარჩენის შანსი გაუჩნდათ.

მათ იმედს „ცივი შხაპი“ ისევ კვინიხიძემ გადაასხა. მან 78-ე წუთზე საჯარიმოდან კიდევ ერთხელ გაიტანა 22:13 და თავისი გუნდი წინასწარ ფინალში გაიყვანა.

რკინიგზელები დიდ ფინალში გასვლისთვის 29 ოქტომბერს ქუთაისში „აიას“ დაუპირისპირდებიან.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

უტევს გიგი ბერიშვილი

**ბადასახლელი**

**ჯიქები-აკადემია 29:18**

**ბესიკ ჯანგავაძე**

msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# მანუ იტალიას უმიზნებს

„სან ანტონიო სპურსის" არგენტინელი ვარსკვლავი **მანუ ჯინობილი** ამჟამად სამშობლოში იმყოფება და სპორტული ფორმის შენარჩუნებას „ესტუდიანტესის" რიგებში ვარჯიშით ცდილობს.

ესპანური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ვეტერანმა მცველმა განაცხადა, რომ თუ უახლოეს სამ კვირაში NBA-ში ლოკაუტი არ დასრულდება, ის სერიოზულად განიხილავს ევროპული კლუბების წინადადებებს.

ჯინობილიმ ისიც დაამატა, რომ ერთ-ერთ იტალიური კლუბთან აპირებს კონტრაქტის გაფორმებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არგენტინელი, სავარაუდოდ, ბოლონიის „ვირტუსში" აღმოჩნდება, რადგან მანუს ხელში ჩასაგდებად ეს გუნდი ყველაზე მეტად აქტიურობდა.

■ ■ ■

ამასობაში, „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ცენტრმა **პაუ გასოლმა** თითქმის დაადასტურა „ბარსელონაში" გადასვლა. 31 წლის ესპანელმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ თუ NBA-ში სეზონი არ დაიწყება, ის კატალონურ კლუბთან გააფორმებს კონტრაქტს.

*„არ მინდა მთელი წელი სათამაშო პრაქტიკის გარეშე დავრჩე. ამიტომაც სერიოზულად განვიხილავ ევროპაში გადასვლის დადებით და უარყოფით მხარეებს. თუ ვერ შევძელი „ლეიკერსში" თამაში, მომიწევს სხვა ვარიანტებზე ფიქრი, რომელთაგანაც პირველი და ძირითადი - „ბარსელონაში" თამაშია"*, - განაცხადა გასოლმა.

შეგახსენებთ, რომ პაუმ უკვე არაერთხელ აღნიშნა - ევროპაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ითამაშებს, თუ NBA-ში სეზონი სრულად გაუქმდება.

■ ■ ■

ბერძნულმა პრესამ გაარკვია, რომ სექტემბერში ბერძნული გრანდი „პანათინაიკოსი" აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა „ბოსტონის" ვეტერან ვარსკვლავ **კევინ გარნეტთან**. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს ევროლიგის პრეზიდენტმა **ხორდი ბერტომეუმ** აცნობა. „სელტიქსის" ვარსკვლავი დიდი სიმპატიით არის განწყობილი ევროლიგის მოქმედი ჩემპიონის მთავარი მწვრთნელის **ჟელკო ობრადოვიჩის** მიმართ, მაგრამ ამის მიუხედავად, მოლაპარაკებები კლუბსა და კალათბურთელს შორის ჩაიშალა.

სავარაუდოდ, „პანათინაიკოსმა" გარნეტის გრანდიოზული კონტრაქტის დაზღვევა ვერ უზრუნველყო, რაც საბერძნეთში მძვინვარე ფინანსური კრიზისის პირობებში სულაც არ არის გასაკვირი.

■ ■ ■

„ვაშინგტონ უიზარდსის" ცენტრი **ჯავალ მაკგი** ლოკაუტის პერიოდში, სავარაუდოდ, ფილიპინების ჩემპიონატში ითამაშებს. ამასთან, კალათბურთელი არ გამორიცხავს, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს და ფილიპინების ნაკრების ღირსება დაიცვას.

მაკგის ერთადერთი სეზონი აქვს ჩატარებული NBA-ში. რეგულარული ჩემპიონატის 79 მატჩში მისი მონაგარი 10.1 ქულა და 8.0 მოხსნა იყო.



# სენსაცია ბილბაოში

სენსაციით დასრულდა ევროლიგის პირველი ტური. ბოლო მატჩში ტურნირის დებიუტანტმა „ბილბაომ" საკუთარ მოედანზე გაანადგურა ბერძნული გრანდი და ევროლიგის ერთ-ერთი ფავორიტი „ოლიმპიაკოსი".

სტუმართა გუნდმა აშკარად სუსტი შთაბეჭდილება დატოვა. თვალშისაცემი იყო შეუთამაშებლობა ახალ მოთამაშეებს შორის, ეს კი იმ მიზეზით არის გამოწვეული, რომ საბერძნეთში ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და კალათბურთელებს პრაქტიკა აკლიათ. თუმცა ეს სულაც არ ამცირებს ბასკური კლუბის დამსახურებას. როგორც ჩანს, ამართლებს ის ცვლილებები, რომელიც „ბილბაოში" ამ ზაფხულს მოხდა.

გუნდმა „რეალიდან" შეიძინა **დ'ორ ფიშერი**, „ბარსელონადან" - **გრიმაუ**, „ხიმკიდან" - **რაულ ლოპესი**. გარდა ამისა, სულ ცოტა ხნის წინ მადრიდული კლუბის ღირსებას იცავდა **მუმბრუ**. ასე რომ, ნაწილობრივ „ბილბაო" იმ კალათბურთელებით არის დაკომპლექტებული, რომელიც ბალასტი აღმოჩნდა „ევროპული ელიტისთვის".

შესანიშნავად გამოიყურებოდა ბილბაოელთა დაცვა. ამ გუნდის „მაღლებმა" ცუდ დღეში ჩააგდეს მაკედონიელი **პერო ანტიჩი**. შესანიშნავად უძლვებოდა თამაშს **აარონ ჯექსონი**, ხოლო **მარკო ბანიჩმა** და დ'ორ ფიშერმა ბრწყინვალე სნაიპერული თვისებები გამოავლინეს - ამ დუეტის ანგარიშზე 38 ქულა მოდის, თანაც ჯამში ბანიჩმა და ფიშერმა თამაშიდან მხოლოდ ოთხჯერ (!) ააცილეს.

**ბილბაო-ოლიმპიაკოსი 76:61**

18:11, 19:20, 23:18, 16:12

**ბ:** ბანიჩი (22), ფიშერი (16+8 მოხსნა), ჯექსონი (11+5 პასი).

**ო:** გეჩევიჩუსი (15), ჰაინსი (14), სპანულისი (9).

■ ■ ■

პირველი ტურის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო იტალიელი ვეტერანის **ჯანლუკა ბაზილეს** იუბილე. „ბარსას" ყოფილმა მცველმა ევროლიგაზე მე-200 მატჩი ჩაატარა.

ტიტულოვანი იტალიელი, რომელსაც მოგებული აქვს ევროპის ჩემპიონატი, ევროლიგა და ოლიმპიადის ვერცხლის მედალი, პენსიაში გასვლას არ აპირებს და შეუძლია სარგებლობა მოუტანოს თავის ახალ კლუბს „კანტუს". პირველ ტურში ბაზილემ 9 ქულა და 6 შედეგიანი პასი დააგროვა, „კანტუმ" კი მოიგო გახსნის მატჩი.

■ ■ ■

ევროლიგამ პირველი ტურის საუკეთესო მოთამაშედ მოსკოვის ცსკა-ს ფორვარდი **ანდრეი კირილენკო** დაასახელა. რუსმა „ჟალგირისთან" მატჩში 32 წუთი დაყო მოედანზე და 17 ქულა და 15 მოხსნა დააგროვა. გარდა ამისა, კირილენკომ 5 შედეგიანი პასიც მიითვალა.

ტურის სამ საუკეთესო მოთამაშეს შორის მოხვდნენ რუსეთის „უნიქსის" მცველი **ჰენრი დომერკანტი** (30 ქულა „მონტეპასკის" წინააღმდეგ) და „მილანის" ფორვარდი **მალიკ ჰეირსტონი**, რომელმაც 25 ქულა დააგროვა თელ-ავივის „მაკაბისთან" მატჩში.

პირველი ტურის სიმბოლური ნაკრები კი ასე გამოიყურება:

**პაბლო პრიჯიონი** („კახა ლაბორალი") - 5 ქულა, 7 პასი, 6 ჩაჭრა, 3 მოხსნა

**მარსელინიო უერტასი** („ბარსელონა") - 17 ქულა, 8 პასი, 5 მოხსნა

**მალიკ ჰეირსტონი** („მილანი") - 25 ქულა, 7 მოხსნა, 6 პასი, 2 დაფარება

**ანდრეი კირილენკო** (ცსკა) - 17 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება

**დ'ორ ფიშერი** („ბილბაო") - 16 ქულა, 8 მოხსნა, პასი, ჩაჭრა, დაფარება



კევინ გარნეტი

# სტერნი სრულ სეზონს გვპირდება

ურთიერთგამომრიცხავ ცნობებს ავრცელებენ ლოკაუტთან დაკავშირებით ამერიკელი ჟურნალისტები. ისინი მოლაპარაკებებში მონაწილე ინკოგნიტო წყაროების ინფორმაციებს გვაწვდიან, თუმცა ამ ცნობებიდან რაიმე დასკვნის გამოტანა რთულია.

მაგალითად, ერთ-ერთმა წყარომ განაცხადა, რომ NBA-ის კომისარი **დევიდ სტერნი** ლიგის მატჩების ტრანსლიაციაზე უფლებების მქონე ტელეკომპანიებს (ESPN და TNT) სრული სეზონის (82 მატჩი) ჩატარებას დაპირდა.

სტერნმა აღნიშნა, რომ სრულფასოვანი რეგულარულის ჩატარება იმ შემთხვევაშიც მოხერხდება, თუ სეზონი სტარტს დეკემბერში აიღებს. ამასთან, კომისარს არ დაუკონკრეტებია, როგორ შედგება ამ შემთხვევაში კალენდარი და შეიცვლება თუ არა პლეი ოფის ფორმატი.

ამ ინფორმაციის პარალელურად კი წერენ, რომ NBA-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ეჭვობს თითო გუნდმა 82 მატჩის ჩატარება მოასწროს.

*„მოდით, გავიხსენოთ 1998-99 წლების სეზონი. ჩვენ 6 იანვარს მივაღწიეთ შეთანხმებას და სეზონი 5 თებერვალს დაიწყო. მაშინ თითო გუნდმა 50 მატჩის გამართა მოასწრო. ასე რომ, ამჟამად ერთი თვის მატჩები საფრთხის წინაშეა"*, - ამბობს ლიგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი „ნიუ იორკ პოსტთან" კომენტარში.

■ ■ ■

ამერიკული პრესა და ექსპერტთა ჯგუფი მოთამაშეთა სუსტ და ძლიერ მხარეებზეც ამახვილებს ყურადღებას. მაგალითად, კლუბებისა და მოთამაშეების კონფლიქტში დრო ამ უკანასკნელთა საწინააღმდეგოდ მუშაობს.

თუ მხარეები ვერ შეძლებენ ნოემბრის შუა რიცხვებამდე მოლაპარაკებას, მოთამაშეები თავიანთი პირველი ხელფასის გარეშე დარჩებიან. სწორედ იმ დროს არის მოსალოდნელი კალათბურთელთა პოზიციების შერბილება და მათი მხრიდან მოლაპარაკებების დროს უკან დახევა.

ამასობაში, ამერიკის შეერთებული შტატების შრომითი ურთიერთობების ეროვნული სამსახური მოთამაშეთა პროფკავშირის სარჩელს განიხილავს. მან შესაძლოა, სამართლიანად მიიჩნიოს კალათბურთელთა უკმაყოფილება და აიძულოს ლიგა გააფორმოს ახალი კოლექტიური ხელშეკრულება პროფკავშირების პირობებისს გათვალისწინებით.

შეგახსენებთ, რომ მოთამაშეთა პროფკავშირმა შრომითი ურთიერთობების ეროვნულ სამსახურში უჩივლა კლუბების მფლობელებს იმის გამო, რომ მათ არ სურთ პროდუქტიული მოლაპარაკებების წარმოება. თავის მხრივ, NBA-ის ხელმძღვანელობამ მიაწოდა კომისიის წევრებს მასალები, რომელიც პროფკავშირის ბრალდების უსაფუძვლობას ამტკიცებს.

აღსანიშნავია, რომ შრომითი ურთიერთობების ეროვნული კომისიის შემადგენლობას პირადად აშშ-ის პრეზიდენტი **ბარაკ ობამა** აყალიბებს.



ბილ ჰანტერი

ამბები

ფორმულა 1

## ინდოეთში ინდოელი ირბოლებს

ესპანურმა საჯინიბომ HRT-მ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მომავალ კვირას ინდოეთის გრანპრიზე სარეზერვო პილოტი **ნარაიან კართიკეიანი** იტალიელ **ვიტანტონიო ლიუცის** შეცვლის. შეგახსენებთ, რომ ინდოელმა წლევანდელი სეზონი HRT-ის საპრიზო პილოტის რანგში დაიწყო, მაგრამ ჩემპიონატის მსვლელობისას ის **დანიელ რიკარდომ** შეცვალა.

საშინაო გრანპრიზე კართიკეიანი საპრიზო პილოტი რომ იქნებოდა, ამის შესახებ უკვე დიდი ხანია ლაპარაკობდნენ, მაგრამ ბოლო მომენტამდე უცნობი იყო, ვის შეცვლიდა გუნდში ინდოელი პილოტი.

ჩოგბურთი

## სტამბოლში ზეიმი არ იქნება

თურქეთში გამოცხადებული გლოვის გამო ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციამ გააუქმა საზეიმო საღამო, რომელიც WTA-ის წლის შემაჯამებელი ტურნირის რანგში კვირას უნდა გამართულიყო.

ღონისძიების გაუქმების მიზეზი გახდა თურქეთის აღმოსავლეთით 24 ჯარისკაცის მკვლელობა და დამანგრეველი მიწისძვრა.

კრივი

## ჩემპიონმა ბრძოლა დანიშნა

სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონმა, რუსმა **ალექსანდრ პოვეტკინმა** მორიგი ბრძოლა დაგეგმა. მისი მეტოქე იქნება ამერიკელი **სედრიკ ბოსველი**, რომელიც 42 წლის გახლავთ. ამ მოკრივეს პროფესიულ რინგზე 35 გამარჯვება (26 - ნოკაუტით) აქვს მოპოვებული. ბოსველი მხოლოდ ერთხელ დამარცხდა შორეულ 2003 წელს თანამემამულე **ჯამილ მაკლინთან** ჩხუბში.

პოვეტკინისა და ბოსველის ბრძოლა 3 დეკემბერს ჰელსინკიში გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ვაშინგტონი აღარ ხუმრობს

უქმეების მატჩებიდან აშკარად გამორჩეული იყო „ვაშინგტონისა“ და „დეტროიტის“ შეხვედრა. გუნდები ამ მატჩს დაუმარცხებელნი შეხვდნენ: დედაქალაქელებს ექვსიდან ექვსი მოგება ჰქონდა, „დეტროიტს“ - ხუთიდან ხუთი.

ანგარიში პირველი პერიოდის მეორე ნახევარში გაიხსნა, როცა „კეპიტალზმა“ მოახერხა **ბერტუცის** გაძევების რეალიზება. **ოვეჩკინისა** და **ბექსტრიომის** კომბინაციამ მასპინძლების მცველს **მაიკ გრინს** შორეული კუთხეში გახსნის საშუალება მისცა და გრძელი დიაგონალური პასის შემდეგ მან „კეპიტალზი“ დააწინაურა. ერთი წლის შემდეგ **ნუბლის** ჩაჭრას მხარი აუბეს **სიომინმა** და **იოჰანსონმა** და „ვაშინგტონის“ 90-მა ნომერმა წარმატებით დაასრულა სამსვლიანი კომბინაცია, რითაც გაამყარა დედაქალაქელთა უპირატესობა.

მეორე ოცწუთეულში „დეტროიტმა“ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მეტოქისთვის ბრძოლა მოეხვია თავს, თანაც მასპინძელიც უწყობდა ხელს ხშირი გაძევებებით. მაგრამ „რედ უინგზის“ შეტევებმა **ბრიუს ბუდროს** გუნდს ბევრი ვერაფერი დააკლო. იმავე გრინმა შორეული დარტყმით დუბლი გაიფორმა, ხოლო დეტროიტელი **კრონვალის** გოლს მასპინძლებმა **პეროს** შაიბით უპასუხეს - 4:1.

ბოლო პერიოდმა დაადასტურა, რომ ამ დღეს ვაშინგტონელი ახალგაზრდები „დეტროიტის“ გამოცდილ ჰოკეისტებს აშკარად ჩაგრავდნენ. „დეტროიტის“ მეკარე **ტაი კონკლინს** სამჯერ მოუწია შაიბის ბადიდან გამოტანა. ასეთი დიდი ანგარიშით „რედ უინგზს“ დედაქალაქურ კლუბთან 1990 წლის შემდეგ არ წაუგია. მაშინ „კეპიტალზმა“ 9:4 გაიმარჯვა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშედ **მაიკ გრინი** აღიარეს, რომელმაც ორ გოლს ორი საგოლე პასი დაუმატა, სულ კი „ვაშინგტონის“ 14-მა ჰოკეისტმა შეძლო მინიმუმ ერთი ქულის აღება.

**ანაჰაიმი-დალასი 1:3**

0:2, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ლ. ერიქსონი-4 (ოტი-4, ბენი-4), 0:2 რიბეირო-1 (გოლიგოსკი-2, ლ. ერიქსონი-2), 1:2 პერი-3 (ფაულერი-1, ვიშნევსკი-2), 1:3 ლ. ერიქსონი-5 (ბენი-5).

### 23 ოქტომბერი

**ვანკუვერი-მინესოტა 3:2**

0:1, 1:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 0:1 სეტოგუჩი-3 (ჰიტლი-3, ჟიდლიცკი-2), 1:1 დ. სედინი-4 (ჰ. სედინი-7, ედლერი-5), 1:2 ბროძიაკი-2 (ნ. ჯონსონი-1, ბალმერი-3), 2:2 ჰანსენი-1 (მალორტა-2, ებეტი-1), 3:2 სალო-3 (დ. სედინი-8, კესლერი-1).

**კალგარი-ნეშვილი 0:2**

0:0, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ბერგფორსი-1 (ჰილენი-1, მაკგრატენი-1), 0:2 ს. კოსტიცინი-2 (კ. სმიტი-3, ჰალიშჩუკი-1).

**ტამპა ბეი-ბაფალო 3:0**

1:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 კუბინა-1 (სტემკოსი-3, პურსელი-5), 2:0 სან ლუი-3 (ლეკავალიე-3, ბ. კონოლი-2), 3:0 ჰედმანი-2 (სან ლუი-4).

**ვინიპეგი-კაროლინა 5:3**

2:2, 3:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ი. იოკინენი-2 (ლა როუზი-2, სკინერი-5), 0:2 სკინერი-3 (ლა როუზი-3, მაკბეინი-2), 1:2 ბურმისტროვი-2 (ბოგოსიანი-1, უელვუდი-2), 2:2 უელვუდი-3 (ანტროპოვი-3, ენსტრიომი-3), 3:2 სლეიტერი-3 (გლესი-2), 4:2 ლედი-2 (უელერი-2, ბოგოსიანი-2), 5:2 ე. კეინი-1 (ანტროპოვი-4, მ. სტიუარტი-2), 5:3 ტ. რუუტუ-2 (სკინერი-6).

**ვაშინგტონი-დეტროიტი 7:1**

2:0, 2:1, 3:0

**გოლები:** 1:0 მაიკ გრინი-2 (ბექსტრიომი-8, ოვეჩკინი-3), 2:0 მ. იოჰანსონი-4 (სიომინი-4, ნუბლი-4), 3:0 მაიკ გრინი-3 (ოვეჩკინი-4, ვიდემანი-5), 3:1 კრონვალი-1 (დაციუკი-3, ლიდსტრიომი-2), 4:1 მ. პერო-2 (ჰენდრიქსი-2, მაიკ გრინი-2), 5:1 ჯ. უორდი-2 (ლეიჩი-3, მაიკ გრინი-3), 6:1 მ. პერო-3 (ჰალპერნი-2, ჰენდრიქსი-3), 7:1 ბექსტრიომი-2 (ჯ. კარლსონი-2, ბროუერი-2).

**პიტსბურგი-ნიუ ჯერსი 4:1**

1:0, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ჯ. სტაალი-4 (პარკი-3, კუკი-4), 1:1 ელიაში-3 (კოვალჩუკი-4, ვოლჩენკოვი-1), 2:1 კუნიტცი-2 (ლეტანგი-7, მარტინი-3), 3:1 ჯ. სტაალი-5 (ეშემი-1, ნისკანენი-3), 4:1 ჯ. ნილი-8 (პარკი-4, ზ. მიხალეკი-2).

**ფილადელფია-სენტ ლუისი 2:4**

0:2, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ჰასკინსი-2 (არნოტი-4), 0:2 ოში-1 (კოლაიაკოვო-1, პოლაკი-2), 1:2 ბრიერი-2 (სიმონდსი-3, პრონგერი-6), 1:3 კოლაიაკოვო-1 (სტინი-3, გრაჩოვი-1), 2:3 მ. კარლი-2 (ვორაჩეკი-2, ბრიერი-3), 2:4 დ'აგოსტინი-4.

**ოტავა-კოლამბუსი 4:3**

1:1, 1:1, 2:1

**გოლები:** 1:0 კუბა-2 (სპეცა-6, გონჩარი-3), 1:1 ა. ჯონსონი-2 (ბრასარი-1, პროსპალი-4), 1:2 რასელი-2 (იოჰანსენი-1, ვერმეტი-2), 2:2 ზ. სმიტი-1 (კონდრა-1, კ. ნილი-2), 2:3 ნეში-3 (ტიუტინი-2, პროსპალი-5), 3:3 სპეცა-4 (მ. მიხალეკი-4, ე. კარლსონი-8), 4:3 მ. მიხალეკი-6 (გონჩარი-4, სპეცა-7).

**მონრეალი-ტორონტო 4:5 (ო)**

1:1, 1:2, 2:1, 0:1

**გოლები:** 1:0 მოენი-3 (ელერი-1), 1:1 შტეკელი-2 (გარდინერი-2, შენი-3), 2:1 ა. კოსტიცინი-2 (ელერი-2, გილი-1), 2:2 კესელი-8, 2:3 ფანოფი-2 (ლაილსი-4, ლუპული-4), 3:3 კამალერი-2 (სუბანი-2, პლეკანეცი-3), 4:3 მოენი-4 (გორჯესი-3, ა. კოსტიცინი-3), 4:4 კულემინი-2 (ფანოფი-7, გრაბოვსკი-1), 4:5 გრაბოვსკი-3 (ლაილსი-5, კესელი-6).

**ბოსტონი-სან ხოსე 2:4**

0:1, 0:1, 2:2

**გოლები:** 0:1 პაველსკი-4 (ჯ. ტორნტონი-3), 0:2 კუტური-1 (ჰავლატი-2, ქლოუ-4), 1:2 ლუჩიჩი-2 (კ. კელი-2, პ. ბერჟერონი-3), 2:2 სეგინი-3 (ლუჩიჩი-4, კ. კელი-3), 2:3 ფერეირო-1 (მაკგინი-1, ვანდერმეერი-1), 2:4 მარლო-1 (პაველსკი-2).

**ფლორიდა-აილენდერსი 4:2**

1:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 0:1 შტრაიტი-1 (პარენტო-7, ტავარესი-4), 1:1 ვერსტიგი-4 (უეისი-4), 2:1 ბრედლი-1 (მატიასი-1, ვიველი-2), 2:2 ტავარესი-6 (შტრაიტი-5), 3:2 ტიმ კენედი-1 (მატიასი-2, კულიკოვი-3), 4:2 მატიასი-1 (ფლიშმანი-3, ვიველი-3).

**ჩიკაგო-კოლორადო 4:5 (ბ)**

0:1, 2:2, 2:1, 0:0

**გოლები:** 0:1 პ. შჩასტნი-2 (ქუინსი-3, ო'ბრაიენი-2), 1:1 ფროლიკი-1, 1:2 დ. ჯონსი-5 (ჰეიდუკი-3, პ. შჩასტნი-4), 1:3 ლანდესკოგი-3 (რ. ო'რაილი-6, მაკლეოდი-1), 2:3 ტეუვზი-4 (კიტი-4, ბოლანდი-2), 3:3 მეიერსი-2 (ლედი-3), 4:3 მარიან ჰოსა-4 (კიტი-5, შარპი-5), 4:4 ლანდესკოგი-4 (რ. ო'რაილი-7, ვინიკი-1).

**ბულიტები გაიტანეს:** ლინდსტრიომი (კოლორადო).

**ედმონტონი-რეინჯერსი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ნაჯენტ-ჰოპკინსი-5 (ტ. ჰოლი-4, ებერლე-4), 2:0 პოტერი-1 (ნაჯენტ-ჰოპკინსი-2, ებერლე-5).

**ლოს ანჯელესი-დალასი 1:0**

0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 ჯ. ჯონსონი-3 (სკუდერი-1, მ. რიჩარდსი-5)

### 22 ოქტომბერი

**ნიუ ჯერსი-სან ხოსე 3:4 (ბ)**

1:0, 1:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ელიაში-2 (კოვალჩუკი-3, კლარკსონი-1), 2:0 პარიზე-3 (ბულიტი), 2:1 ჯ. ტორნტონი-1 (პაველსკი-1, დ. ბოილი-3), 2:2 ქლოუ-2 (ჰავლატი-1, კუტური-2), 3:2 კლარკსონი-2 (ტედენბი-2, ე. გრინი-2), 3:3 პაველსკი-3 (ჯ. ტორნტონი-2, ქლოუ-3).

**ბულიტები გაიტანეს:** კოვალჩუკი (ნიუ ჯერსი), ჰანძუში (სან ხოსე), ქლოუ (სან ხოსე).

**დეტროიტი-კოლამბუსი 5:2**

2:1, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ფრანცენი-3 (ფილპულა-3), 2:0 ფრანცენი-4 (ფილპულა-4), 2:1 ბრასარი-2 (ა. ჯონსონი-2, ნეში-5), 3:1 დაციუკი-2 (ჰოლმსტრიომი-2, ზეტერბერგი-1), 3:2 ა. ჯონსონი-1 (პროსპალი-3, ვერმეტი-1), 4:2 ლიდსტრიომი-2 (ფილპულა-5, ჰოლმსტრიომი-3), 5:2 ფილპულა-2 (ფრანცენი-3, ლიდსტრიომი-1).

**სენტ ლუისი-კაროლინა 3:2 (ო)**

0:1, 2:1, 0:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ჰარისონი-1 (ტლუსტი-2, ბ. სატერი-2), 0:2 ბ. სატერი-2 (დუაიერი-2), 1:2 არნოტი-3 (ლანგენბრუნერი-3, ჯეკმენი-2), 2:2 ბეკსი-2 (ოში-3), 3:2 დ'აგოსტინი-3 (სობოტკა-2, პიეტრანჯელო-3).




# ლიდსტრიომის იუბილე

„ვაშინგტონისა“ და „დეტროიტის“ გუშინდელი შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ კარიერაში 1500-ე შეხვედრა ჩაატარა „რედ უინგზის“ ლეგენდარულმა შვედმა მცველმა **ნიკლას ლიდსტრიომმა**. ვეტერანი მე-14 მოთამაშეა ლიგის ისტორიაში, რომელმაც ამ ზღვარს მიაღწია. ამ მაჩვენებლით ყველა დროის ლიდერს **გორდი ჰოუს** 1767 მატჩი აქვს. იმისთვის, რომ 41 წლის ლიდსტრიომი ჰოუს დაეწიოს, მინიმუმ სამი სეზონი უნდა ითამაშოს, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან შვედი სერიოზულად ფიქრობს კარიერის დასრულებაზე.

„ეს ნიშნული ჩემთვის ბევრს ნიშნავს, - განაცხადა ლიდსტრიომმა NHL-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. - *ყოველთვის მინდოდა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 1000 მატჩი ჩამეტარებინა, ხოლო 1500 თამაშზე არც კი ვფიქრობდი. მაგრამ ბოლო წლებში დრო ძალიან სწრაფად გადიოდა და მატჩების რაოდენობაც იზრდებოდა. ეს იყო განსაკუთრებული საღამო, რადგან ბევრს არ ჰქონია 1500 მატჩის ჩატარების პატივი. სავარაუდოდ, თუ სტენლის თასის მოვიგებთ, ეს იქნება ჰოკეიდან წასვლის მომენტი. მახსოვს, როცა სკოტი ბოუმენი სამწვრთნელო კარიერას ასრულებდა, პირდაპირ ყინულზე გამოგვიცხადა: „მორჩა! ეს ჩემი ბოლო გამარჯვებაა!“ არ ვიცი, ნაადრევად ჩაიფიქრა თუ არა მან ტრიუმფით წასვლა, მაგრამ ყველაფერი გამოუვიდა. რა იქნება, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ამ სეზონის მოგებას? არ ვიცი, ჯერჯერობით არ ვფიქრობ ამაზე. უბრალოდ, ამ მომენტით ვტკბები*“.

■ ■ ■

ასევე საიუბილეო მატჩი ჩაატარა განვლილ უქმეებზე „სან ხოსე შარქსის“ კაპიტანმა **ჯო ტორნტონმა**. „ზვიგენების“ ცენტრფორვარდი 266-ე ჰოკეისტია ისტორიაში, ვისაც კარიერაში 1000 მატჩი დაუგროვდა.

ტორნტონს ეს ღირსშესანიშნავი მომენტი „ნიუ ჯერსისთან“ მატჩში ჰქონდა და ამ შეხვედრაში „ზვიგენების“ კაპიტანმა სეზონში პირველი შაიბა გაიტანა.

# პირველი სერიოზული ტრეიდი

გუშინ ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ერთი სერიოზული ტრეიდი განხორციელდა. ფორვარდები გაცვალეს „ვანკუვერმა“ და „ფლორიდამ“.

„კენაქსმა“ ფლორიდულ კლუბს შვედი **მიკაელ სამუელსონი** და გერმანელი **მარკო შტურმი** დაუთმო, სანაცვლოდ კი **დევიდ ბუტი, სტივენ რაინპრეხტი** და 2013 წლის დრაფტის მესამე რაუნდში არჩევის უფლება მიიღო.

26 წლის ბუტმა მიმდინარე სეზონში მხოლოდ ერთი ქულა დააგროვა, შარშან კი მას 40 ქულა ჰქონდა (17+23). 35 წლის რაინპრეხტმა კი გასულ სეზონში 29 მატჩი ჩაატარა და ცხრა ქულა მიითვალა.

უფრო შედეგიანი სეზონი ჰქონდა შარშან სამუელსონს - 75 მატჩში 50 ქულა. ვეტერანმა მარკო შტურმმა კი გასულ წელს „ლოს ანჯელესისა“ და „ვაშინგტონის“ რიგებში თამაში მოასწრო და 35 მატჩში 16 ქულა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### კალათბურთი

| საფრანგეთი | |
|---|---|
| ლე მანი-ორლეანი | 72:76 |
| პუატიე-დიჟონი | 66:49 |
| როანი-ტულონი | 116:90 |
| სტრასბური-ჰავრი | 78:69 |
| ნანტი-ნანსი | 64:85 |
| შალონი-შოლე | 71:79 |

| გერმანია | |
|---|---|
| ულმი-სკაილაინერსი | 81:75 |
| ბაიერნი-ჰაგენი | 100:81 |
| გიოტინგენი-ტრირი | 60:71 |
| ბაიროიტი-ლუდვიგსბურგი | 64:58 |
| არტლანდი-ვიურცბურგი | 87:74 |
| ბონი-ოლდენბურგი | 81:79 |
| ბრემერჰავენი-გისენი | 82:79 |
| ბამბერგი-ბრაუნშვაიგი | 95:57 |
| ალბა-ტიუბინგენი | 76:56 |

| საბერძნეთი | |
|---|---|
| კოლოსოსი-პანიონიოსი | 72:67 |
| ილისიაკოსი-კავალა | 68:67 |
| აეგენი-იკაროსი | 76:63 |
| პერისტერი-დრამასი | 73:65 |
| პანათინაიკოსი-არისი | 84:72 |

| იტალია | |
|---|---|
| აველინო-ბენეტონი | 83:75 |
| მილანი-ბოლონია | 79:64 |
| ვარეზე-მონფერატო | 72:64 |
| ვანოლი-სასარი | 89:92 |
| მონტეგრანარო-რომა | 67:76 |
| ბიელა-ტერამო | 69:67 |
| ვენეცია-კანტუ | 76:80 |
| მონტეპასკი-კაზერტა | 65:69 |

| ესპანეთი | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-ლაგუნ არო | 62:58 |
| უნიკახა-სარაგოსა | 79:57 |
| კახა ლაბორალი-ვალენსია | 72:82 |
| ალიკანტე-ვალიადოლიდი | 91:64 |
| რეალი-ობრადოირო | 81:67 |
| მანრესა-გრან კანარია | 69:60 |
| მურსია-სევილია | 65:58 |
| ხუვენტუდი-ფუენლაბრადა | 62:73 |
| ბარსელონა-ბილბაო | 91:72 |

| თურქეთი | |
|---|---|
| ანთალია-ფენერბაჰჩე | 77:81 |
| გალათასარაი-ბანვითი | 84:73 |
| ტრაბზონი-მერსინი | 66:78 |
| ჰაჩეთეფე-ოლინი | 74:80 |
| პინარი-ბეშიქთაში | 93:100 |
| თოფასი-ერდემი | 74:70 |
| ეფესი-ალიაგა | 80:65 |
| ბადირმა-თურქ ტელეკომი | 67:95 |

### ჰოკეი

| კჰლ | |
|---|---|
| ვიტიაზი-დინამო (მნ) | 2:4 |
| სევერსტალი-ნეფტეხიმიკი | 1:3 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (მ) | 1:3 |
| ავტომობილისტი-იუგრა | 2:3 (ბ) |
| ბარისი-ამური | 0:4 |
| ცსკა-ლევ პოპრადი | 6:1 |
| ტორპედო-ატლანტი | 5:3 |
| დინამო (მ)-დინამო (რ) | 2:5 |

| ავსტრია | |
|---|---|
| ლინცერი-გრაცი | 4:1 |
| ვენა-ზალცბურგი | 2:4 |
| ოლიმპია-კლაგენფიურტი | 6:0 |
| ზაგრები-აკრონი | 0:1 |
| ზნოიმო-ვილახი | 2:3 (ო) |

### ევროპული ჩემპიონატები

| ჩეხეთი | |
|---|---|
| ბრნო-ტრშინეცი | 1:2 |
| სპარტა-კლადნო | 0:1 (ო) |
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 2:1 (ო) |
| ზლინი-ბოლესლავი | 2:0 |
| კარლოვი ვარი-სლავია | 6:2 |
| ბუდეიოვიცე-ლიტვინოვი | 0:3 |

| ფინეთი | |
|---|---|
| ესეტი-იოკერიტი | 4:0 |
| ჰიფკ-საიპა | 2:4 |
| კერპეტი-პელიკანსი | 2:3 |
| იუვიასკიულა-კალპა | 1:4 |
| ილვესი-ლუკო | 4:2 |
| ჰპკ-ტაპარა | 2:0 |
| ბლუზი-ტპს | 3:4 |

| გერმანია | |
|---|---|
| ჰანოვერი-კრეფელდი | 5:3 |
| კიოლნი-მანჰაიმი | 0:3 |
| დიუსელდორფი-ჰამბურგი | 3:2 (ო) |
| ინგოლშტადტი-მიუნხენი | 3:1 |
| ვოლფსბურგი-აუგსბურგი | 4:3 (ბ) |
| იზერლონი-აისბარენი | 3:1 |
| ნიურნბერგი-შტრაუბინგი | 3:2 |

| ნორვეგია | |
|---|---|
| სპარტა-სტავანგერი | 2:5 |
| ფრისკ ასკერი-ლილეჰამერი | 1:3 |
| რუსენბორგი-ლორენსკოგი | 4:2 |
| ვოლერენგა-მანგლერუდი | 5:0 |
| სტორჰამარი-სტიერნენი | 5:1 |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| პოპრადი-კოშიცე | 0:3 |
| ჟილინა-ბისტრიცა | 2:1 (ბ) |
| სლოვანი-მარტინი | 4:1 |
| ზვოლენი-სკალიცა | 3:1 |
| ნიტრა-ტრენჩინი | 4:3 (ო) |

| დანია | |
|---|---|
| ჰერნინგი-ჰერლევი | 4:2 |
| სონდერიისკი-ოლბორგი | 4:3 |
| ოდენსე-ესბერგი | 5:3 |
| ფრედრიკშავნი-კოპენჰაგენი | 4:2 |

| შვედეთი | |
|---|---|
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 0:2 |
| ტიმრა-ჰ371 | 5:6 |
| ვაქსიო-ფერიესტადი | 1:4 |
| ბრინასი-მოდო | 5:2 |
| იურგორდენი-ლულეა | 1:3 |

| შვეიცარია | |
|---|---|
| ამბრი პიოტა-კლოტენი | 2:1 (ო) |
| დავოსი-რაპერსვილი | 2:1 (ო) |
| სერვეტი-ცუგი | 2:3 (ბ) |
| ლუგანო-ლანგნაუ | 4:2 |
| ციურიხი-ბილი | 5:2 |

### ჩოგბურთი

| ATP. მოსკოვი | |
|---|---|
| შარდი-ტროიცკი | 4:6, 4:6 |
| ტიპსარევიჩი-დავიდენკო | 6:2, 7:5 |
| ტიპსარევიჩი-ტროიცკი | 6:4, 6:2 |

| ATP. სტოკჰოლმი | |
|---|---|
| ნიემინენი-ბლეიკი | 7:6, 5:7, 6:2 |
| მონფილსი-რაონიჩი | 6:7, 6:4, 6:3 |
| მონფილსი-ნიემინენი | 7:6, 3:6, 6:2 |

| WTA. ლუქსემბურგი | |
|---|---|
| ნიკულესკუ-კეოტავონგი | 7:6, 4:6, 6:3 |
| აზარენკა-გორჯესი | 6:3, 6:3 |
| აზარენკა-ნიკულესკუ | 6:2, 6:2 |

| WTA. მოსკოვი | |
|---|---|
| ციბულკოვა-ვესნინა | 6:0, 6:2 |
| კანეპი-საფაროვა | 6:7, 6:4, 6:3 |
| ციბულკოვა-კანეპი | 3:6, 7:6, 7:5 |

## TV პროგრამა

### 24 ოქტომბერი. ორშაბათი

**GMG-ფეხბურთი**

10:00 იტალიის ჩემპიონატი. ლეჩე-მილანი.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-შალკე.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. კალიარი-ნაპოლი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-დიჟონი.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა
19:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-ეინდჰოვენი.
21:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-ატლეტიკო მინეირო.
00:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-მანჩესტერ სიტი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ბაია – ვასკო და გამა
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ნიუ ჯერსი-ჩიკაგო.
14:00 გოლფი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
15:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მალაგა-რეალი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მადრიდი. ესპანეთი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-კატანია.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
22:30 საკალათბურთო მიმოხილვა.
23:30 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. ნიუ ჯერსი-ჩიკაგო.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
10:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წყვილთა ფინალი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
12:30 სპორტ-NEWS.
13:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია.
15:00 სპორტ-NEWS.
15:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.
17:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - მსოფლიო მძლეოსნობა.
17:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ბოლონია-ლაციო.
19:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. რომი. იტალია.

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

04:30 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. ჯექსონვილი-ბალტიმორი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

15:40 რუსეთის ჩემპიონატი. ნალჩიკი-ლოკომოტივი (LIVE).
19:45 რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-რუბინი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

12:45 WTA-ის ტური. I დღე. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).
18:45 WTA-ის ტური. I დღე. სანკტ პეტერბურგი. რუსეთი (LIVE).

**SPORT+**

19:45 ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. დინამო-რუბინი (LIVE).

**EUROSPORT-2**

14:00 ფეხბურთი. აზიის ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი




# კიდევ ერთი ტრაგედია

## მალაიზიის ეტაპზე მარკო სიმონჩელი დაიღუპა

ზედიზედ მეორე კვირაა ავტომოტოსამყაროში საშინელი ტრაგედიები ხდება. ერთი კვირის წინ ლას ვეგასის ოვალზე **დონ უელდონის** დაღუპვით გამოწვეული ექო არ ჩამცხრალა და ახლა მორიგი ტრაგედია მოხდა. გუშინ, მალაიზიაში მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგ რბოლაში დაიღუპა ამ სერიის ერთ-ერთი უძლიერესი მოტომრბოლი **მარკო სიმონჩელი.**

მალაიზიის ეტაპი მეორე წრეზე შეწყდა მას შემდეგ, რაც ავარიაში მოყვნენ მარკო სიმონჩელი, **კოლინ ედვარდსი** და **ვალენტინო როსი.**

სიმონჩელი მეორე წრეზე ძალიან სწრაფად შევიდა ერთ-ერთ მოსახვევში, მოტოციკლზე კონტროლი დაკარგა და შეეცადა გარე რადიუსზე გასულიყო. სწორედ ამ დროს შეეჯახნენ მას ედვარდსი და როსი. ავარიის შედეგად სიმონჩელის ჩაფხუტი მოსძვრა და ტრასაზე უგონოდ დაეცა. ედვარდსი დამოუკიდებლად წამოდგა ტრასიდან, როსი საერთოდ არ ჩამოვარდნილა მოტოციკლიდან და ბოქსებამდე მიაღწია. ამ ინციდენტის შემდეგ რბოლა შეწყდა, მოგვიანებით კი ორგანიზატორებმა საერთოდ გააუქმეს ეტაპი.

როგორც შემდეგ გაირკვა, სიმონჩელი საავადმყოფოში გონს მოეგო, მაგრამ მისი მდგომარეობა კრიტიკული გახლდათ და მარკოს გადარჩენა ვერ მოახერხეს. იტალიელი 24 წლის იყო.

ფორმულა 1

# მიკა ისევ საჭესთან




ოთხწლიანი პაუზის შემდეგ **მიკა ჰაკინენი** დაბრუნდება რბოლებში, რათა მონაწილეობა მიიღოს ლე მანის საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში, რომელიც 13 ნოემბერს ჩინეთის ქალაქ ჟუჰაიში გაიმართება. ფინელი Mercedes-Benz SLS AMG GT3-ის საჭეს მიუჯდება, მისი პარტნიორები კი 27 წლის ჩინელი **კონფუ ჩენგი** და 25 წლის გერმანელი **ლენს დავიდ არნოლდი** იქნება.

ბოლოს ფორმულა 1-ის ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი რბოლებში 2007 წელს ოქტომბერში მონაწილეობდა – DTM-ის გერმანულ სერიაში.

*"ჩინეთში არააერთხელ ვყოფილვარ, მაგრამ იქაურ ტრასებზე არც ერთ რბოლაში მონაწილეობა არ მიმიღია. ამიტომაც მოუთმენლად ველი ამ ტურნირს. საოცრად დაძაბული ბრძოლა გველის, მაგრამ ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ წარმატებას მივაწიო. რაც მთავარია, საინტერესო მანქანა მყავს – სწრაფი და საოცრად ლამაზი"*, - განაცხადა ჰაკინენმა.



# ამერიკას ორი ეტაპი?

2013 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარში, შესაძლოა, ორი ამერიკული რბოლა ვიხილოთ. ცნობილია, რომ მომავალ წელს, ოსტინში აშშ-ის გრანპრი გაიმართება. ამავე ქვეყნის ტერიტორიაზე მეორე ტრასა კი ნიუ ჯერსიში შეიქმნება. თავის დროზე, ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** უკვე მოიწონა ასეთი იდეა. *„მართლაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ამ საკითხზე. ვნახოთ, რას მივიღებთ ამ იდეისგან“*, - ამბობდა მაშინ ექლსტოუნი.

ახლა კი ინფორმაციამ ოფიციალური დადასტურება მიიღო. ვარაუდობენ, რომ ნიუ ჯერსის შტატის გუბერნატორი **კრის კრისტი** მომავალ კვირას გამოაცხადებს მისი შტატის ტერიტორიაზე გრანპრის გამართვის შესახებ.

მეორე ამერიკული ეტაპის ჩატარების წინასწარი თარიღია - 2013 წლის ივნისი.

# კიმის ბედი სპონსორებზე ჰკიდია




ფორმულა 1-ში **კიმი რაიკონენის** შესაძლო დაბრუნებისა და „უილიამსთან“ კონტრაქტის გაფორმების შესახებ ჭორები თანდათან ჩაცხრა. ამბობდნენ, რომ კიმის შესაძლო გადასვლა „უილიამსისთვის“ წონადი არგუმენტი იქნებოდა ყატარელ სპონსორებთან მოლაპარაკებების პროცესში, მაგრამ ახლა, მოლაპარაკებები შეჩერებულია და გუნდი დაფინანსების სხვა წყაროს ეძებს. ერთ-ერთი ვარიანტია - კონტრაქტის ხელმოწერა პილოტთან, რომელსაც შეუძლია თავისი გამოსვლის დაფინანსება.

როგორც ფინური პრესა წერს, რაიკონენისა და „უილიამსის“ კონტრაქტი დამოკიდებულია სპონსორებზე - თუ ყატარის ეროვნული ბანკი ბრიტანული გუნდის პარტნიორი ან თანამფლობელი გახდება, რაიკონენი აუცილებლად მიუჯდება ფორმულა 1-ის საჭეს - შანსი კიდევ არის, მაგრამ დრო მიდის, გუნდს კი 2012 წლის ბიუჯეტი აქვს შესავსები.

პრაქტიკულად გარკვეულია ვენესუელელი **პასტორ მალდონადოს** გუნდში დარჩენის საკითხი - მას ვენესუელის მთავრობა უჭერს მხარს და ამ ქვეყნის ეროვნული სანავთობო კომპანია აფინანსებს. სამაგიეროდ, მინიმალურია **რუბენს ბარიკელოსთან** კონტრაქტის გაგრძელების შანსი - ბრაზილიელმა ეს იცის და სხვა გუნდებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. დადის ჭორი იმის შესახებ, რომ ბარიკელო, შესაძლოა, „ლოტუს-რენოში“ აღმოჩნდეს, თუმცა ამ გუნდის შეფი **ერიკ ბულიე** ინფორმაციას ელოდება **რობერტ კუბიცასგან,** თანაც არ სურს გაიმეოროს ვეტერანის გუნდში მოწვევის ექსპერიმენტი, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა წელს **ნიკ ჰაიდფელდთან** კონტრაქტის გაფორმების მხრივ.

ფინურ პრესას მიაჩნია, რომ „უილიამსთან“ რაიკონენის კონტრაქტის საკითხი ნოემბრის შუა რიცხვებამდე უნდა გაირკვეს - უფრო მეტს ვერც ერთი მხარე ვერ მოიცდის.

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ვონი ისტორიაში შევიდა




ლინდსი ვონი

სამთო-სათხილამურო სპორტში ახალი სეზონი ავსტრიის კურორტ ზოლდენში მნიშვნელოვანი მოვლენით გაიხსნა. ამერიკელი **ლინდსი ვონი** სპორტის ამ სახეობაში მეხუთე ქალი მოთხილამურე გახდა, ვისაც სამთო-სათხილამურო სპორტის ხუთივე დისციპლინაში მსოფლიოს თასის ეტაპი აქვს მოგებული.

აქამდე მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელს კოლექციაში გიგანტური სლალომის ტიტული აკლდა და ეს ხარვეზი შაბათს აღმოფხვრა.

პირველი ცდის შემდეგ ამერიკელი მეოთხე ადგილზე იყო. ლიდერი კი იტალიელი **ფედერიკა ბრინიონე** გახლდათ, მაგრამ აპენინელს მეორე ცდა ჩაუვარდა. ვონის მთავარი კონკურენტი ამ დისციპლინაში ოლიმპიური ჩემპიონი, გერმანელი **ვიქტორია რებენსბურგი** აღმოჩნდა, რომელმაც, საბოლოოდ, ორი ცდის ჯამში 0,04 წამი წააგო ლინდსისთან. გერმანელი მეორე ადგილზე გავიდა, მესამეზე კი ავსტრიელი **ელიზაბეტ გიორგლი** აღმოჩნდა 0,4-წამიანი ჩამორჩენით.

ეტაპი ჩააგდო ამ დისციპლინაში მსოფლიოს ჩემპიონმა, სლოვენიელმა **ტინა მაზემ** - ორი ცდის ჯამში მისი დრო 23-ე იყო. კიდევ უფრო უარესად გამოვიდა მსოფლიოს თასის მოქმედი ჩემპიონი, გერმანელი **მარია რიში,** რომელიც ვონს 3,13 წამით ჩამორჩა და 24-ე ადგილზე გავიდა. სხვათა შორის მარიამ არასოდეს მოუგია გიგანტური სლალომის სტარტი.

როგორც ვთქვით, ვონი ისტორიაში მეხუთე მოთხილამურე გახდა, რომელსაც ახლა ხუთივე დისციპლინა აქვს მოგებული. მანამდე იგივე შეძლეს: ავსტრიელმა **პეტრა კრონბერგერმა,** შვედებმა **პერნილა ვიბერგმა** და **ანია პერსონმა** და ხორვატმა **იანიცა კოსტელიჩმა.**

აღსანიშნავია ლინდსის კიდევ ერთი მიღწევა - მან მსოფლიოს თასის 42-ე ეტაპი მოიგო და ამ მაჩვენებლით გაუთანაბრდა პერსონს. ახლა, ამ დუეტზე წინ არიან ავსტრიელი **ანემარი მოზერ-პრიოლი** (62), შვეიცარიელი **ფრენი შნაიდერი** (55) და ავსტრიელი **რენატე გიოტჩლი** (46).

საერთოდ, ამერიკელი მოთხილამურეები ვერ ბრწყინავენ გიგანტურ სლალომში. ბოლო ამ დისციპლინაში ამერიკული ტრიუმფი 1991 წელს დაფიქსირდა, როცა ფინიშზე პირველი **ჯული პარიზიენი** მივიდა.

**გიგანტური სლალომი**

**ქალები**

1. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 2:24.43 (1:10.25+1:14.18); 2. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 2:24.47 (1:09.99+1:14.48); 3. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 2:24.83 (1:09.87+1:14.96); 4. **ტესა ვორლი** (საფ) - 2:25.23 (1:10.71+1:14.52); 5. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 2:25.33 (1:10.35+1:14.98); 6. **ანა ფენინგერი** (ავსტრია) - 2:25.67 (1:10.85+1:14.82).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**